მუხრან მაჭავარიანი

დიმერი ო

ლექსები

პოემა

„პალიტრა L“
თბილისი
2006

უაკ(UDC) 894.631-1
ბ431

© მუხრან მაჭავარიანი
© პალიტრა L, 2006
ISBN 99940-53-14-0



ჩემი ოჯახი და ჩემი ვერსია

მე და მამაჩემმა ენგელსის ქუჩიდან მაჩაბლის ქუჩაზე შემოვუხვიეთ (ვიქნებოდი ასე, 6-7 წლის).
მამამ თვალით მანიშნა ერთ სახლზე და ხმადაბლა მითხრა: — იმ სახლში ესა და ეს კაცი ცხოვრობსო (ლაპარაკია შენობაზე, სადაც დღეს კომკავშირის ცეკაა).
მე თითი გავიშვირე და ვკითხე: — იქ-მეთქი?!
მამამ სასწრაფოდ ხელში ხელი მტაცა.
შევხედე: ფერი აღარ ედო.
— რა მოხდა-მეთქი?!
— იქით ხელის გაშვერა არ შეიძლებაო...
— ?
ეს იყო ჩემი პირველი შეფეთება იმ დროსთან, რომელშიც მომიწია დაკაცებამ.
ჩემი ბავშვობა სავსეა ნატვრითა და მოტკბო სევდით;
ყოველი ზამთარი ქალაქში მაქვს გატარებული, ყოველი ზაფხული, — მშობლიურ სოფელში;
ქალაქში ყოფნისას სოფელი მენატრებოდა (ლელვის ფოთლებზე თქარუნებს წვიმა...), სოფელში რომ ვიყავი, — ქალაქს ვნატრობდი (წვიმას მიამტვრევს ტრამვაი, როგორც ლერწოვანს ვეფხვი...).
ქალაქიდან გამგზავრებისას, ისევე, როგორც სოფლიდან ქალაქში წამოსვლისას, ყოველთვის სევდანარევ ნეტარებას განვიცდიდი.
ერთი სიტყვით: გზა თბილისიდან საჩხერემდე და საჩხერიდან თბილისამდე ზედ ჩემს გულზე გადის;
...დარკვეთი ...სალიეთი ..ბოსლევი ..რკვია...
რაც მთავარია, — შორაპანი! —
გადავკდომა პატარა მატარებლიდან დიდში! —
პრობლემა, რომელიც წლების მანძილზე ტანჯავდა თბილისისკენ დაძრულ ზემოურთ...
ჩემს ლიტერატურულ დებიუტს წინ უძღოდა ათწლიანი (თუ მეტი არა) ლექსის წერის პრაქტიკა. პირველად ჩემი ხმა ერთობ იჩოთირა მკითხველმა.
ჩემი ღრმა რწმენით (რაც არაერთხელ გამომითქვამს): ძნელია,

ძალზე ძნელია მკითხველის გული იპოვოს ლექსმა; ამისათვის საკმარისი არაა არც საჭირბოროტო თემატიკა, არც ლექსის მხატვრული სახეებით დახუნძვლა.
ხმაა მთავარი! —
სათქმელის შესატყვისი ხმა!
ხალხი ლექსს მხოლოდ მაშინ გაითავისებს, როცა ლექსში ხმა და სათქმელი ერთმანეთზეა მორგებული.
თუ სათქმელი ალთასაა, ხმა — ბალთას, — ლექსი გინდ იყოს და გინდ არა!
ცალკეული აზრისა და განწყობის გამოსახატავად სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთი შესატყვისი ფორმა. შემოქმედებითი პროცესი სწორედ და მხოლოდ ამ ერთადერთი ფორმის ძიებას წარმოადგენს.
პოენამდე კაცმა არ იცის, რანაირია ეს ერთადერთი ფორმა. სათითაოდ ყოველ აზრსა და განწყობას აქვს მხოლოდ ერთის, საძიებელი ერთის მსგავსი ხმა. ამოცანაც სწორედ ამ მხოლოდ ერთის მსგავსი ხმის აღმოჩენაში მდგომარეობს.
— ყოველი ორობაჲ არა არს დასაბამ, არამედ ერთობაჲ არს დასაბამ ყოვლისა ორობისა! — ბრძანებს პეტრე იბერი.
მე საიდანაც ვარ, იქ, სხვათაშორის, ორი, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის მდინარე დის;
ერთია დუმალა,
მეორე, — ყვირილა.
ალბათ ამიტომ მე, როგორც იქაურმა, დუმილიც მეტყველი ვიცი და ყვირილიც.
— ლაპარაკი ვერცხლია, დუმილი, — ოქროო! — ამბობენ ჩვენი ძველები.
ჩემი ოქრო და ჩემი ვერცხლი ჩემი სამშობლოა;
ვყვირი! — მისთვის ვყვირი!
ვდუმვარ! — მისთვის ვდუმვარ!
მხოლოდ ჩემთვის, — ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს.

მურმან მაჭავარიანი

9.XII.82

ხე იწვევს ცისკენ

მარტო იმიტომ

სიტყვებს, —
წინაპართ მიერ გახედნილთ, —
დიდი რუსთველის ულელში ნაბამთ, —
შობილთ
კლარჯეთით,
ქართლით,
კახეთით, —
ერთად შეკრიბა რომელნიც საბამ,
ვეალერსები, ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე
ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.

1978

* * *

ვერ გაგიწირავს საკუთარი უკეთუ თავი,
ეპოტინები, თუ გიყვარდე, რალა დიდ მიზანს?! —
ხე იწვევს ცისკენ, ხის წილ ცაში ხის ადის კვამლი! —
ცოცხალი თავით
თვით ქრისტემ ვერ მოდრიკა მიწა.

1979

მადლი იმ ზართა

რაც კი ზარია შემოკრული დღემდე ალავერდს, —
მადლი იმ ზართა შესწეოდეს მეზვრე მანაველთ,
მეზვრე ჩუმლაყელთ,
მეზვრე შილდელთ,
მეზვრე ახმეტელთ! —
მე ვინაიდან ღვინოებში კახურს ვაღმერთებ.

რაც კი ზარია შემოკრული აქამდე ყინწვისს, —
მადლი იმ ზართა შესწეოდეს ტურფაა ვინც კი:
მროელთ, არბოელთ,
მცხეთელთ, კასპელთ,
გორელთ აგრეთვე! —
მე ვინაიდან ქალთა შორის ქართლელს ვაღმერთებ.

რაც კი ზარია შემოკრული საერთოდ სადმე, —
მადლი იმ ზართა შესწეოდეს ყველა ნაღდ ქართველს:
ჰყვაოდეს ქართლი,
იმერეთი, ფშავი, კახეთი!
მე ვინაიდან დუნიაზე მამულს ვაღმერთებ.

1978

ისევ საბა

მოიპარიზა,
მოირომა,
მოისტამბოლა, —
მობრუნდა შინ და
იუდასი ეძღვნა ამბორი.

მომოსკოვება არ ადროვა ყინვამ ძლიერმა, —
მოსკოვმა შთანთქა ძვალნი მისნი, —
სატანძიენი.
მკერდზე გეფინა ჩანჩქერივით ქათქათა წვერი,
გადმოალაჯე საკუთარ საფლავს...
კურთხეულ იყოს სახელი შენი, —
საბა!

1973

ხე ფანდა ისკენ

* * *

ვით არ შეგატოკებს ქართველს, თუ კაცი ხარ! —
ქართლი, — ზღვათა შუა მყოფი რუკაზელა!

განა მატო მიწა?! —
იმ ძველ რუკაზელა
თვით რუსთაველია,
თვით ჩახრუხაძეა.

1973

ერთი

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ! —
იმ ერთის პოვნის,
თუ გახდი ღირსი!
არაერთს ისე მოელო ბოლო, —
თვალიც ვერ მოჰკრა
გაჩენილს მისთვის.

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ!
სად არის იგი! —
ეს ღმერთმა იცის!
იმ ერთის ხილვის, —
იმ ერთის პოვნის, —
ათასში ერთი გამხდარა ღირსი.

1972

საწუთრო

კვლავაა, ვით იყო, საწუთრო ალუბლური:
შეხედავ, — ბალია!
იგემებ, — ტყემალი!
რამდენი კაცია მის მიერ დაღუპული!
ჯანდაბას! —
უდროოდ არ გვხოცდეს ქე მაინც!

კვლავაა, ვით იყო, საწუთრო ალუბლური:
შეხედავ, — ბალია!
იგემებ, — ტყემალი!
და მაინც კაია ყურძენი გალუმპული,
ბაასი ხილთანი და ხილთა ქებანი.

1978

უბედურება რა გინდა მეტი?!

უბედურება რა გინდა მეტი?!
რომ დაიძახო:
— ქურდს ქუდი ეწვის!..
არ მეგულება მაძღრებში ერთიც,
რომ არ იტაცოს
მყის ქუდზე ხელი.

უბედურება რა გინდა მეტი?!

1980

იყვნენ...

იყო წისქვილი,
იყო ლაშურა,
ჩეროიანი იყო ჩინარი...
დრომ ქნა თავისი, —
დღეს იმ ლაშურას
აღარ აჩნია ნაწისქვილარიც.

შენი წისქილი,
შენი ჩინარი,
შენი ირემი, —
მთასა მყვირალი, —
ყველა წასულა,
ჩემო ლაშურა,
მიკნავებულა შენი ჩხრიალი.

იყო წისქვილი,
იყო ლაშურა,
ჩეროიანი იყო ჩინარი.

1978

ბატონო დავით!

დღემდე რომ არ იცის
რაი არს ხავსი,
დღემდე რომ არა ჰყავს
თუნდ ოდნავ მსგავსი, —
კალამი შოთასი, —
სინათლით სავსე, —
ხმალზეა დამყნილი,—
დავითის ხმალზე.

რუსთველი ახალი
თუ გინდა დავით,
ვეფხისა ახალი
თუ გინდა ტყავი, —
ჯერ უნდა შენ თვითონ
იშიშვლო ხმალი,
ჯერ უნდა შენ თვითონ
გაწირო თავი, —
ბატონო დავით!

1978

ხე იწვის ისკენ

* * *

ერთი კაცია
(კაცია ვითომ?!)
ცდილობს, თუნდ ძალლებრ,
იცოცხლოს ოღონდ...
ის, როგორც ფიქრობს,
შენც ისე ფიქრობ,
ხარ კიდეც ისე,
გეკუთვნის როგორც.

1978

* * *

გვინთია ცეცხლი.
კუნაპეტი ტევრია ირგვლივ,
დაცხრილულია ცარგვალი წითლად.
რაა ისეთი, —
არ იკადრებს რასაცა ფიქრი, —
ყოვლისჩამდენი,
ყოვლადბილწი
და ყოვლადწმინდა.

1978

* * *

ბედი ქართლისა, —
ორწყალშუა გადაწყვეტილი, —
დროგამოშვებით
ყურმილივით მიწვდის ბრაუნინგს...
მრავლისმეტყველი
გაიელვებს მრავალწერტილი...
ბაგემდუმრიად
მიყურებენ სასაფლაონი.

მამავ და ძევ და სულიწმიდავ, —
ერთად სამივევ! —
ყავ სიყვარული! —
მარქვი:
საქმე
როგორ
წამივა.

1972

პეტრე I

წევს მხარ-თეძოზე მდუმარება უზარმაზარი,
მდუმარებაში ხამუშ-ხამუშ ქუხს ზარბაზანი...
ვით ხმა ლომისა
თხათა პეტელში, —
ხმა გამოისმის
ხმათა სხვათა შინა
პეტრესი.

1980

იქნება ასე

„— გახსოვს?! —“
ეს სიტყვა
დღეს, ვინ იცის,
თუ რამდენს ზარავს,
მუხლებში რამდენს
ამ სიტყვაზე ერთმევა ძალა.

„— გახსოვს?! —“
ეს სიტყვა
ხვალ, ვინ იცის,
რამდენს შეზარავს,
მუხლებში რამდენს
ამ სიტყვაზე წაერთმის ძალა.

იქნება — ასე! —
ძე კაცისა არსებობს სანამ.

1978

ჩამოძახილი

მტრული აშოროს მზერა!
ავს არ ეხილოს თვალს! —
ჯვარი სწერია გელათს!
ჯვარი სწერია ჯვარს!

1978

ფრიად დაგვიანებული, მაგრამ ფრიადრე აქტუალური რეპლიკა სრულიად საქართველოისა და მეფისა არჩილისა მიმართ

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

თემურაზ პირველი

თქვა ხელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის მოსაწონისი,
ლექსთა მკითხველთა მელექსედ ხან ეს აქეს და ხან ისი.

ნოდარ ციციშვილი

კახთა მეფე თემურაზ ყოველთა უკეთესია.

მამუკა მდივანი

ბევჯელ მასმია ცილება, ამბობდნენ სჯობსო ეს მასო.

არჩილ მეფე

ამხანაგებო,
მეგობრებო,
მოყვრებო,
მტრებო,
ნათესავებო,
მეზობლებო,
დედებო,
დებო,
ქართლო,
კახეთო,
იმერეთო, —

ქვემოვ და ზემოვ:
ვერ გრძნობდე უნდა კაცი ლექსის რამდენად გემოს, —
ის რომ იკადრო,
რაც იკადრა ბატონმა თემომ.

დამეთანხმება:
კახი,
კოლხი,
ტაოხი.
კლარჯი,
ჯავახი,
მესხი,
თუში,
სვანი,
ერუში,
შავში...
რაც არაერთხელ თქვენ გასმიათ ბატონო არჩილ! —
თვით ცეროდენა
დღეს არ იტყვის
იმ სიტყვას ბავშვი.

ვინ?! —
ხელოსანი ვამჯობინო ხალას ხელოვანს?
ბნელა? —
თუ ბნელა? —
კი, ბატონო! —
მაგრამ დღე როა?

1978

* * *

თუ არ წაგიღო ოცნებამ გზებზე,
ხანდახან მაინც, –
გზას თუ არ ეძებ,
თუ არ იფიქრე:
ვერ შევძლებ?
შევძლებ?
თუ არ გაივლე გულში, თუნდ ერთხელ:
კეთილი, მაგრამ
ასი წლის შემდეგ, –
შთამომავლობა რას იტყვის ჩემზე?! –

საქმეა მაშინ წასული
არა მარტოკა შენი! –
ქვეყანაც დაღუპულია, –
შენებრი თუა ბევრი!

1975

* * *

ყოვლად უქრისტო,
ყოვლად უღმერთო!
როგორ გარბის დრო! –
ეს უპატრონო!

1982

არა, გიორგი

არა, გიორგი,
ჯერ კიდევ არი,
ისეთი კაცი ჯერ კიდევ არი,
რასაც ის დაწერს, —
ვერ დაწერს სხვაი,
ვერ დაწერს, —
თუგინდ მოიკლას თავი.

არა, გიორგი,
ჯერ კიდევ არი,
ისეთი კაცი ჯერ კიდევ არი, —
და თუ არ არი „შესანიშნავი“,
ეს იმიტომ, რომ
არ არი მკვდარი.

1959

რაკიდა იცი

რაკიდა იცი: უეჭველად რომ უნდა მოკვდე, —
სიცოცხლეშივე სჯობს ისწავლო ცუნცული თოკზე;

ვინც გინდა კაცი, ვინაიდან, თუ ძერწავს შაირს, —
მეტოქეობას ორთავ სოფლად უწევს მუშაითს!

1978

შეხვედრა გურიაში

ვიყავი მოწმე,
გურიში ვნახე პირადად,
ჩემს ტარიელთან,
ჩემს გივისთან,
ჩემს ამირანთან,
ვეებერთელა ულალი ყანწი რომ დაყირავდა, –
ფეხზე წამოხტა
რანაირად
სისხლი ფირალთა.

ვიყავი მოწმე,
გურიაში ვნახე პირადად,
ანასეულში,
ცხავათაზე,
ნასაკირალთან,
თავშეკავებას,
ღამის წყვდიადს,
როგორც სინათლე,
ენარცხებოდა
გააფთრებით
სისხლი ფირალთა.

1980

დედაკაცი

— სამოთხე იყო...
დედაკაცმა დაგვაკარგვინა.
საწმისი იყო...
დედაკაცმა დაგვაკარგვინა.
დანაშაული,
თუ გიყვარდე
მეტი რა გინდა!

— სამაგიეროდ
დიაცმავე იესო გვიშვა.
სამაგიეროდ
დიაცმავე რუსთველი გვიშვა.
ეს კი, მე მგონი,
თუ შენ იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს!

1973

* * *

ესმის განაღა იდუმალი ყველას ძახილი?!
ხურმა განაღა იცის ყველამ არის რა ხილი?!

თუნდ ერთი მათგან, —
ასე ყინჩად, ვინც გიდგას გვერდით,
რო რამე იყოს, —
წვეთს სისხლისას გაიღებს შენთვის?! —
ეჰ... შენი მტერი არაა მეტი!

1980

სწორედ ამიტომ...

შენ რომ, ვთქვათ, ფრანგი ყოფილიყავი,
თუ გინდა შვედი,
გინდ ინგლისელი,
გინდ... ვინც გინდა,
გარდა ქართველის, —
და დაგეწერა, —
ხარ ქართულად რისი დამწერიც! —
დანტე ვინ არი! —
ჰომეროსზე იქნები მეტი!

შენ რომ, ვთქვათ, ფრანგი ყოფილიყავ,
თუ გინდა შვედი...
სწორედ ამიტომ
ხარ ნიმუში შენ ქართველთ ბედის!

1980

ზოგჯერ

გრიალებს ტაში.
ზეცას ანგრევს ტაშის გრიალი.
პატიოსნება ძეგლიგია დღეს კაჟიანი.
ხმა ისმის ზოგჯერ ტაშის ხმაში ხამუშ-ხამუში:
— სად არი, თვარა კაი კია სინდის-ნამუსი!

1979

დილიხორისანი მესმის გალობანი

ტანს მიათამაშებს,
როგორც ამორძალი, —
თათრის ბანოვანი, —
ძალზე ვნებიანი, —
სადაც მეტეხია, —
კლდეზე გადმომდგარი
და შენობებია, —
აივნებიანი.

გახუნებულია
ყველა კაბოსანი, —
ტანს მიათამაშებს
ნაღდი ამორძალი...
თათრის ბანოვანი!
თათრის ბანოვანი! —
დილიხორისანი
მესმის გალობანი.

1972

*

ვაგლახ,
რამდენმა ჯერ არ იცის, რომ იღვწის ფუჭად
(დიდება შენსა მოთმინებას, თეთრო ქაღალდო)!..
ადამიანი სამუდამოდ თვალებს როს ხუჭავს,
ის სწორედ მაშინ ახელს თვალებს,
მაგრამ რაღა დროს!

1982

სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ ისევ ძმათა თვისთა თანა ისევ შუამთაში

(ციკლიდან „1832“)

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –
ტოკავს ასკილი,
ანდა გრაკალი:
ზუსტად იმგვარი,
ზუსტად ისეთი
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –
სულყველაფერზე თავის კანტური,
საქციელია არაქართული!

უცხოს როდესაც ჰკოცნი იაზონს
და ზურგზე ისვამ,
როგორც იაბო,
თავმა თუ არა,
ტვინუსუარო,
ტანმა ქე მაინც უნდა გიაზროს, –
რა შეიძლება მოჰყვეს იმ ამბორს.
მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, –
ვიცი: ხამს ხოლმე რა დროს ძმა ძმისთვის,
ვიცი, რა მოჰყვა მედეას ამბორს,
როგორ დავკარგეთ, მახსოვს, საწმისი.

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –
ტოკავს ასკილი,

ანდა გრაკალი,
ზუსტად, იმგვარით,
ზუსტად ისეთით
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –
სულყველაფერზე თავის კანტურით,
ენაც დავკარგეთ კნინლა ქართული!

1978

გატეხილი ხიდის ახლოს

გატეხილი ხიდის ახლოს
(ვით ვახუშტიმ განაცხადა):
ვახტანგ მეფე ხოცდა ხან გნოლს,
ხან შხეროს და ხან ასკატას.

გატეხილი ხიდის ახლოს
(რომ მოვეშვათ თვითონ ვახტანგს):
ვინლა ნახავს ახლა ან გნოლს,
ან შხეროს და ან ასკატას.

გატეხილი ხიდის ახლოს
დღეს ღაჟოლა ვინძლო ნახო.

1978

დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი

დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი
ჭეშმარიტ პოეტს, –
ტერენტი გრანელს! –
იყო რომელიც
კაცი მწუხარე.
– ირგვლივ სივრცეა და ფიქრი ბევრი! –
ტერენტი!
როცა შენ ამას წერდი,
თუ გახსოვს,
ღმერთი,
თვით ქრისტე-ღმერთი
ხომ არა მდგარა მაშინ შენს გვერდით?!

– სადღაც სანთელი იწვის კუბოსთან
და იბურება ქალაქი ნისლით! –
ვინც თავის ნაცვლად
ატარებს ხბოს თავს,
ღრმად იგრძნობს,
მჯერა, ამ სიტყვებს ისიც.

თუ არა ვაჟას ნაღდი აჩრდილი, –
სხვა ვინ იტყოდა,
როგორ გგონია?!
– წმინდაო ღმერთო!
რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.

დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი
ჭეშმარიტ პოეტს,
ტერენტი გრანელს! —
იყო რომელიც
კაცი მწუხარე.

1978

გზისპირ ბოლთას სცემდა ყვავი

მიექშუოდით,
როგორც ქარი,
მოვიტოვეთ
უკან ჯვარი, —
ნორჩი ნუში, —
კლდეზე მდგარი, —
ჩანდა,
როგორც
იალქანი.

ლეშის დიდი ჭაშნაგირი, —
გზისპირ
ბოლთას სცემდა ყვავი...
ნატახტართან
ყაჩალივით
გამოგვეხტა
ნარეკვავი.

1978

* * *

სახელგანთქმული,
ჩაცმული კოხტად,
როცა პოეტი ჰყეფს ქარაფშუტა...
ვიგონებ სახელს,
რომელიც ქუხდა,
სახელს,
რომელიც ამჟამად ბჟუტავს.

1980

* * *

დადგა შემოდგომა.
გაცივდა ჰაერი.
მერცხლებმა მოკურცხლეს.
ცხიკვების ეხოა — „ხეირი“. —
ბუხრებთან
დასკუპდნენ
მოხუცნი.

— ხო ხარ მეხივით, ალიბეგ?
— ველარ ვარ, ჩემო ყარამან...
— გვეშველებაა რაიმე?!
— ეჰ, შენი მტერი არაა!

1960

ნე ეცვა ეფსენ

* * *

გუშინ ნატრობდა ვინც დაფნის გვირგვინს, –
დღეს ბრძნად ცნობილი კაცია იგი.

გაცხარებული დავაა როცა,
აზრის თამამად გამოთქმა უჭირს..
დღეს საკუთარი სახელი ბოჭავს,
უსახელობა ბოჭავდა უწინ.

1982

* * *

ვის გაუმარჯოს?
რას გაუმარჯოს?
ეგეც არ იცი?! –
ვაი, შენს პატრონს!
მას გაუმარჯოს,
სწორედ მას, მარტო.
და ღმერთმა ხელი
მას მოუმართოს,
ხმა ილიასი
რომელსაც ახსოვს:
– ჩვენ უნდა მივცეთ
მერმისი ხალხსო!

1980

ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში

მარტოდმარტო ცაა როცა ცაში,
ზეცა როცა კრიალაა მაშინ,
პოეტია როცა ტოლუმბაში,
ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში;

ცათა მიმართ სასოებით მზირალთ,
ცად წითლონი გვეცხადება რაში,
ალაზანი იმნაირად ბზინავს,
როგორც თეთრი
წმინდა ნინოს თმაში.

1978

* * *

ბრალი მიამიტის, —
დღეს და ჩვენში ისიც,
თვარა მე რა მიჭირს, —
ქვასქვეშ რაა, ვიცი.

ბრალი მიამიტის, —
დღეს და ჩვენში ისიც,
თვარა მე რა მიჭირს, —
არამარტო ქიცი,
ქიცმაცურიც ვიცი.

1979

ხე ეფეს ციკეს

ქართველთ ზნეობანი

სტუმრადმყოფი ვათვალიერებ საოჯახო ალბომს

დამიწდა ვინ იცის რამდენი, –
თავისთავს ვინცავინ ეომა, –
მოყმე და ასული ქართველი; –
ნატანჯი ზნეობის ტყვეობით.

ქვეყანა დარჩება ღამურას, –
და მერე მიდი და ეომე...
წახდება, წახდება მამული, –
ტყვეობა რომ არა ზნეობის.

1973

* * *

აქვს თავის ჭკუით ყველას რაღაცა,
ვინც კია მკვიდრი ამ წუთისოფლის,
რომ გაიმხნეოს თავი ხანდახან,
ხალისი რომ არ წაერთვას ყოფნის.

ის არაფერი, –
ნუგეში შენი
სასაცილოა როდესაც სხვისთვის,
საქმე ის არი,
ლიკლიკი ღელის
ზღვისანი რომ არ გეგონოს ზვირთნი.

1960

კახეთის ღამე

მზემ მოხუც მთვარეს დაუთმო სკამი,
ისე, როგორც ეს მიწაზე ხდება...
კახეთი ჯერ არ მენახა ღამით,
კახეთის ღამის მსმენოდა ქება.

როგორც ჩარგალთან,
როგორც სხვიტორთან
„მთვარე მეფურად,
მძლავრად ვიდოდა“;
ქერა დიაცი
უმზერდა ზეცას
ჭავჭავაძიანთ
ასულთ ნამზერსა.

1978

* * *

ქედისა კაცმა რატომ უნდა იკისრო მოხრა?!
თხას, მაგალითად, რატომ უნდა უწოდო ძროხა?!
არ დაგრჩებაა ყველაფერი განაღა ოხრად?!

დღით ერთი-ორით ამა ქვეყნად რომ ვიყო მეტხანს, –
ძროხა ვუწოდო ამიტომ მე თხას?!

1980

ნე ეფევი ეისკენ

იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ

სომხურად როს ერქვა ფაჲტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავნე,
ისმოდა ფალაური,
სოღდური, ასურული,
ისმოდა ატენური, —
მირიოტას დაწურული...
კრთის ენა ქართული, —
მოსული
აქანამდე!

ვაჭრობდნენ თათარნი,
ვაჭრობდნენ ასურნი,
ისმოდა ხმა თარის,
ისმოდა ხმა ზურნის...
მტკვრის დუდუნს
კისკისი ერთვოდა მეძავთა...
ვინ ქრისტეს ესავდა,
ვინ მაჰმადს ესავდა...
კრთის ენა ქართული, —
მოსული
აქანამდე!

გაბზინდა ყაწიმნი
რუსთღენერლისანი,
გაისმა საარი, —
რიჟრაჟის ნიშანი...

ღვინო ლაპლაპებდა
ვერცხლის ფიალაში,
თვლემდა ღენერალი, —
ძმა ლოპიანასი...
კრთის ენა ქართული, —
მოსული
აქანამდე!

სომხურად როს ერქვა ფაჲტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავნე;
ჯაბნიდა შიქასტა
მნათობსა ღამიერს,
არავის უთმობდა
აშუღი სარბიელს...
კრთის ენა ქართული, —
მოსული
აქანამდე! —

იარს
უსასრულოდ
რომელიც
ამიერ!

1978

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲙᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ

ეს ისე

თავს საკუთარს
(არც ეცადო),
გაექცევი ვერსაით!
არა! —
თუ არ დამიჯერებ, —
მოდექი და ეცადე!
ვინ ხარ,
რა ხარ,
რისთვის,
რატომ?!
ნათელია მზესავით...
ისე,
თუმცა,
კაცმა რომ თქვას,
ახლა რა დროს ეს არი!

1960

ფარნავაზი

ფარნავაზ, — დასტურ მაღალთა სწორი,
შერთული უკვე დღეს სულთა სირას,
ისეა სულ სხვა, — მეფეთა შორის, —
წვიმებში, — დილმის რომაა წვიმა.

1973

ალავერდობა

მწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის.

ნ. ბ.

ვით აისბერგი,
გულგოროზი დგას ალავერდი.
მიჩერებია დასაკლავი კურატი პატრონს...
რატომ არ ქენჯნის ადამიანს სინდისი ნეტავ?! —
თავს რომ ირწმუნებს, —
თითქოს თვითონ
აზროვნებს მარტო.

1975

ორთაბრძოლა

ორი ბრმა ძალა თავგანწირვით ებრძვის ერთმანეთს
(არ აქვს მათ ჭიდილს სხვა მიზეზი, სიბრმავის გარდა)...
აუცილებლად საჭიროა ძალა მესამე,
ძალა,
რომელიც
ძირს კი არა,
მაღლითაც არ ჩანს.

1979

ᲔᲓᲘᲗᲘᲝᲜ ᲘᲔᲠᲘᲩᲝ

გაბაასება ბარათაშვილისა გურამიშვილთან

ასი წლის შემდეგ
შენსას ვიწმენდ თვალებზე ცრემლებს
(არ გაამართლა, ვაგლახ, მერმისმა)! –
შენც ბედმა შენმა
ვინაიდან არ მოგცა ჩემებრ
დრო, – ჭირად შენდა,
როგორც ჩემდა,
შენი ნებისა.

ასი წლის შემდეგ
შენსას ვიწმენდ თვალებზე ცრემლებს
(არ გაამართლა, ვაგლახ, მერმისმა)!..

1978

* * *

ის რა კაცია,
გეტყვის ახლა ვინც:
– სახელს გერჩიოს, გირჩევ, სახრავი!
კაცი ის არი,
ვინც გეტყვის ახლა:
– გირჩევ, სახელი გერჩიოს სახრავს!

1979

მაზანდარანსა, ხვარასანსა და ფერიასა

...წარიყვანნა აყრილნი კახნი ტყვედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარანს, ხვარასანს და ფერიას.

ვახუშტი

ნატვრა აცვიათ სამშობლოსი უბედურთ კვართად,
საქართველოსი არ იციან რა ფერია ცა!
ცრემლით მათითა მდუღარითა იხარეს ვარდთა
მაზანდარანსა,
ხვარასანსა
და ფერიასა.

1978

* * *

სახეს მე ამას მოწიწებით ვეამბორები,
პოეტისაა სახე ესე იაპონელის...
უტყუარია ტყვიასავით იგი ბერდანის
(მისით, ღმერთმანი, მოხიბლული ვარ ნამეტანი);
„ჩანან შამბნარში
ფეხადგმულნი კვერთხნი ბერთანი“.

1980

არ მომხდარა, არც მოხდება

ალაზანო, შენი წყალი ყველა ქართველს გადასხმოდა!
ცხენისწყალო, შენი წყალი ყველა ქართველს გადასხმოდეს!
უცხო წყალი ცხენისწყლობდეს?!
უცხო წყალი ალაზნობდეს?! –
არ მომხდარა არასოდეს! –
არც მოხდება
არასოდეს!

1978

ისევ და ისევ

ისევ და ისევ
ღიმილით ისმენს
ქრისტე იუდას ქვითინს...
და კოხტა გორა
გვერდელად მიმზერს
საუკუნეა შვიდი.

დუმან ველები.
დუმან ციხენი.
დუმს სვეტიცხოვლის ზარი.
ყაყაჩოსავით
მზეა წითელი
და მეცინება მწარედ.

1978

ოლონდ ამჯერად ვერხვისა ტოტო

საქართველოსი ვინც არი მტერი
და არ იციან იგი ვინ არი!
ვინც დააწიწკნა
ოცნების ფრთენი,
კლდეს მიაჯაჭვა
ვინც ამირანი! —
ვეებერთელა სიამოვნებით
იუდასავით ვეამბორები.

ოლონდ ამჯერად ვერხვისა ტოტო
(მადლად გეთვლება რომელსაც ცოდვა), —
არა იუდა
იტვირთო უნდა.
უნდა იტვირთო
იესო თვითონ!

1979

* * *

ბედნიერება მიმდგარი კარზე, —
ეჰეი, რამდენს დაურჩა ოხრად...
ქვეყანა ესე
ყოფილა ასე...
რა გინდა რო ქნა!

1981

ქართველი ბრძოლაში ვინ ბრძანა აზიზი

ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მქმნელია.

შოთა

სიმრავლე რას ჰქვია?!
აბჯარი რას ჰქვია?!
მოძებნე სხვა სიტყვა!
მითხარი სხვა სიტყვა!
მითხარი სხვა სიტყვა!
მითხარი სხვა სიტყვა!
უკეთუ სისხლითურთ
ქართველი კაცი ხარ!

ქართველი ბრძოლაში
ვინ ბრძანა აზიზი!
ჩოხა, რომ აცვია, —
ის ჩოხა ჯაჭვია!
სხვისი რა გითხრა და,
ქართველი კაცისთვის, —
ვინცავინ კაცია
ეს დღემდე ასეა.

სიმრავლე?
აბჯარი?
რა ბრძანე?
რას ბრძანებ!

გახედე მარაბდას,
გახედე ასპინძას,
გახედე ბასიანს,
გახედე ბაზალეთს!

გახედე,
თუ გინდა ღიმილმა გაჯობოს!
გახედე,
გახედე:
მელანოს ნაშობო!
თებრონეს ნაშობო!
ლელაის ნაშობო!
გახედე,
გახედე, —
თუ გინდა, —
გამხნევდე!

1978

ნე ფიფეი ეიდეგ

* * *

გამანდო ცეცხლმა,
გამანდო დელგმამ;
რაც მელოდება,
ვაი, რომ, — ვიცი...
თუმცაღა ბევრი იბღავლა თერგმა,
მერე და მერე
დაოკდა ისიც.

ნათქვამი ჩემი
იბარტყებს, მჯერა,
რამეთუ ჩემსას წყალს აწვდის გარჯას
არა ეს,
რასაც მოიცავს მზერა,
არამედ იგი,
რაც თვალით არ ჩანს.

1972

* * *

გაოცება ენას არათმევს კრწანისს,
ნარიყალა იღიმება ძალით.
ბასიანიც, ვატყობ, ცერად გვიმზერს, —
როგორც პეტრე ილიასი,
ისე.

1973

დიდი ბედნიერება

ლამის გამგუდოს, როგორ ნამქერმა,
უხმო ბღავილმა გარეთ და შიგნით:
ბედნიერება არის რამხელა!
ბედნიერება არის რამხელა!
თავისუფლება
რომაა ფიქრის!

ეს სინამდვილე ვის არ აღელვებს
(საღად აზროვნებს უკეთუ იგი):
ბედნიერება არის რამხელა! –
ბედნიერება არის რამხელა! –
თავისუფლება
რომაა ფიქრის!

1978

* * *

სხვისი კარგისა,
სხვისი ავისა, –
სხვაა,
რომელმაც იცის ხარისხი;
კაცმა თავისი კარგიც არ იცის,
ნაკლი არ იცის როგორც თავისი.

1978

ხე იფეფს ცისკენ

მოაჯირს აკლდა, მახსოვს, რიკული

ათასში ერთხელ,
სოლოლაკს ზემოთ,
გონთ გაიელვებს დგნალი ყვითელი
და ტიციანის სტრიქონის გემო,
არა დღეისა,
იმჟამინდელი.

მოაჯირს აკლდა, მახსოვს, რიკული,
შორს ბალი ჩანდა ბოტანიკური.

1979

კვლავაც ნატვრაში გავა საწუთრო?!

ყველა, ვინც კაცი იყო კაცური, —
ნატვრითურთაა საფლავს ჩასული.

დღესაც, ვინც ნაღდი ძეა ადამის, —
გაუმხელელი ტანჯავს ნატვრავე.

კვლავაც ნატვრაში გავა საწუთრო?! —
ვაი, რომ გადის კაცნო კაცურნო!

1979

* * *

— ვინ არი სწორი?! —
ძე კაცისა კითხულობს ისევ, —
ვინც დუმილს მირჩევს, -
ის არი, თუ
ვინც ხმაურს მირჩევს?!

— ვინ არი სწორი?! —
გააჩნია შენ თვითონ ვინ ხარ:
კაცად ცოტა ხანს ყოფნა გიჯობს
თუ ძაღლად, — დიდხანს.

1978

* * *

ახლობელია როცა მკვნესარი,
ზილფთ ახლორეა ოდეს წეწვანი:
— მოხდეს! — ვიძახით, —
ოღონდ, დღეს არა!
ოღონდ, დღეს არა!
ოღონდ, დღეს არა!
წუთისოფელიც სწორედ ეს არი!

1978

* * *

ვაი, რა უქმად იბობოქრა თურმე შაშხანამ!
ვაი, იმ ბედკრულს, —
სინათლისთვის ვინც ბნელს ეომა!
როგორც არასდროს,
უმთავრესი,
ვატყობ,
ამჟამად, —
გამძლეობაა,
გამძლეობა
და გამძლეობა!

ღამე გამუქდა,
უზნეობამ ფრთები გაშალა,
ვით ქედანს ძერა, —
უზნეობა ძიძგნის ზნეობას!
როგორც არასდროს,
უმთავრესი,
ვატყობ,
ამჟამად, —
გამძლეობაა,
გამძლეობა
და გამძლეობა!

1970

ენა ქართული

ქართული მარტო ენაა?! –
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! –
იმოდენაა!

1978

ვაჟას

ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია...

ვაჟა

დღეს ჯიხვის რქაში მე ვტენი ვარამს,
ამაოდ ვტენი, როგორც შენ გუშინ...
მე, მე ვიკითხო, მე რა ვქნა, თვარა
შენ რა ხანია გაქვს თავი ქუდში.

1979

რაიცა იყო, რაცაა და, იქნება რაიც

ვერ შეედრება ვერაფერი ამქვეყნად შაირს!
პროზა?! ესეი?! —
რისი ფლავი,
რისი ბოზბაში?!
რაიცა იყო,
რაცაა და,
იქნება რაიც, —
მოქცეულია ერთ ჯიგრიან კალმის მოსმაში!

ვალდებულია, — პოეტს ყველა მოეპყრას ნაზად,
ის სამშობლოსას წარმოადგენს რამეთუ ლაზათს.

მწარე სინანულს განიცდიან ყველანი ახლა,
ვინც არ ჩააგდო თავის დროზე პოეტი ძაღლად:
ხონთქარი, — პოეტს არ უბოძა რომელმაც კვართი,
მებალე, — პოეტს არ მიართვა რომელმაც ვარდი,
ქალწული, — პოეტს არ აღირსა რომელმაც ხელი,
მეჯოგე, — პოეტს არ ათხოვა რომელმაც ცხენი.

ვერ შეედრება ვერაფერი ამქვეყნად შაირს!
პროზა?! ესეი?! —
რისი ფლავი,
რისი ბოზბაში?!
რაიცა იყო,
რაცაა და,
იქნება რაიც, —
მოქცეულია ერთ ჯიგრიან კალმის მოსმაში!

1978

გაუმარჯოს ყველას ღმერთმა

დაბადება,
დამიწება,
გათენება,
დაღამება,
დღეობები,
ძეობები,
ქორწილები,
აღაპები...
ყველაფერი ვინაიდან
ხდება ქვეყნად წარამარა,
ვინაიდან ამა სოფლად
მხოლოდ ზეცა არი მარად,
ვინაიდან დღემდე ზეცას
მხოლოდ ჯვარი შეაბერდა,
მხოლოდ შხელდა შეაბერდა,
შეაბერდა მხოლოდ ბერთა...
გაუმარჯოს ყველას ღმერთმა,
გაუმარჯოს ყველას ღმერთმა,
ვინც კი როსმე
ქართლის მტერთა
ანგელოზნი დაუფეთა.

1972

ეგ ფიქრები ეროვნულ.

ოხი ცხენლიდან



საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემ,
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
— ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! — თქვა და
თითქოს კიდეც ინანა.
მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას).
რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.
— წვიმა არ არი!
საბას კაბა დაუსველა რამ?!
— თოვლი არ არი!
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
— ყინვა არ არი!
სულხან-საბას აკანკალებს რა?!
— რამ დაასველა?!
— რამ დათეთრა?!
— რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის:

წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..

...მზე ეთხოვება ალბათ ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა, სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს,
ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს,
სტამბოლში შვილი დადას სტირის, — ჰყიდიან ყმაწვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ
წმინდა ნინოს, მუხლზე დაცემულს).

— რამდენს აფასებ მაგ პატარას? — ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
— უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! —
წარმოსთქვა ბალღმა, ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.

— არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
— უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან ძია?..
საბას ცრემლები მოეძალა, ატირდა კაცი, —
თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.
ვით ეს ყმაწვილი — საქართველოც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ჰყიდიან.
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, — სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
— მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! —
გულს ნუ გაიტეხ! — მუხა კვლავაც შეიმოსება!

1949

* * *

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: —

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭის! —
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი რაც კი არსებობს ირგვლივ, —
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად —
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

1964

ფრანგული ფუტა

* * *

შენ –
სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო...
შენ –
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, –
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.

შენ –
სისხლო ჩემო –
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი...
ხანძთა...
ვარძია
და ისიც, –
რაც მტერს წარუტაცნია.

შენ –
სისხლო ჩემო –
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება –
ვცდილობ – გაშორო, –
რაც შემიძლია.

შენ –
სისხლო ჩემო –
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, –
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

1959

* * *

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი,
შოთა რომ იყო,
რუსთველი,
მისი.

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი,
საბა რომ იყო,
სულხანი,
მისი.
სხვათანი შენში სისხლი ჩქეფს ვისი, –
არცა მსურს ცოდნა
და არცა ვიცი.

1970

მიდის... მიდის...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი
ფერად შინდი...
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი
ფერად შინდი...
სჭკნება ტურფა საბალნარო... სწყდება ზეცას მეტეორი...
— მოშაირე არა ჰქვია, თუ სადმე თქვას ერთი ორი!
ერთი...
ორი...
და იცვლება საუკუნე საუკუნით...
მაინც მღერის,
მაინც სტირის,
ვით
სტიროდა გული...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი
ფერად შინდი...
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...

ღმერთო ერთო! —
ღმერთო ერთო! —
თრთის სხეული... თრთის ბაგენი...
რუსნი,
სპარსნი,
მოფრანგენი —

ისმენდიან, — გაჰკვირდიან, რა ატირდის, — ატირდიან...
— რა პატარა ქვეყნიდანა... რა დიდია!..

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი
ფერად შინდი...
მიდის... მიდის... წვება ბინდი...
ვარსკვლავები...
კვლავ დილა!..
— ავთანდილი?!
— რუსთველია!..
რამ გააავთანდილა!..

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი
ფერად შინდი.

1950

* * *

იმდენი კარგი ვაუკაცი მოკვდა,
იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!
მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა —
არც ისე იგი,
რაც უკვე მოხდა,
როგორც ის —
აწი რაც უნდა მოხდეს!

1961

ვახტანგ მეფის ნანადირევი

ნედლი კვალი დარჩენია ირმის ნუკრის ფეფებს, —
ცეროდენა ნატერფალებს დააჩერდა მეფე...
დააჩერდა...
გაელიმა...
გადახედა იქ მყოფთ,
ისე, თითქოს ეს იმათი ნატერფალი იყო.
ვახტანგ ნადირს არ გასდევნის, არ გასდევნის, არა! —
თუ ნადირის ნატერფალი მეფის ტერფს არ ტოლობს.
და სტუმარი, ლიხთ-იმერი, ეუბნება ვახტანგს:
— ვერაფერი მოგვიკლავს და... ეგ არი, ბატონო!..

გაიარეს...
გაიარეს...
ტირიფებთან შესდგენ.
თითონ?! თითონ ტირიფები წყლის ნაპირზე იდგნენ.
— ნადირითა?! ნადირითა მდიდარია ეს ტყე!
მაგრამ, მაგრამ... ფრინველითა უბადლოა ის ტყე.

მღვრიე წყალი გადალახეს, შეჰყვნენ რიყე-რიყე...
(მეფე იყო და მეფესთან მარეკები იყვნენ).

მიდიოდნენ!
მიდიოდნენ! მეფე იყო პირველიო!
აუფრინდათ!..
აუფრინდათ!..
— ხოხობია!..
— ხოხობია!..

— ხო ყოფილა!
— ხო ყოფილა
ამ ტყეშიაც ფრინველიო!

ხოხობს ქორი მიუსიეს, მიუსიეს, მიუსიეს, —
ამ ულრან ტყეს გადასცილდნენ, შეეფარნენ იმ უსიერს...
დაედევნენ... დაედევნენ...

და...
ჩავიდნენ თბილისში.

1949

ძველთა ჩვენთა წესი

უჩრდილებდათ მუხა,
ვერხვი, ბზა თუ ძეწნა,
ჩასცქეროდენ მიწას,
თუ უმზერდენ ზეცას,
თავგანწირვა ჰქონდათ
ძველებს ჩვენსას წესად,
ჩვეულებას სთვლიდნენ
რჯულზე უმტკიცესად.

ვცვლით როდესაც მიწას,
ვიპყრობთ როცა ზეცას, —
ძველთა ჩვენთა წესი
არ გვაწყენდა დღესაც.

1972

* * *

ტა
ტა,
ტა,
ტა!
რანაირად ბრდღვინავს არაგვი!
ხო,
ხო,
ხო,
ხო! –
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, –
თვარა, – კი!..
სხვა
როცა მე შემომნატრის,
მე
მივბაძო სხვას?!

მე – პატრონმა,
მე – პატრონმა
ამისთანა ზღვის,
მე – პატრონმა,
მე – პატრონმა
ამისთანა ცის, –
თუ ღმერთი გწამს,
თუ კაცი ხარ –
სხვას მივბაძო?!
ვის?!

რა გინდა რომ აქ არ იყოს,
ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?! —
მარტო წვიმას
აქვს სახელი ცხრა.

მე შენ გეტყვი —
არ გეყოფა სიტყვის მარაგი...
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, —
თვარა, — კი!

1960

* *

შენ ვინ გიწოდა ვაჟკაცი?!
ხარ როცა ყოვლად უძლური;
გარეთ იძახდი: — ვაშასა!
შინ —
საშშობლოზე წუწუნებ.

1969

ქართლის ცხოვრება

— ვაი, დედასა მტრისასა! —
შეხლა-შემოხლა გმირთა...
— ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!
პირზე შემხმარი სიტყვა.

მტვერი
ფერხისა მათისა —
სქელი
ღრუბელი ვითა.
ელვა
აბჯრისა მათისა —
ელვა
ცათანი ვითა.
ხმაი
პირისა მათისა —
ხმა
ქუხილისა ვითა.

სროლა
ისრისა მათისა —
ტეხა
მეხისა ვითა.

ტყორცა
ლოდისა მათისა —
სეტყვა
ხშირჩქარი ვითა.

თხევა
სისხლისა მათისა –
ღვარი
წვიმისა ვითა...

და...
სოფლად მოვარდნა მაცნეთა –
შეცხადებანი ქვრივთა:
ცვენა
ცრემლისა მათისა –
წვეთნი
წვიმისა ვითა.

გაზრდა
შვილისა მათისა –
ვით
გამოჩენა მზისა.

ლიმი
თვალისა მათისა –
ვითა
სარტყელი ცისა.
ელერა
ბაგისა მათისა –
ვითა
ჭიკჭიკი სირთა.

1959

არაგვთან ნათქვამი

ამ მთათა გამო,
ამ ტყეთა გამო,
ყველაფრის გამო,
ირგვლივ რაც არი;
ვინც აქ იშვა და...
ვინც აქ იზარდა, –
არ შეიძლება იყოს ლაჩარი!

არაგვი!
ხედავ...
ხედავ და გინდა,
ხედავ და გინდა,
სულ რომ უყურო...
აღფრთოვანდება, –
ვინც უნდა იყოს
და...
რაც არ უნდა იყოს უგულო, –
კაცი,
რომელიც
შეხედავს
არაგვს.

1952

* * *

ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი,
ხარ გარჭობილი გულში ისარი...
სიტყვა სიტყვაში თუ ვერ ჩავწანი,
ვით ჩუქურთმანი მცხეთის ჯვრისანი,
სამაგიეროდ, — ჩემში რაც არი, —
სხვისი არაა ერთი მისხალი.

მორჩა.
გათავდა.
მე განზე ვრჩები.
ვინიცობაა, მწედ მექმნა ღმერთი,
და, თუ ოდესმე ქონება ჩემი, —
მნიშვნელოვანი რამ გახდა შენთვის! —
ხომ კარგი!
და თუ არ მოხდა ასე,
და მოხდა ისე, —
ვით ბევრის თავზე;

წუთისოფელი როცა მიყელებს, —
თიხად ქე მაინც გამომიყენე!

1972

ეს ალბომი ეფუძნება

მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელეხი

ასწლოვან მუხებში გაშლილია მდიდარი სუფრა.
გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრიდონ!..
— ჩინებული აღაპია!
ღატაკი აზნაური — კოწია — თავაზიანობს ნამეტანს:
— კარტოფილს არ მიირთმევთ ქალბატონი აგრაფინა?!

მანდილოსანმა გადმოიღო მცირე ულუფა —
ღიმილით ნაზით...
მამაკაცები ეწაფებიან უშველებელ ყანწებს...
კოწია — არწივი ბახტრიონის,
აგრაფინა — ვარდი შირაზის.
ეარშიყებიან ურთიერთს;
მოდგენ ხასიათზე —
რაღაი გაძღენ.

(ო... ეს კი აღარ ვარგა):
კოწიამ ყელი მოიღერა სამღერლად.
დაიჟინა: — ქორწილში ვართო!
არწმუნებს აგრაფინას;
— მე... ვარ იადონი...
და დღეს შენზე ვიწერ ჯვარს, ქორფა ვარდო!

— სირცხვილი არ გვაჭამო, თუ ძმა ხარ, კოწია!
— კაცო, ქელეხია! რამ გააქორწილა! —
აღშფოთდნენ კოწიას სახლიკაცები;
მიწი-მოწიეს
მძიმე ყანწები...

წამოაყენეს კოწია,
გაიყვანეს გვერდზე...
კოწია ბალახში ქუდს ეძებს...
წაქცევაზეა — მუხლები ეკეცება...
რაღა ექუდება!
რაღა ეძებნება!

ხითხითებს აგრაფინა...
— და... ეს თუ აღაპია,
ამასაც ვიკითხავ, — ცხარობს გარსევანი...
— ხალხს თვალი უჭირავს
ძღომაზე!
გაქცევაზე!..

მერე
წითელი კუბო ორღობით მიაქვთ...
მერე...
საფლავზე ამოდის ია...
მერე
იმ მიწას, სადაც ბალახია,
ფრიდონ წერეთელის საფლავი ჰქვია...
და...
რა თქმა უნდა,
ტირიფიც იქვეა.

1951

ძელი ულპოლველი

„...და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: ქმენ კიდობანი ძელთაგან ულპოლველთა... და ყოელისგან ხორციელისა ორ-ორი შეიყვანე კიდობნად... და ქმნა ნოე ყოველნი რაოდენნი ამცნო მას უფალმან ღმერთმან... და იქმნა რღუნა. და მოკუდა ყოველი ხორცი მოძრავი ქვეყანასა ზედა... და დაშთა მხოლოდ ნოე და მისთანანი კიდობანსა შინა“...

შესაქმე

რუსთველს ბადალი
ვერსად ვუპოვე:
პოემა მისი
ძელს ჰგავს ულპოლველს!

კიდობანი რომ იყო ნოესი,
ამ ხისა იყო,
უსათნოესი!

იმ კიდობანმა,
ვით იხსნა ყველა, —
ვინც კი და რაც კი
მკვიდრია მიწის,
პოემა ესე,
სამშობლოს ჩემსას,
თუ წარღვნა იქნა,
ისევე იხსნის!

1972

გასამდა?!

იერუანტელეს გელათის ზართა, –
თაფლი გამწარდა, –
ოდეს რუსთველის ძლიერი სული
იტვირთე ჯვრითურთ, იერუსალიმ!

*

წამერთ დუმილი განისმა მქისე,
ვით ხმა ზარბაზნის, –
ზამბახებრ ოდეს მოსწყვიტა ქრისტემ
სული საბასი.

*

სრულიად ქართლის დასტოვა ხორცი
სულმა სპეტაკმა, –
აქ, წიწამურთან, გავარდა როცა
ბერდანკა.

1975

* * *

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, —
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოღმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად“,
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

აი, ის იყო კაცი მართლა ჯიგრიანი;
ფართო მკერდი ჰქონდა და მკლავები ღონიერი.
დარიალის ხეობაში თერგივით იღრიალა:
ორბელიანი იყო და... სიმძლავრე ორი ერის: —

სიმძლავრე პეტერბურღის — ვითარცა ღენერალი,
ვითარცა პოეტი — სიმძლავრე ქართველთა.
იმ სისხლით „სადღეგრძელოს“ სწერდა აუღელვებარი,
იმ სისხლით — დაღესტანში ლეკებს რომ ადენდა.

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, —
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოღმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად“,
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

1949

* * *

ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა,
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს ულლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად:
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურღიდამ!

— ილია მოკვდა! — ამერიკა აღმოაჩინა —
ასე ეგონა ქარს — ეს რადგან შემომღაღადა.
ძილს დარაჯობდნენ საფლავების თაღ-მოაჯირნი,
არ დაეზოგა პოეტთათვის ძილი საღათას.

ილია მოკვდა, მაგრამ ჰგავდა მისი დამარხვა
წყალში ჩავარდნილ მოელვარე მთვარის დამარხვას...
— ილია გინდათ?! მოითმინეთ! — ვიტყვი ხმამაღლა, —
ამ მატარებელს ჩამოჰყვება იგი ამაღამ.

ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა,
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს ულლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად:
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურღიდამ!

1949

ორი სრეფლეიდან

* * *

ანდუყაფარო,
ლიპარიტო,—
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკაანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხვო,
ტატოს მერანო;

ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
იორო,
აგერ, ახლახან გარდაცვლილო გალაკტიონო;
ქინძმარაულო,
ტიბაანო, —
ღვინოვ კახურო;
გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო,
დიდო კოლხეთო,
დიდო ქართლო,
დიდო შამქორო, —
ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ —
თუნდა ჩამქოლონ...

ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს —
ფრთები მასხია თქვენგნით...
მხოლოდ თქვენგნით რამეთუ.

1959

* * *

იყოს კურთხეულ აწ და მარადის:
მიწა ასპინძის,
მიწა მარაბდის...

იყოს კურთხეულ ყველაფერი თავისთავადი;
ადამიანის ცხოვრებას რაც ხალისსა ჰმატებს:
მტკვარზე,
არაგვზე,
ცხენისწყალზე —
ტყორცნილი ბადე...
ცხვირწინ,
ზედ ცხვირწინ —
აფრენა ხოხბის —
ქუხილი თოფის.

იყოს კურთხეულ.

1961

ლხინი ალაზნის ჭალაში

დღეს საქართველო ილტვის ზეცისკენ,
მცირეღა შეგვრჩა რადგანაც მიწა...
შეხედე ჭადარს, —
არის ეს ის ხე,
რომლის ჩეროში ერეკლე იჯდა.

შუაზე აპობს მდინარე სიცხეს,
თავგანწირული ირგვლივ არი სმა.
მოწყენილია თელავის ციხე, —
ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა.

გახურდა ლხინი:
შეეწნა ხმა ხმას,
ხმა გაიმეტა ცის ლურჯმა თაღმაც —
და როცა ეშხში შევიდნენ უკვე,
მამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ —
იალაზანა,
იალაზანა, —
ორმაგი მისცა ალაზანს ძალა
და გადმოლახა ნაპირნი წყალმა.

ქვითინებს მუხა, — ალაზანს გაღმა,
ილიას თვალწინ რომელიც გახმა...
კახურით გულის ხშირდება ძგერა,
პირზე ღიმილი ახმება გელათს,
თვალები ცრემლით ევსება ხახმატს:
ვერ იდავითა პატარა კახმა!
ვერ იდავითა პატარა კახმა!

1972

თქვა ოპიზარმა

ტანახოვანმა, დღეს მიწაში მწოლმა გულაღმა.
თქვა ოპიზარმა, ხოტივარმა, თუ ხახულარმა:

დაჯდები ქოხში, სასახლეში, თუ ხის გრილოში:
ღვინო შენ უნდა დალიო და არა ღვინომ — შენ!

ძენი, ძისძენი მეფე გუბაზის, —
მერე რამდენი, მერე რამდენი! —
დახოცილები ქართულ სუფრაზე, —
დილომში წვანან
სამარაბდენი.

შნიშნი. ბადიშნი ლაზი ფარტაზი, —
გალეშილები, არა ფხიზელნი.
ხშირ შემთხვევაში მსხდარნი პანტაზე. —
ვაკეში წვანან
საასპინძენი.

კმარა.
გვიანღა იქნება მერე! —
გვიახლოვდება, ვხედავ, წერტილი...
და საქართველოს უკვდავი მტერი —
სიცილით კვდება
ჯალალედინი.

1972

ვაი, ჩვენს პატრონს!

დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი.
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.

ვხედავ: რეგვენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ,
და, მე შენ გეტყვი, უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.
ქალი თუ კაცი ეჯიბრება იმაში ურთერთს:
ფიქრის და სიტყვის დაშორებას ვინ შესძლებს უკეთ.

გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი რეგვნის,
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ ლეღვნი.
დროდადრო მესმის უხერხული ხალხური ლექსი: —
ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი.

ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, —
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ.
დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი.
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.

1972

* *

საქართველომ დღემდე
მოაღწია ციხით.
აწი?
დღეის შემდეგ?
დღეის ამას იქით?

1962

* *

იქ დაბრუნდები ციდანა –
ცაში ასულხარ სიდანაც;
მიწა რომ არა –
წვიმაც კი
ვერ მოვიდოდა ციდანა...
არის კარგი,
თუ ავია,
თუ რაიმეა –
მიწაააა...

ვიტყვი –
ცოცხალი რომ იყოს –
შოთა იტყოდა ვითარცა:
– მიწა არ ყველა მიწაა,
მიწაც არის და მიწაცა.

მეც მეხარბება,
ვითარცა
შეხარბებია
ბარეორს:
დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო.

1959

ეროსაიდეური ფარა

საქართველო

ვისაც უყვარს საკუთარი სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი — ჩინელი თუ ინდოელი,
ვინც გლეხია,
ვინც მუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია —
საქართველო არ უყვარდეს — ყოვლად შეუძლებელია!

კიდევ უფრო, კიდევ უფრო იღორძინე, საქართველოვ,
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო,
კიდევ ერთი რუსთაველი,
კიდევ ერთხელ აამღერო;
შენ იხარო, —
ჩვენც გვახარო, —
გამხნევდე და გაგვამხნეო! —
გევალება,
საქართველოვ!
შეგიძლია,
საქართველოვ!
გაგიმარჯოს,
საქართველოვ!

1952

* * *

მე არა ერთხელ გამიგონია
ნატვრა მიწაზე, –
სულ ერთ მტკაველზე;
– ახლა თბილისში გამარონია,
და მერე მომკლა –
აღარ დავეძებ!
რამ დაგამგვანა ასე ანდამატს...
რაშია საქმე, მართლა და მართლა...
ან შენ ასეთი რა ხარ,
ანდა მას,
ვინც შენა გნატრობს –
რა დაემართა?!

არ იოცნებო – არა მგონია –
მტკვარზე, ვერაზე...
და რუსთაველზე...
– ახლა თბილისში გამარონია,
და მერე მომკლა –
აღარ დავეძებ!

1959

ეროვნული ფონდი

ღმერთკაცი

ხელში გელათი უჭირავს ერთში,
წიგნი უჭირავს მეორე ხელში.
მეფეა
კახთა,
სომეხთა,
რანთა,
აფხაზთა,
სვანთა
და უდიმართა.

ტანზე ქრისტესი აცვია კვართი,
გადაჰყავს თევზნი რიონში მტკვართით.
მზეია კახთა,
მთიები — რანთა,
ლიფლიფი —
სვანთა და უდიმართა.

მხარზე ვეება გაუდევს ლოდი
და მოდის —
თითქოს უტვირთოდ მოდის! —
მეფენი შვიდნი
ვინც პურად დასხნა,
საზღვართა გარე
ვინც მტერნი გასხნა,
იმერთა წყალთა
ვინც თევზნი შთასხნა,
ვინც
ვერ ისვენებს საფლავში ახლა.

1972

ანი და ჰოე

მოვიდნენ 13 მამანი შუამდინარიდამ; მიეგება ევლავიოს კათალიკოზი და მოიკითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ ქართულ პასუხ-უგეს".

საქ. საეკლესიო ისტორია

ფიქრებში იელვებს ტაძარი ხატულა;
დღეჲ დღევანდელი
უეცრივ წამერთვის:
ქართლად იჩქარიან, —
მეტყველნი ქართულად, —
შუამდინარეთით
მამანი ცამეტნი.

— ქართული საიდან?!
ნანგრევებს გავძახი, —
საიდან?! საიდან?! —
ნანგრევი რას მეტყვის!..
გახარებულია ხელმწიფის სასახლე:
ქართულით უბნობენ
მამანი ცამეტნი.

მცხეთით დაწყებული, — გასრულდა მცხეთაში:
სიახლე მძვინვარებს
უძველეს ბალავარზე...
— ანი და ჰოე ვართ
ქართლისა მე და შენ! —
გიორგი მეთორმეტეს
ეტყვის ფარნავაზი.

1972

დავითი

მუნით მოსკოს მეფე ვახტანგს ვეახელ და თაყვანსა ვეც.

დ. გურამიშვილი

ჯდა ვახტანგ მეფე მარტოკა, —
უხანჯლოდ და ულახტოდა.
მაღლიდან ნახა: სირბილით
კიბეზე კაცი ახტოდა.

ავარდა —
მეფეს წარუდგა
და ფერხთა მისთა წინარე
დაემხო —
მიწას აკოცა...
ვახტანგმა:
— ნეტავ ვინ არი?

ერთხანს უმზერდა ხელმწიფე
და როს უბრძანა: — ადექი!
წამოხტა — წელში გასწორდა.
ვაჟკაცი წარმოსადეგი.

შეხედა —
იცნო —
გაოცდა —
წამოიძახა:
— დავითი!

თვალწინ დაუდგა
მიწა და
ზეცა და
ხალხი თავისი.

1959

კრწანისი

ეს ადგილი კრწანისია! –
დაისთაგან ქართლისათა
რიგით ბოლო დაისია!

აქ ქართველნი ჩაიხოცნენ, –
მტკვარი გახლავთ ამის მოწმე.

ამ მიწაში წვანან ახლა
კაცნი ყველა გორისანი;
მხნედ ხმარობდა ზოგი ფარ-ხმალს,
ზოგი გახლდათ მოისარი.
წევს წყნეთელი კახის ფერხთით,
კარსნელს მიწაც კი არ შეხვდა!

არბოელი
უწევს გვერდით ქიტესა –
ხევსურს –
პირიქითელსა.

1972

პასუხი

სველია თუმცა
ქვრივთა ცერემლით ქართლის მინდვრები,
დედა ქართვლისა
უფრო ხშირად ვიდოდა ძაძით;
მაგრამ ხალხს,
მჯერა,
კიდევ შერჩა ცრემლი იმდენი, –
კვლავ რომ დაღვაროს, –
თუ კაცური მოუკვდა კაცი!

დღემდეა თუმცა
წყალწითელა სისხლით წითელი,
მომხდურს
ქართველის არ უნახავს რადგანაც ზურგი;
მაგრამ,
ჯერ კიდევ,
ღვთით, შემოგვრჩა სისხლი იმდენი, –
კვლავ რომ დავღვაროთ, –
დასჭირდება სამშობლოს თუკი!

და, თუა ვინმე, –
ეს ამბავი არ სჯერა ვისაც;
ურწმუნო იგი, –
მით უმეტეს თუა ქართველი! –
არც მკვდარს,

არც ცოცხალს –
არ ეკუთვნის მას ქართლის მიწა!
კაცი ასეთი
ცხენის ძუით არის სათრევი!

1972

* * *

მეცხადებიან თაობანი გადაცელილი;
მევე მაოცებს აძგერება ჩემი გულისა...
მე მეცხრამეტე საუკუნიდან
მესმის ურმული, – თაფლის ცრემლივით,
წვიმა მასველებს
მეჩვიდმეტე საუკუნისა.

1953

* *

იცის რაც ცოტამ –
და, რაოდენ მისაბაძია:
სევდა ვეებას
იმედი რომ ებრძვის პაწია, –
ილიასია,
ვაჟასია,
თუ საბასია.

1974

დიღმის წვიმა

...განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღმისასა. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ შევიდა ქუაბსა, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან. და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი...

ლეონტი მროველი

ფარნავაზ ოდეს პატრუცაგს წერდა, —
ვარსკვლავთა ჰკრეფდა როდესაც ციდან, —
სად იყო მაშინ ჯერ ამა ქვეყნად
მამაჲ, ძეჲ და სულიწმინდა!

ირემს გამოუდგა ფარნავაზ, —
ჯაგები აფხრეწენ ტალავარს.

იელვა, მეორედ იელვა,
ლეშტერმა დაუშვა ძლიერმა.

დიღომში, გოდლედის უბანთან, —
ღვართქაფმა უფრორე უმატა.

აღარ გადიღო რაკილა წვიმამ, -
მეფემ სასწრაფოდ მიმართა მღვიმეს.

შევიდა შიგ და —
მყის დარჩა სახტად,
მუნ უთვალავი საუნჯე დახვდა.

ოქროს,
საფირონს,
ზურმუხტს,
მარგალიტს –
იღებს,
დებს,
იღებს
ხელის კანკალით...

წვიმა რომ არა დიღმისა, –
განძს ვერ ნახავდა იგი და

განძი რომ არა დიღმისა, –
ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა.

ანი და ბანი, განი და ცანი,
ონი, უნი და ძილი, –
აღორძინება ქართლისა – მძლავრი –
იწყება
დიღმის წვიმით.

ოცდასამი საუკუნის წვიმა
ვერ დაწონის
ვერც ცხადში,
ვერც ძილად, –
ოცდასამი საუკუნის წინათ
მოსულ დიღმის წვიმას.

1972

ვარიაციები თემაზე „მცხეთა“

საქართველოა თბილისი თუმცა,
თუმცა კი არა...
რას ჰქვია „თუმცა!“
მაინც, რატომღაც
აქვს ეშხი სულ სხვა! –
საქართველოის
სადღეგრძელოს
მცხეთაში
თქმულსა.

წარსულის დიდის
არს ბუნდოვნად
აღმდგენი მკვდრეთით
მცხეთა!
უკუჰყრის წარსულს
მატარებლის
კივილი მკვეთრი –
ელდა!

2
ხმა ვახტანგისას
ინახავს სივრცე,
მიწა –
ვახტანგის ცხედარს.
ცა არც ერთ ქალაქს
არ შვენის ისე,
ვითარცა
მცხეთას.

წარსული კარგი!
ძალიან დიდიც!
აუგი ვინ თქვა!
მაგრამ ერთს ვიტყვი,
პირდაპირ ვიტყვი:
გაწი-გამოწი! –
დღეს რაც ხარ! –
ის ხარ!

1960

შუღლი

ქედზე ჩვენსაზე დადგმული უღლის,
გულში ჩვენსაში ჩამდგარი მწუხრის
დვრიტაა, გვინდა მართალი თუკი,
არა ლეკი და სპარსი და თურქი,
არამედ ჩვენივ ბუნება წუწკი
და ძველთა ჩვენთა ურთიერთ შუღლი.

1971

ვიპოვით?!

ჯურხა ნადირაძეს

ძმითა ხარ მთვრალი!
ძმობა ჩემგან გინდა რაშილა!
უნდა გაგიტყდე: —
ხან ნალდი კაცი!
კაცი კი არა, —
ალიკვალი გარიჟრაჟი ხარ! —
კაცი კაცობას უკეთუ გაცლის.

შენ საქართველოს ეძებ მიწაში,
მე ვცდილობ ცაში ვიპოვო იგი
(ერთხელ, ვეწვიეთ როცა ბიძაშენს,
ეს, თუ არ ვცდები,
პირველად იქ ვთქვი).

ვიპოვით?!
— კიო?! —
ვისმენ ზოგჯერ გულისას ძახილს.
თიმთიმებს ფიქრი,
როგორც სუნთქვით დიაცის რიდე.
ვიპოვით! —
რადგან,
როგორც დევი —
ქართველი ხალხი, —
თავს
იმდენს
ისევ

მყის
იბამდა, —
რამდენსაც სჭრიდენ.

იქნება მტერი,
ღმერთო ჩემო,
ჰოი, რა ცოდვა
(მტერი კი, აბა, ვის არა ჰყავს,
შენც კარგად იცი):
შენ ფარნავაზის რომ იპოვო
საფლავის ლოდი,
მე, ვთქვათ, თვით შოთას ხელით ქმნილი
პოემა მისი.

ვიპოვით?!
— კიო! —
ახლაც ვისმენ გულისას ძახილს.
თიმთიმებს ფიქრი,
როგორც სუნთქვით დიაცის რიდე.
ვიპოვით! —
რადგან
დღევანდლამდე
ქართველი ხალხი, —
თავს
იმდენს
ისევ
მყის
იბამდა, —
რამდენსაც
სჭრიდენ.

1972

დავითი და კონსტანტინე

არ კი იცი, შეიძლება,
ნამყოს ცოდნის მოწადინემ,
ორი გმირი მხეიძენი, –
დავითი და კონსტანტინე.

ამბავია ძველისძველი,
იდგა მერვე საუკუნე
(უცნობია ზუსტად წელი),
ქართლს მოაგდო მტერმა ჰუნე.

ატყდა ბრძოლა საშინელი,
დედა შვილს არ აიყვანდა,
წყალს ითხოვდნენ დაჭრილები,
ბევრის გული გაიფატრა.

უცებ, როგორც ორბი ორი,
მტერს ეძგერნენ მარგველები;
მარცხნივ
კაცნი ახლდნენ ონით,
მარჯვნივ,
კაცნი თაკვერელნი.
რაი მერე?
იზამდენ რას?
მტერი იყო უთვალავი...
თავს სჭრიდნენ და უთავო ტანს
ებმებოდა ისევ თავი.

ჩეხდნენ,
ლეწდნენ,
კვეთდნენ,
მკიდნენ,
გულს გაჰქონდა ბაგაბუგი,
დავითისთვის კოსტანტინეს
მიებჯინა ზურგზე ზურგი.

ასე, ერთურთს მიყრდნობილთა
წინ მრავალი გაიმძღვანეს...
ბოლოს მაინც სძლია ბინდმა
გმირთა ორთა ნათელ თვალებს.

კაცნი მერვე საუკუნის
არ კვდებიან, გადის წლები,
სამშობლოსთვის დაღუპულნი, —
ორნი ძმანი მხეიძენი.

1972

საქართველო და... უსვეტიცხოვლო?!

სვეტიცხოველი
ნუთუ მართლა არ იყო ერთდროს?!
„– ჰე, ღმერთო, – ერთო! “–
ნუთუ მართლა არ ჟღერდა ერთდროს?!
მემატიანეს ვენდოთ?!

საქართველო და, –
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, –
უალავერდო?!
საქართველოა,
რა საქართველო?! –
უსვეტიცხოვლო,
უგელათო,
უალავერდო?!

არყოფილს ერთდროს
არ ასცდება არყოფნა თუკი! –
ვით ბრძანებს ანი,
ლაპარაკობს როგორც მარდუკი.
ერთხელ რომ იდგა, –
იხელახლებს იმგვარი დრო და...
სადღაა შენი
ალავერდი,
გელათი,
შოთა!..

სვეტიცხოველი
ნუთუ აღარ იქნება როსმე?!
„– ჰე, ღმერთო, – ერთო!“ –
ნუთუ აღარ იყღერებს როსმე?!
არყოფნის ნუთუ
არყოფილი მართლაა მოძმე?!
ეს რომ ასეა,
მზეა ნუთუ ამისი მოწმე?!
საქართველო და, –
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, –
უალავერდო?!
საქართველოა,
რა საქართველო?!
უსვეტიცხოვლო,
უგელათო,
უალავერდო?!

1972

დუმილი რეკავს

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ჯვრით, ალავერდით,
გელათით, ტბეთით...
ხმა თუა ნეტავ, —
ხმა თუა ნეტავ, —
ამ უხმო ხმაზე
რომაა მეტი!

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
თვით პეტრიწონით...
მკვდარიც კი თუა
ქართველი ნეტავ, —
ეს რეკვა მისთვის
როა ლიტონი!

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ზარზმით, ოპიზით,
ოშკით, ხახულით...
ხან ფერად შვინდი,
ხან ფერად ლეგა, —
რეკავს სამრეკლო —
ხმადაკარგული,

დუმილი რეკავს...

1973

ამერ-იმერი

ამერ-იმერი –
სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
ამერ-იმერი- —
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.
ამერ-იმერი –
არასოდეს მორჩილი ბედის.
ამერ-იმერი –
სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი.

ამერ-იმერი –
უძველესი ქვეყანა ღვინის.
ამერ-იმერი –
დედამიწის ლამაზი შვილი, –
წყალწითელათი,
ყვირილათი,
ჭოროხით,
ივრით:
– ნუ გათეთრდები! –
თავისობას ჰქუხდა და ყვირის.

ამერ-იმერი –
სიმხდალეში უსაზღვრო ძუნწი.
ამერ-იმერი –
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.

1972

ახალ საქართველოს

წინათ,
როდესაც შენი ზეცა იყო ყომრალი,
წინათ, როდესაც შენს ქოხებში ქარი უსტვენდა,
როდესაც თავზე დაგჩხაოდა შავი ყორანი —
მაშინ მღეროდა
შენი ვაჟა,
შენი რუსთველი...

ახლა,
როდესაც
აღმავლობა შენი ასეთი —
ყველაზე მეტად საჭიროებს იმათ გენიას,
მაინცდამაინც
ახლა აღარ არის არც ერთი!
წარმოგიდგენია?!

მაგრამ
ისე არ დავარდება,
მჯერა,
აქლემი,
რომ არაქათი აღარ ჰქონდეს
აქლემს სახედრის...
ვიდერე მტკვარი და ალაზანი მიიკლაკნება,
ვიდრე არსებობს
იმერეთი,
ქართლი,
კახეთი,

არ შეიძლება
არ გიმღეროს ვინმემ იმ ძალით,
როგორც გიმღერა
დიდმა შოთამ,
დიდმა ვაჟამ,
რადგან
არასდროს არ ყოფილა შენი მიზანი –
დიდი იმდენად,
რამდენადაც
არის ამჟამად.

1967

ამას არ უნდა დასტური სხვისი

ამას არ უნდა დასტური სხვისი! –
კარგა ხანია ვიცი:
მიწყივ მცირენი ვიყავით რიცხვით,
მტერი გვჭარბობდა მიწყივ.

ყველგან: ყანაში, ზვარში, წისქვილში, –
ხელი გვეკიდა თოფზე...
იესო ქრისტეც, გარდა რისხვისა,
გვწყალობდა კიდეც ზოგჯერ.

სხვენზე აგდია, – ჟანგის ულუფა, –
პაპის ნაქონი თოფი...
გულზე მასივებს დაკარგულობა
ორთა ურთიერთნდობის.

1972

ქართველი ამას იკადრებს?! – არა!

„1887 წელს მეორედ ვიმოგზაურე ათონის მთაზე... მივედი ივერიის მონასტერშიაც... წინანდელის წარწერის – „საქართველოს მეფენი, აღმაშენებელი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა“ – მაგიერ ეწერა: „ბიზანტიელნი მეფენი, აღმაშენებელნი ივერიის მონასტრისანი“: დედოფალის „ნესტან – დარეჯანის“ მაგიერ ეწერა: „ირინა დედოფალი“: „თორნიკე ერისთავის“ მაგიერ: „ნიკიფორე, – ბერძენთა კეისარი“.

პეტრე კონჭოშვილი.
„მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და
წმ. ათონის მთაზედ“ – ტფილისი, 1901.

გამოუყვანეს ქართულ ტაძრებს უტიფრად წირვა,
განზრახ დაფხრიწეს არა ერთი ქართული ნუსხა...
სადაც: „თორნიკე ერისთავი“ – ეწერა წინათ, –
მუნ: „ნიკიფორე კეისარი“ – დაწერეს ურცხვად.

ქართველი ამას იკადრებს?!
არა!

ათონის ლავრა ნაპარევი დიდებით ბრწყინავს, –
მკრეხელთა ურცხვი საქციელით ქრისტეა სახტად...
სადაც: „დარეჯან-დედოფალი“ – ეწერა წინათ, –
„ირინა – ბერძენთ დედოფალი“ – წერია ახლა.

ქართველი ამას იკადრებს?!
არა!

გვინგრევენ წარსულს,
გვაოხრებენ, —
ჩვენ ყურზე გვძინავს.
იგივე ხდება,
უცხოეთში კი არა,
აქაც:
აგერ,
ჩვენს თვალწინ, —
ძველი ძეგლი, —
ზედ ხრამის პირას,
კაცმა არ იცის,
სად,
როგორ გაჰქრა.

ქართველი ამას იკადრებს?!
არა!

რაც შეუძლიათ მუშაობენ
წერაქვით,
ნაღმით:
სადაც ქართული წარწერაა,
თავისას წერენ...
ისაკუთრებენ,
ერთდროს ჩვენმა რაც შეჰქმნა ხალხმა, —
და...
„ჩვენიაო!“ —
გაჰყვირიან საქვეყნოდ მერე.

ქართველი ამას იკადრებს?!
არა!

ქართველი კაცი ბუნებით არაა პლაგიატორი:
ყვავი ვარ?!
ყვავად მოვკვდები!
იადონს, –
ხმა იადონის!

1974

სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი

ყველაზე უწინ ვინც გასხლა ვაზი,
ქვა სხვაზე უწინ ვინც დასვა ქვაზე,
ვინც სხვაზე უწინ გასჭედა რკინა,
ვინც სხვაზე უწინ იხმარა ინა,
ქრისტე შობამდე ვინც შექმნა წიგნი, –
სისხლად მიმოდის
დღეს
ჩემში
იგი.

მოიპოვება რა! – ქვეყანაზე!
მოიპოვება რა! – თუ გინდ ცაში!
რომ ჩემთან იგი არ იყოს ბავშვი
და სისხლის ჩემის რომ იყოს ფასი?!

1972

აპაკი

ტყე როა მწვანე,
ცა როა ლურჯი,
ზღვა როა წყნარი,
მზე როა გულში, –

ავხედავ ზეცას –
ხმა
მესმის
მისი,

დავხედავ მიწას –
ხმა
მესმის
მისი...

ქცეულა ზეცად,
ქცეულა მიწად –
საქართველოში
გაჩენის ღირსი,
საქართველოში
დამარხვის ღირსი.

1960

კვლავაც მრავალჯერ გეთქვას!

საქართველოო — ჩემო —
დიდედაო და შვილო.
შენმა ძახილმა მომკლა,
შუადღეა თუ დღეო:
— ბიჭო, არ შემარცხვინო! —
ბიჭო, არ შემარცხვინო
მოვკვდები უბიჭებოდ! —
ე, ბიჭო, ივარგეო!

საქართველოო — ჩემო —
დიდედაო და შვილო.
თუ ვერ ჩავატან გემოს
შენს ჰაერსა და ღვინოს,
თუ ვერ ჩავატან გემოს
შენს ჰაერსა და ღვინოს! —
ღმერთმა შენც შეგარცხვინოს
და შენი შავი ღვინოც!
(გეხუმრე, — არ გეწყინოს!)

საქართველოო — ჩემო —
დიდედაო და შვილო.
შენი კეთილი გული
ნუ მომიშალოს ღმერთმა:
— ბიჭო, არ შემარცხვინო,
ბიჭო, არ შემარცხვინო! —
კვლავაც მრავალჯერ გეთქვას.
გეთქვას,
გეთქვას და გეთქვას.

1964

* * *

ხავილად მიჩანს ენგურის ზათქი,
იერიქონის ღიმილს მგვრის ბუკი...
ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, —
ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

როსმე ფრიადი ქვეყანა ქართლი, —
დღეს ერცახეა, ვით ტყემლის კურკა...
ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, —
ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

ყველაფრის კარგად შევიტყვე ყადრი,
გადავეჩვიე დახევას უკან...
ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, —
ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

1972

ყოველი ტოტი და ტოტისტოტი...

ყოველი ტოტი და ტოტისტოტი
და ტოტისტოტისტოტი ყოველი
საქართველოთი თუა სოველი, —
ვინ ეშმაკია თვით სამოსელი!

1975

მრავალჭირვარამგადანახადი

მრავალჭირვარამგადანახადი,
უნატიფესი ენა ქართული,
ყველაზე კარგად რომლის ლაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული;

ვინ იცის,
მტარვალს გადურჩა რამდენს,
ვინ იცის,
მტერი ჰყავდა რამდენი...
მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე,
არ აღმოიფხვრა,
არ გაცამტვერდა.

დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე!
ლარი და ხაზი ამას რად უნდა...
ჩვენ უნდა შევძლოთ,
და კიდეც შევძლებთ! –
კვლავ იძლიეროს
ენამ ქართულმა.

1957

გურამიშვილის არ იყოს

ვიტყვი, –
ჯვარზე მაცვან თუნდა:
გამოადგე მამულს უნდა:
ან
სიცოცხლით,
როგორც ვაჟა!
ან
სიკვდილით,
როგორც ცხრა ძმა! –
არ არსებობს
სხვა გზა!

ვაჟო, მამულის ტარიგო, –
შემკულო ვაჟას ენითა,
გურამიშვილის არ იყოს:
– შენა გწადს
აწ რომელითა?!

1973

* * *

მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს;
ვალს, ისიც ზოგჯერ, გვახსენებს ისლა...
სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მედარდვის სისხლი.

გულს ეძგერება სადმე ლახვრისებრ
ხავსმოდებული ხანდახან ციხე...
სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მედარდვის სისხლი.

1972

ქებად და დიდებად ქართულისა ენისად

„...ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს...“

იოანე ზოსიმე

ენა ისეთი, — ქართული როა! —
მიწაში კია, მაგრამ მიწაზე?!
ღირსი თვით შოთა ჰა და ჰა თუა
განხსნად საბელთა ხამლთა მისთასა.

ენა რომ არა, ისიც ასეთი,
როგორც იტყვიან: ყალმით ნახატი!..
შენი თვით შოთა რასაც დაწერდა, —
ერთი იმასაც ვნახავდი!

1973

* * *

ჩემს უკან, ღმერთმა ქმნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნას
საბა

ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა,
ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ
ქართველსა ქართლი.
— ორბელიანმა თვალისჩინი დაჰკარგა ალბათ!
— პირიქით! —
ერთობ კარგად ხედავს და მიტომ სტირის.

მამული
სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა —
წვიმას ვერ იტანს...
დროდადრო
ცრემლი
ისე
წვეთავს
საბას წვერიდან, —
თითქოს
თოვლივით თეთრი წვერი —
თოვლივით დნება.

1953

ეროვნული ფასეულობანი

რაშია საქმე?!

(პასუხად ყველას, — ერთს ჰქადაგებს ვინცავინ ენას!)

კი, მაგრამ...
ღმერთი აღარაა?!
ბნელა?! —
ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი ჰგონია ენა!!

ვინმემ,
არცაა გასაკვირი, —
არ იცის იქნებ, —
ქრისტეს შობამდე რომ შეიქმნა ქართული წიგნი.

არა!
ეს ასე რომ არ იყოს,
კიდე, — ხო, —
მარა! —
ასე
რომ
არის?!
არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მე მგონი, ცოტა
არც იმას, —
წერდნენ რა ენაზე ვაჟა და შოთა!

კი, მაგრამ...
ღმერთი აღარაა?!
ბნელა?! —
ქართული იქნებ ვინმეს მდარე ჰგონია ენა?!

1974

იმდენი სიცოცხლე

თენდება...
ზეცა ჯერჯერობით ცარიელია...
ჯერ კიდევ მთათა გადაღმაა დიადი მზე...
დილა რამდენიც გათენდება ამიერიდან, —
იმდენი სიცოცხლე შენ!

გათენდა!
მინდვრებს განეფინა ბევრი ნათელი...
ეალერსება დედამიწას დიადი მზე...
ახლა ფოთოლი უშრიალებს მუხას რამდენიც,
იმდენი სიცოცხლე შენ!

იყოს, სამშობლოვ, კურთხეული შენი ყანები!
კურთხეულ იყოს შენი ზღვები, შენი ხეები!
მდინარეები — ქალიშვილის თეთრი მკლავები,
ქალიშვილები — უკარება მდინარეები!

პატარ-პატარა ღელეებიც იყოს დღეგრძელი!
კრიალა ზეცას გიმშვენებდეს მთვარე ნაცნობი!
დღემდე არავის შეუძლია — შენ რაც შესძელი! —
ამიერიდან შენ იცი და... შენმა კაცობამ!

1954

ფრანგული ლექსიდან

ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ

კაცი რომ კაცად არ გსურდა გვეცნო,
რომ გავურბოდით ქვეყნის შენებას,
რომ გვაბრმავებდა მიზნები კერძო,
თავი რომ ყველას მეფედ გვენება, —
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ,
ამან რაც გვიყო, —
მოგეხსენებათ.

ღირსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ ვგრძნობთ,
ძმას ცოცხალს საფლავს რომ ვუთხრით ახლაც,
სამშობლოვ ჩვენი რომ გვიჯობს ეზო,
რეგვენი თუა, — ის რომ გვსურს მაღლა, —
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ, —
ეს გზა რას გვიზამს, —
იმასაც ნახავთ.

1968

რისთვისღა...

წავალთ,
ჩვენც წავალთ,
ვით ჩვენამდე წაბრძანდა ბევრი!
რომ წავალთ, –
ჩვენგნით რა დარჩება ამქვეყნად მერმე?!

როდემდე უნდა იამაყოს ქართველმა ხალხმა
ისევ და მხოლოდ:
გინდ შოთათი,
გინდა ცოტნეთი?!..
დევგმირთა ძველთა
ვერ შევმატებთ უკეთუ ახალთ?! –
რისთვისღა ვხედავ ამდენ ვაჟკაცს?! –
ვაჟკაცს მოტრეტილს!

1973

* * *

ქუხდენ მუხები,
ქუხდენ ჭადრები: –
ნუ გათათრდები!
ნუ გათათრდები!

ქუხან მუხები,
ქუხან ჭადრები: –
ნუ გათათრდები!
ნუ გათათრდები!

ქუხილი მათი,
ძახილი მათი:
ქუხილი მუხის,
ქუხილი ჭადრის, –
ვაითუ, მარტო შენ გესმის, მუხრან?!

– ეგ ღმერთმა ნუ ქნას!
– ეგ ღმერთმა ნუ ქნას!

1972

თუ სიკვდილია...

გადავლახავდი დრო-ჟამის მიჯნას,
ვიქათქათებდი, ვით ალავერდი, —
მიზანს და სიკვდილს მიზნისას მიზნად, —
დედა რომ არა ორთავეს ერთი.

ვერ მივაღწიე,
ვერ ვეღირსე უკეთუ მიზანს,
ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, —
რა ბედენაა დიდუბის და მთაწმინდის მიწა!..
თუ სიკვდილია! —
აი, წოლა მესმის შამქორში.

1972

კეძებ და კეძებ

თქვი

მას უკან,
რაც გაჩნდა ხალხი –
ერთს გემუდარები მიწყივ:
თქვი...
თქვი...
თქვი! –
ღირს? –
ღირს თუ არ ღირს! –
პასუხის გამხადე ღირსი.

უაზრო ხმაური არ მსურს.
უაზრო დუმილი მიჭირს.
უკეთუ არ გამცემ პასუხს –
შეკითხვის წამართვი ნიჭი.

1960

* * *

უფრო სიხარულობს
ჩემი სიხარული,
შენ რომ იზიარებ,
ის რომ იზიარებს.
თითქმის სიხარულობს
ჩემი მწუხარებაც,
შენ რომ იზიარებ,
ის რომ იზიარებს.

თუა სიხარული! —
ასეთი კაცი ვარ,
არასდროს ვიკითხავ: —
ვისი არი?

ვისიც უნდა იყოს,
თუა ჭეშმარიტი,
ვიზიარებ.

არის მწუხარება?!
რა საკადრისია,
იკითხოს კაცმა:
ვისი არი?
ვისიც უნდა იყოს,
თუა ჭეშმარიტი,
ვიზიარებ.

უფრო სიხარულობს
ჩემი სიხარული,
შენ რომ იზიარებ,
ის რომ იზიარებს.

1952

სულაც არ მიკვირს...

სულაც არ მიკვირს, –
ცერად როა დღეს ჩემთან ვინმე! –
ღრმა გაცნობამდე
ვინაიდან ასევე ცერად
იყვნენ ჩემს მიმართ, –
დღეს, – ერთგულნი
ძმაკაცნი ჩემნი!

სულაც არ მიკვირს,
დღეს განზახ რომ არ მამჩნევს ზოგი! –
ღრმა გაცნობამდე
ვინაიდან ასევე ზუსტად
ცდილობდნენ, მახსოვს,
ჩემს არხილვას, –
დღეს – ძმანი ჩემნი!

წინაპართანი,
ღრმად დავრწმუნდი,
სწორია აზრი:
კაცი ხარ, –
კაცი უნდა იყო!
ღმერთი ხარ –
ღმერთი!
კაცი ხარ როცა
და სხვა როცა არ გიცნობს კაცი! –
ეს კია, ოლონდ,
თვით სიკვდილზე
სიკვდილით მეტი!

1972

* * *

გაივლის დრო და...
— გახსოვს?! —
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ.
აგევსება თვალები ცრემლით.

— აი,
ხომ ხედავ —
სასურველის
მიღწევა შევძელ,
— აი,
ხომ ხედავ —
გავამართლე იმედი შენი.

გაივლის დრო და...
— გახსოვს?! —
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ,
აგევსება თვალები ცრემლით.

— აი,
ხომ ხედავ —
რაც მინდოდა,
ვერაფრით შევძელ.
— აი,
ხომ ხედავ —
გავამტყუნე იმედი შენი.

გაივლის დრო და...
უნდა ითქვას ორიდან ერთი.
გაივლის დრო და...
გამოჩნდება ახალი ვინმე.
გაივლის დრო და...
— თქვი,
რომელს გეტყვი! —
მეორეს?!
პირველს?!

1955

* * *

ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გაიმეტებს, —
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!

ხოდა...
ან გამყიდე,
ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყი,
ან...
რალაც ამგვარი.

თვარა,
ხომ იცი, ღმერთი რავარია!
ვინ იცის, სიკვდილს როდის გაიმეტებს!
რა გააძლებინებს ისე ადამიანს, —
თუ არ შეიქცია თავი რაიმეთი.

1961

* * *

Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ხორცის სიმძიმე მაიძულებს
დავეშვა დაბლა.
ცაში ვიფრენდი,
რა თქმა უნდა,
იგი რომ არა.
სიტყვას ვიტყოდი,
რა თქმა უნდა,
უფრორე მძაფრად,
იგი რომ არა.

ხარ ხორციელი –
სიდიადეს ვინ დაგიჯერებს!
სხეული შენი
შენ ულმერთოდ გაპატარავებს.
ღმერთიც რომ იყო –
სიტყვას შენსას შორს დაიჭერენ!
– პატივს გცემს ვინმე?
– გიცნობს ვინმე?
– ალბათ, არავინ!

რას წარმოადგენს
თავისთავად შენი ცხოვრება?
– მუდამ,
ყოველდღე –
იმედების გაბედითებას!

— რა გელოდება?
არაერთხელ ჩაიქოლები!
— კიდევ რა გელის?
— ჯვარცმა!
— მერე?
— მერე... დიდება! —
ოდეს
ხორცისგან განიტვირთები.

1959

ბიჭები

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი.

პირველი: —
თვალი რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი
სიბრმავის ნიჭის.

მეორე: —
ენა რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი
დუმილის ნიჭი.

მესამე: —
ჭკუა რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი
სიბრიყვის ნიჭი.

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი.

1962

ფიქრი

ვეწევი პრიმას...
უხმოა კვამლი.
ხმას არ იღებენ კედლები სახლის.
ტახტი,
მაგიდა,
კარადა,
სკამი, —
აი, ოთახის შიგნით რაც არის.
ქალაქებია,
სოფლებია...
არიან ხალხნი, —
ფიქრი ფანჯრიდან გავიდა გარეთ
და
გადაემხო ხმელეთს ცასავით.

ზღვა.
ცისარტყელა.
ნაკადული.
ბალახი.
წვიმა.
ქუჩა.
ჰაერი.
გაზაფხული.
ღიმილი.
ღელვა, —
ყოველი,
ყველა,
ყველაფერი, —
რაც იყო წინათ, —
კვლავაა ყველა.

შენ კი, –
სამეფო ვისაც გეპყრა
უსაზღვროდ ვრცელი,
შენც, –
ოფლი ვისაც გაღვრევინა
მონის უღელმა, –
აღარ ხარ, –
რადგან მზის ხელთაა სიკვდილის ცელი!
აღარ ხარ, –
რადგან
სულერთია მზისთვის სუყველა!

ვეწევი პრიმას, –
მეყურება ჭიკჭიკი ჩიტის...
გადის დუმილი ოთახიდან
ნაბიჯით ზანტით...
შემოდის მამა,
და შემოდის,
მყარდება ბინდი...
ფიქრიც გარედან ფეხათრევით
შემოდის შიგნით
და
ჩვენ
ყველანი
დიდი ამბით
მივირთმევთ სადილს.

1954

პოეტი

არ გაუგია მთელ ქვეყანას გაჩენა მისი
(იმ დროს, არც იყო,
კაცმა რომ თქვას,
ის ამის ღირსი).

იგი რომ გაჩნდა –
გაზაფხული ყოფილა თურმე.
მთელი სოფელი გაკრეფილი ყოფილა ველად.
ეკიდნენ ხარებს...
ღიღინებდნენ...
გუთნიდნენ მიწას...

ამბავი მისი გაჩენისა,
არამცთუ ყველას –
სოფელსაც კი არ გაუგია მთლიანად მისას.

სახელი მისცეს...
გაიზარდა...
აჰკიდეს ტვირთი
და ზურგზე ტომრით გაისტუმრეს წისქვილზე ერთხელ...
მდინარის მიღმა შრიალებდა მინდორი დიდი,
ნაკადულივით მიდიოდა ბილიკი ტყე-ტყე.
...შეხედა მთვარეს –
გაეხარდა დანახვა მთვარის...
აენთო სული –
ხორცმა ცეცხლი იტვირთა მხატვრის...
იწვოდა, მაგრამ მისი სულის ელვარე ალი

ვერ განეშორა სახლის სარკმელს,
ვით შუქი სანთლის.

თანდათან სანთელს მიენიჭა თვისება ნერგის;
კი არ დგებოდა —
იზრდებოდა ხესავით იგი...
და ნელა-ნელა
ეს სანთელი —
ოდენა ნეკის —
მზედ გადაიქცა და განეფინა ყველაფერს ირგვლივ.
ქურანს მოახტა —
სულმა სივრცე ისურვა როცა...
ჰქრიდა,
ეგონა: —
ხორციანა ცათამდე ავალ...
ვერ გადაახტა იგი საფლავს
ისე, რომ ხორცი
არ ჩავარდნოდა სამარეში,
ვითარცა მრავალს.

გაჰქრა.
დამარხეს.
დასამარდა — სიცოცხლის ღირსი...
აღმართის შემდეგ,
თავდაღმართზე დაეშვა ხალხი...
და თუ გაჩენა ვერ შენიშნა ვერავინ მისი,
ვით თრიმლის ძირას,
წვიმის შემდეგ,
ამოსვლა ვარყის, —

სამგიეროდ, –
ოდეს ხორცი მიეცა მიწას,
ოდეს ლექსშიღა ხმაურობდა პოეტის სისხლი, –
ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა,
თხემით ტერფამდე
იგრძნო ხალხმა
დაკარგვა მისი.

1959

* * *

კაცისა, ძმაო, გასაჭირი არ იცის კაცმა:
ატყუებს ხოლმე
ხან სახელი.
ხან თმა.
ხან ჩაცმა.

მე რომ დღე მადგას
(არ მახსოვდეს, რაც მახსოვს, ნეტა)! –
გამჩენმა ის დღე,
მტერს, – მოსისხლეს აშოროს ჩემსას.

კაცისა, ძმაო, გასაჭირი არ იცის კაცმა,
და, რომ იცოდე,
რომ იცოდეს, –
საჭირო არც არს!

1972

* * *

არარაობა ყველაფერი მგონია ოდეს
(კიდევ კარგი რომ
იშვიათად ეს ხდება ხოლმე)
და აღარ ვიცი
რით დავლონდე,
რა მიხაროდეს,
ანდა იმედი
რისი მქონდეს! –
რისი არ მქონდეს! –
იმდროს,
იმჟამად –
ერთადერთი შენ ხარ მარტოდენ –
ძალუძს რომელსაც
ჩემზე სევდა არ გაბატონდეს.

შენ რომ არ იყო! –
მე წარმოდგენა,
წარმოდგენაც კი
არ ძალმიძს ამის! –
წინაშე შენსა –
მზევდება ენა!
წინაშე შენსა –
დღევდება ღამე.

1958

ეფემერა ეფემერა

* * *

უდღეისდღეომ და უწარსულომ –
სიტყვა ვინა თქვა უაღსასრულო!
დღეო დღეისავ და გარდასულო! –
ხორცის კი არა –
სულისა სულო! –
სიტყვა მაღირსე უაღსასრულო.
ვიდრე გავხდები მე უსხეულო.

მეტყვი თუ არა რაიმეს, სულო?!
მეტყვი თუ არა რაიმეს, სულო?!
უაღსასრულოს და უსასრულოს, –
ვითარცა ცხვარი,
ვითარცა ღვინო, –
სხეული ჩემი რომ შემოგწირო.

1959

* * *

ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
გაივლის ქარელს...
გაივლის შინდისს...
ხან ხიდზე გადის,
ხან მიდის მინდვრით...
ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

შენ გზა მითხარი,
ის გზა, რომელიც...

ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

1959

კაცია და გუნება

ზოგს აშკარად ეტყობა –
ჩემი არ ეყურება,
რა ვქნა, რა გაეწყობა! –
კაცია და გუნება.

ზოგს პირიქით, ჩემდარი
არავინ ეგულება,
ესეც ბუნებრივია! –
კაცია და გუნება.

არაფერი გულწრფელი, –
კაცს არ გაემტყუნება.
ღმერთი ყველას უშველის! –
კაცია და გუნება.

1962

* * *

თავს ვინც იტყუებს, –
იმ ნეტარის ხანმოკლე სიცილს
ითმენს ღიმილი, –
თავს ვინც ველარ იტყუებს, –
მისი.

1973

ზღვა

აიზნიქება ტალღა ლურჯი, უზარმაზარი...
დამუქრებული... ნაპირისკენ მოემართება...
ასკდება მიწას,
დაიფშვნება,
დაშოშმინდება...
და...
იხევს უკან,

კიდევ და კიდევ...
ტალღა ისევ აიღუნება,
კვლავ დამუქრებით ნაპირისკენ გამოენთება, —
კვლავ დაიფშვნება,
დაიმსხვრევა,
დაშოშმინდება...
და...
იხევს უკან

შევყურებ მე ზღვის მძლავრი მკერდის აწევ-დაწევას...
მეცნაურება: უსაზღვრობის სურვილი მძაფრი...
ბორგავს და... როცა დაოკდება, როცა დაცხრება, —
მეცნობა ესეც...
და უსიტყვოდ ვშორდები ნაპირს.

1953

პესიმისტის რეპლიკა

(ჩაწერილი სუფრაზე, ექიმის ოჯახში)

ეს ჩემგან კია მეტისმეტი თუმცა სიმკაცრე,
მაგრამ
ყოველთვის,
ცნობილია,
არ ხამს ალერსი;
დაღონებული როა კაცი, –
მესმის იმ კაცის!
გახარებული კაცის, –
არ მესმის

ვინც გინდა იყავ, –
გინდ არქიფო,
თუ გინდა ზაქრო! –
რა გიხარია, შე შობელძაღლო!

1971

ეცადა ზეცად

* * *

„...და იუდა ისკარიოტელი, ერთი ათთორმეტთაგანი, წარვიდა მღუდელთ-მთავართა მათ მიმართ, რათა მიჰცეს იგი მათ... და ჰსცემდეს მას თავსა ლერწმითა, და ჰნერწყვდეს მას...“

(სახარება მარკოზისი. 15.19)

კაცი, —
ცათამდე მართალი თუნდა, —
ყველამ რომ ფურთხის ჩათვალოს
ღირსად,
ამას,
მისივე მეგობრის მხრიდან,
სხვა არაფერი,
კადრება უნდა!

იყო ეს ასე,
ასეა ახლაც
(ნურვინ იტოშებს,
ამას რომ ვბედავ),
ასეა, რადგან
სიმართლეს ქვეყნად
პატრონი არ ჰყავს,
ნამუსის გარდა!

1973

* * *

წუთისოფელი სავსეა მწვანით,
სავსეა წვიმით.
სავსეა მთვარით;
და
რაზე უნდა გეჭიროს თვალი,
და
რაზე უნდა დახუჭო თვალი.
და
როგორ უნდა გაართვა თავი
და
როგორ უნდა გაართვა თავი
მზეს,
მთვარეს,
წვიმას,
შუადღეს,
ღამეს, —
რომ არა ხორცი იყო,
არამედ
იყო უხორცო სიცოცხლის ღირსი! —
ვერავინ გეტყვის,
არავინ იცის, —
თვინიერ სისხლის, —
შენივე სისხლის.

1960

* * *

თუ ენდე ვინმეს,
თუ შენც გენდო,
ვინც გინდა იყავ, —
ვიტყვი;
ძალიან,
ო, ძალიან კარგი რამეა!
მე მიყვარს შენთან ლაპარაკი,
დუმილიც მიყვარს,
მე შენთან ერთად სიარულიც
მიყვარს ძალიან.

და
ყველას,
ყველას,
ვისაც ვიცნობ,
სრულიად ყველას,
დღეს
შენი აზრი
(ხვალ ექნება)
რომ ჰქონდეს ჩემზე, —
გამიხმეს ენა! —
თუღა ვინატრო
(დღეს ვნატრობ თუ?!)
უფალი შემწედ.

1959

* * *

მიწას –
ჩემსას, შენსას, მისას –
ცა დაჰყურებს –
არავის.

აი, მთვარე.
აი წვიმა.
აი, თოვლი,
აი, ნისლი...

და, ეს მთვარე.
და, ეს წვიმა.
და, ეს თოვლი.
და, ეს ნისლი
(ჩემთან – ჩემი,
სხვასთან – სხვისი) –
არის ვისი? –
არავისი!

მიწას –
ჩემსას, შენსას, მისას –
ცა დაჰყურებს –
არავისი.

1959

მგზავრები

— არ გავთავდი?!
— შენ ჩემი თქვი!
— არ ჩანს მაინც?!
— ჯერ არა.

— უი!
ე... ე!..
— ესე იგი —
გვეშველება და ეგაა.

1960

* * *

სხვისიც ყოფილა,
თუ ყოფილა
ჩემს თვალზე ცრემლი.
ვყოფილვარ სხვისი სიბრალულით მრავალჯერ ჩუმად...
ყოვლადძლიერო, გახარება თუ გინდა ჩემი, —
უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ.
და კიდევ,
თუ არ შემომწყრები,
მისმინე ერთიც:
სიხარბე ახლავს, სამწუხაროდ, სიხარულს რადგან, —
თუ შემიძლია, დამაყენე იმდენად მაღლა, —
არ შეეხარბოს სიხარული არავის ჩემი.

1963

* * *

დაიგრუხუნა,
გავარდა მეხი.
გადაიწერა პირჯვარი გლეხმა.

მეხმა მუქარით:
— გიტირებ ყოფას!
გლეხმა ღიმილით:
— რა გაეწყობა!

1958

* * *

დიდი ხანია თქმა იმისა უზურში მქონდა,
რაც კაცმა ერთმა ჩემს შესახებ, წინარე ჩემზე,
თქვა ისე,
როგორც ეს შეშვენის
მარტოდენ ორთა
უსიტყვო ძმობას,
ოდეს ღმერთი არს მათი შემწე.

სულ რომ არ არის ხოლმე საჭირო, —
იმ დროს იმდენად მეზრდება სული, —
რომ სულის ჩემის ვექცევი ჩრდილში!
ეს შეიძლება კარგიც იყოს და თვალსაჩინოც,
მაგრამ ამაში ისაა ცუდი,
რომ სულის ჩემის ჩრდილი ზოგჯერ
ჰგონიათ სხვისი.

1959

* * *

კაცი ხარ მაშინ,
თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი,
როდესაც იცი,
ზედმიწევნით როდესაც იცი:
რა არ უნდა თქვა,
რა უნდა თქვა,
როგორ უნდა თქვა,
სად არ უნდა თქვა,
სად უნდა თქვა,
რატომ უნდა თქვა.

ცხრა თვალი გმართებს,
ცხრა ყური გმართებს, —
ნათქვამი შენი,
ვითარცა სხვათა, —
არ გახდეს, რათა
სხვების და სხვების
„გულისხმიერი"
განხილვის მსხვერპლი.

1960

* * *

უნდა გასცვითო
რამდენი ბონდი,
უნდა იტვირთო
რამდენი ლოდი.
უნდა იგუო
რამდენი ჭოტი,
უნდა იწვნიო
რამდენი შოლტი,
უნდა გასწყვიტო
რამდენი ბარდი,
უნდა ახადო
რამდენი ფარდა,
უნდა დაღვარო
რამდენი სისხლი,
უნდა ჩაყლაპო
რამდენი ზიზღი, —
კაცი
რომ
გახდე
კუთვნილის ღირსი.

1973

* * *

ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.
წარსულში ვეძებ,
აწმყოში ვეძებ,
მერმისში ვეძებ,
აკვანში ვეძებ,
კუბოში ვეძებ,
ჰაერში ვეძებ...
ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.

ვიცოდე მაინც,
ვიცოდე მაინც, —
რა არის, —
რასაც
ვეძებ და ვეძებ.

ა, კაცი! —
იცის — გასაღებს ეძებს.
ამოუვარდა ჯიბიდან წელან.
მას ეხმარება
მეუღლე,
შვილი,
ცოლისდა,
სიძე,
სიდედრი,
დედა.

ეძებენ სკამზე.
ეძებენ სკამქვეშ.
ეძებენ ტახტზე.
ეძებენ ტახტქვეშ
და...
იპოვნის კიდეც ერთ-ერთი ალბათ.
მე?!

1965

* * *

ბედი ტრიალებს.
მიწა ტრიალებს.
შლის წარამარა დუმილი შრიალს;
ხან უფოთლოებს,
ხან ფოთლიანებს, —
ხეები ტოტებს თვალებში მჩრიან.

მოემართება ფანჯრისკენ ტოტი...
ცოტაც და...
ფოთოლს მინას შეახებს...
რამხელა გახდა
მეზობლის გოგო!
როგორ დაბერდა
ჩვენი მებაღე!

1976

ძახილ-წუხილი

— აქ დაამთავრო, ჯობდეს ეგება! —
სიკეთე მინდა მე მხოლოდ შენთვის!.. —
ის კვლავ თავისას მიერეკება, —
ზედ არ უყურებს
პოეტი წერტილს.

— მაგ ყანწს ეს ჭიქა ჯობდეს ეგება! —
სიკეთე მინდა მე მხოლოდ შენთვის!.. —
ის კვლავ თავისას მიერეკება, —
ზედ არ უყურებს
თამადა წერტილს.

იძახის ლექსიც, ყანწიც:
— არ დაგვეკარგა, ჯობდა! —
უძვირფასესი განძი, —
ზომიერების გრძნობა!

ძახილს, ამ ორთა ძახილს, —
რატომ არ იღებს ყურად
ის უდღეური ხალხი.
ვისაც ესმოდეს უნდა?!

1972

* * *

თოვს...
ციდან
თოვლის
თეთრი,
ფართო
ფანტელი
ცვივა...

ვიგონებ
თოვლის სიყმაწვილეს –
შხაპუნა წვიმას...
ვხედავ:
სახლებში შერბის ხალხი –
ხარხარებს წვიმა...

თოვს...
ციდან
თოვლის
თეთრი,
ფართო
ფანტელი
ცვივა...

1960

უხმო ძახილი

ხბოს აბალახებს
პატარა ბავშვი;
უხმოდ ვეძახი:
— მუხრან!

ესმის
ყოველმხრივ
აცეცებს თვალებს;
ირგვლივ
არავინ ჩანს.

— მომეჩვენაო! —
იტყვის.
მშვიდდება...

კვლავ დავუძახებ:
— მუხრან!

თვალებს
კვლავ ირგვლივ
მიმოატარებს;
ირგვლივ
კვლავ არვინ არ ჩანს
და...
საიდანაც ხმა მიეყურება —
გამოიქცევა იქით...
მორბის...

გზადაგზა დიდდება ბავშვი...
მიახლოვდება...

მორბის...
წვერი ამოსდის...
ტანი ეზრდება...
თანდათან ახლოს მოდის...

თოვს...
მორბის მაინც...

წვიმს...
მაინც მორბის...

ყინვაა...
მორბის მაინც...

და დიადდება
უფრო და უფრო,
რაც უფრო ახლოს მოდის.

გადიან დღენი.
გადიან თვენი.
სწრაფად გადიან წლები
(სულ თხუთმეტ წუთში, —
წელი გავიდა ოცი).

აი,
კიდევაც მომიახლოვდა...
აი, სულ ახლოს არი...
და...
თითქოს მძინარს გამომელვიძა, —
ჩემს გარდა
არვინ არი.

1957

* * *

ეს ღრმა ხეობა, –
ნაკადულის აკვანი წინათ,
ახლა დუმილით არის სავსე –
ხმაურის ნაცვლად...
და
წვიმა,
წვიმა,
წვიმა,
წვიმა,
წვიმა და წვიმა –
არის მუდამდღე
ამ ხეობის
ფიქრი და ნატვრა.

1955

* * *

სულაც არ მიკვირს
სალანძღავი მე შენგან სიტყვა!
მაგინე,
მთათხე,
მკიცხე,
მბასრე,
მათრიე,
მჭორე! –
არ უქცევია ჩხირი გვერდად
არც ერთხელ ვისაც, –
ნააზრევს სხვისას
ვინაიდან ის ქირდავს სწორედ.

1972

* * *

გამისკდეს მიწა,
დამახრჩოს თოვლმა,
მივეცე შმაგი
მდინარის ზვირთებს, —
ღიმილის გარდა,
მე შენი მტრობა
თუ რამეს მგვრიდეს.

ირწმუნო დროა!
იცოდე დროა!
გეტყვი და გეტყვი
კიდევ და კიდევ:
ღიმილის გარდა,
მე შენი მტრობა,
არც შეიძლება,
რაიმეს მგვრიდეს.

1959

* * *

თევზივით უხმოდ ამომდის სული.
ამხობს ცრუთანი ქვეყანას ფიცი.
შური მშურს, შური!
შური მშურს, შური!
შური მშურს,
ვისაც ჩემი შურს, —
მისი.

1973

* * *

დღით დღევანდელით არავინ ცხოვრობს.
თუ ცხოვრობს ვინმე, –
არ ფიქრობს იგი! –
დღე დღევანდელი – ფიქრია მხოლოდ! –
მომავალზე და წარსულზე ფიქრი.

მზეს დედამიწა იმიტომ ახსოვს,
ბუხრიდან მიტომ ამოდის კვამლი,
რომ შეხვდეს ხოლმე საკუთარ წარსულს –
ადამიანი –
ხანდახან მაინც.

1966

* * *

არ იქნები რადგან ხვალ,
(ვინ ყოფილა ქვეყნად სულ?!)
რაკი ხარ, –
ვიდრე ხარ, –
გსურს რომ იყო,
როგორც გსურს.

ასე იყო ყოველ დროს,
ასევეა დღეს.
ერთი სიტყვით:
საწუთრო
ეს არი და ეს.

1961

* * *

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“
უარყოფითი დაჰკარგა ჟღერა!
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, —
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა! —
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!

სცდება, ვინც ვინმეს სიფიცხეს უქებს!
ვინც ითმენს, ისიც არაა ბრძენი!
საქმე მაშინლა იქნება უკეთ,
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!

1971

* * *

შენ — შენზე ჩემი ხარ ფიქრისფიქრი,
მე — ფიქრისფიქრი ვარ ჩემზე შენი
და ფიქრისფიქრისფიქრია იგი —
მე და შენ შორის, რაც ითქმის ენით.

მას კი, რაც სივრცით მზის არის ტოლი,
გამოთქმა რისიც, —
თვით დუმილს უჭირს! —
ღიმილით ამბობს სხეული ორი,
ვითარცა ერთის ტუჩი და ტუჩი.

1965

* * *

ვინ დაიჭირავს სიკვდილსა?!
წინ გადუდგება ვინ?!; —
კუმურდოელი?!
მრუელი?!
ბრელი?!
ჰერელი?!
რამდენი წიგნი დარჩება
წაუკითხავი!
რამდენი რამე დარჩება
დაუწერელი!

1960

* * *

აღსდგა მკვდრეთით
მხოლოდ ერთი.

ნახა ღმერთი
მხოლოდ ერთმა.

ზღვის გამკვეთიც, —
ისიც კვერთხით, —
გახლავთ ერთი.
მხოლოდ ერთი.

გინდა ღმერთი,
გინდა სპასპეტი, —
იყო ერთი,
არის ერთი.

1972

* * *

როგორ ფიქრობენ
არ ვიცი სხვანი,
ჩემი ღრმა რწმენით
კი ასე გახლავთ:
რომ არა ქვეყნად
იმედი ხვალის,
უმალ სულ-ხორცის
მოხდება გაყრა.

როგორ ფიქრობენ
არ ვიცი სხვანი,
ჩემი ღრმა რწმენით
კი ასე გახლავთ:
იმედი ქრება
როგორც კი ხვალის, —
სულ-ხორცის
ხდება მაშინვე გაყრაც.

1972

* * *

საკუთრ თავზე უფრო საოცარს
ქვეყნად რაიმეს მხოლოდ ის ნახავს,
ვინც ხმას,
ვით ქვევრი
ისე გამოსცემს,
თავს ვინც არ იცნობს
საკუთარს კარგად.

1973

* * *

ვიყავი მარტო:
წვიმდა...
წვიმდა...
მუდამდღე წვიმდა...
უშენოს
წვიმამ მომაბეზრა
თავიც და ტანიც...
ახლა, რომ წვიმდეს, —
ორთავეს გვინდა, —
და წვიმა
ახლა აღარ მოდის
მაინც და მაინც.

1960

* * *

დღეს,
დღენი შავნი
ოდეს თეთრად ჩანან ბეწვებად,
დღეს უფრო მჯერა,
რაც აქამდე
არც ისე მწამდა:
თმას, ჩანს,
თვით სულში,
კაცის სულში უდგას ფესვები, —
ფერით გამოთქვამს
ვინაიდან
ის სულის ზამთარს.

1972

* * *

დროს ვინც ემდური,
ვინც ბუზღუნებს:
— ეს რა დრო დადგა!
გამოყოლილზე
ვინც ქაფქაფას იყუდებ კათხას,
ვინც გინდა იყავ,
დამნაშავე თვით შენც ხარ სადღაც! —
ქვეყნად
თავისით
არაფერი არ ხდება რადგან!

1973

* * *

ხორცი
მასესხა მიწამ,
სული
მასესხა ზეცამ;
თხემით ტერფამდე სესხმა —
რა უნდა გავცე სესხად.
კარზე
მადგია მიწა,
კარზე
მადგია ზეცა;
მომკლა მუდამდღე ხვეწნამ:
მადროვეთ, თქვენსა მზესა!

1959

* * *

ქალია დილა,
მიწა — ქალი,
საღამო — ქალი...
წვიმა ქალია...
ყველაფერი
ქალივით მიყვარს...
და როცა ვინმე
ჩემზე უკეთ
ადიდებს დილას, —
ასე მგონია:
მე რომ მიყვარს,
მართმევენ იმ ქალს.

1952

ქართლის გზაზე

გაზაფხულია საქართველოში:
მზე დახტნობია ყველაფერს ირგვლივ...
მოდიდებული მოღელავს მტკვარი.
დუმან ციხენი ცითმოვლენილის...
ყოველ სოფელთან სასაფლაოა
ჩასაფრებული დიდოელივით
და
მოიტაცებს წუთისოფლიდან,
კაცმა არ იცის,
ვის
როდის
იგი.

1972

* * *

მზე არი თვალწინ,
მზეა უკან,
მზეა მხარდამხარ.
არი შუადღე.
ორღობეში არ ისმის ჩქამი.
გაიფრთხიალებს ხოლმე ჩირგვში ჩიტი ხანდახან
და
მყუდროება შუადღისა ირღვევა წამით.

გახედავ ფერდობს.
გახედავ ტყეს.
გახედავ დაბლობს.
გარინდებულა ყველაფერი.
არ იძვრის ქარი:
აუტანელი ყურადღება უსიტყვოდ ამბობს: —
ადამიანო!
გელით,
გიცდით,
გისმენთ,
გვითხარი!

1950

მინაწერი წიგნზე

ასე მხოლოდ გენიოსნი წერენ! —
მხოლოდ ისინი!
მერე?! —
რაი მერე?! —
რეგვენთ სიცილი.

1972

* * *

ყველა,
უკლებლივ ყველა დაცხრება, —
დღეს ვინც ფაფხურობს!
ორგულნო ჩემნო, —
ახლა მხნენო! —
მაშინ საწყლებო! —
რა ხანმოკლეა
თქვენი ზაფხული!

1973

* * *

სხვას რომ არ ესმის შენი ლექსი,
შენ როგორც გესმის! —
სისულელეა, —
ამის გამო უკეთუ ბორგავ;
სისულელეა,
ვინაიდან,
არამცთუ ლექსი,
სიტყვაც კი ერთი
ერთნაირად არ ესმის ორ კაცს.

1971

* * *

ისე როდია მართლა საქმენი,
როგორც ზოგიერთ ვინმეს ჰგონია:
გზას არ დაჰკარგავს სანთელ-საკმელი,
კვლავ იპოვნის,
ვით უპოვნია.

1959

* * *

გზა თავისი, ხმა თავისი,
საკუთარი მიზანი —
ყველამ იცის? არა მგონი! —
მსგავსიც არავითარი.
ვინც იცის და ვინც არ იცის —
ყველა ვიცი — ვინც არი.
ნაცნობები ველარ მცნობენ,
რაც ცხოვრება ვიცანი.

1960

* * *

აზროვნებს თუკი, — ვინ არის რომ — არ არის მარტო?
ვინც არის მარტო, განა მარტო იგია მარტო?
იცის კი ყველამ, ვინც მარტოა, რომ არის მარტო?
ფიქრობს კი ყველა, მარტო როა, მარტოა რატომ?
უფრო მარტოა, ვინც მარტოა, თუ ფიქრობს: —
რატომ?

1965

* * *

ბინდი ახლოვდება,
ისმის ტია-ტია,
მოლზე ცვარ-ნამია,
ცაში — ვარსკვლავები;
არის შებინდება —
რაც განთიადია,
ერთი განსხვავებით! —
დიდი განსხვავებით!

1961

* * *

ღრუბლის ხარებზე
ელვა წითლად მიმოისახრა.
გულის სიღრმიდან
დედამიწამ ალმოთქვა სიტყვა:
— ჯერ კიდევ ერთხანს უნდა იყოს, —
რაც არის ახლა! —
რაც ჯერ არ არის,
როს იქნება, —
რომ იყოს დიდხანს.

1968

* * *

დილა გათენდება, — ვინ იცის, რამდენი!
დღე-ღამე დედამიწას ასკდება ზვირთებად;
ვეებერთელა ციცინათელა
ქრება და ინთება...
ქრება და ინთება...

1953

* * *

ბავშვობას რომ იყო,
მშობლიურ მხარეში,
იგივე მთებია,
იგივე მინდვრები...
იმდროინდელი
სადღაა ხალისი?!
ხალისი სადღაა
იმდროინდელი?!

1961

ᲣᲮᲐᲚᲮᲝ ᲥᲣᲩᲐ

სუნთქვაში ისმის
ხმაური სისხლის,
სქელია ნისლი...
შორს — ხმაა მამლის...
შედედდეს ლამის
თამბაქოს კვამლი...
სუსხია ღამის,
არსაით მგზავრი.
საათის 3.
წყურვილი მძლავრი
ქუჩაში
ქალის სხეულის გავლის.

* * *

ზეცაა როდესაც ლურჯი,
ვარსკვლავებს როდესაც ვხედავ,
ეჭვი გამკრავს ხოლმე გულში:
თავს ხომ არ ვიტყუებ ნეტა?

ვაითუ, მერმისთან შევრცხვე,
ვით ჟინჟღლი, — ქუხილის შემდეგ:
ვაითუ, ღირსია ცეცხლის,
რაც მოვისისხლფასე დღემდე.

1959

* * *

კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა,
ხემ და პოეტმა იციან მარტო:
ქალი ქუჩაზე როცა გადარბის, —
რატომ იცინის უმისამართოდ.

კაცმა არ იცის, იცის ღრუბელმა,
ცამ და პოეტმა იციან მარტო:
ქალი წვიმაში რომ ილუმპება, —
რატომ იცინის უმისამართოდ.

1972

* * *

თენდება ნელა.
ღამდება ნელა.
და პასუხს ელის
გარშემო ყველა.

და, ვისლა ვკითხო, —
რაც უნდა ვკითხო!
რა უნდა მითხრას, —
კიდეც რომ ვკითხო! —
იმ კითხვის პასუხს, —
თვით როცა ითხოვს!

1964

* *

სამი დღეა
დამიბრიყვა სევდამ;
სამი დღეა
გულმოდგინედ წვიმს...
მომანატრა,
მომანატრა ნეტა –
რაც მომწყინდა,
რაც მომწყინდა –
ის.

1960

ეს ორი დღეა

თითქოს
დამძლია ორგულმა
და იარაღი ამყარა,
თითქოსდა მიწას ვაბარებ
ჩემს უერთგულეს ამხანაგს, –
ეს ორი დღეა, რატომღაც,
ვარ ხასიათზე ისეთზე...
ისე...
რომ მკითხო მიზეზი, –
ვერაფერს მოვიმიზეზებ.

1959

* * *

ფიქრი რატომღა ნეტა ამდენი?!
ნატვრა რატომღა ესოდენ უხვი?!
გუშინდელივით –
დღე დღევანდელი –
ხვალ სანატრელი გახდება თუკი!

1964

* * *

გიმზერ,
ვითარცა უმზერენ შორეთს,
ვფიქრობ:
ხარ ჩემთვის რამხელა დარდი! –
კიდევ კარგი, რომ არ იცი, თორემ –
ასეთ სიმძიმეს
ვერ აიტანდი.

1955

როდემდე?!

როდემდე უნდა დავიბანო პირი ყოველდღე?!
ყოველ საღამოს დავწვე ხოლმე უნდა როდემდე?!
მეჭიროს უნდა ყველაფერზე როდემდე თვალი?!
ანდა როდემდე უნდა მქონდეს იმედი – ხვალის?!
როდემდე?!

1960

* * *

ხმას ამოიღებ —
ვაია!
ჩუმად იქნები —
უი!
ვინც ლაპარაკობს, —
ხომ სტყუის!
ვინც სდუმს, —
ის უფრო სტყუის!

1962

* * *

დღეს ვინც არი და ვინც აღარ არი, —
ვიძენ რაკიღა ბევრ რამეს მათგან;
ჯერ ვინც არი და ჯერ ვინც არ არის, —
შევძენ რაიმეს მეც იმათ ალბათ.

1959

* * *

ვით, ვით არ უნდა
ირწმუნო ჭორი!
ვით უნდა მიხვდე:
ვინ არი სწორი! —
ერთმანეთს როცა,
ვით ყურსა ყური,
ჰგავს ფიცი მართლის
და ფიცი მტყუვნის.

1972

* * *

ღრმერთმა ქნას, კარგი გამოდგეს კაცი! –
მე არ მგონია, რომელიც კარგი!
და, ღმერთმა ნუ ქნას, გამოდგეს ავი! –
კაცი, რომელიც მგონია კარგი!

1973

* * *

გულალმა მიწევს ოთახში მამა.
გათხრილ სამარეს დავცქერი უხმოდ.
მიქებს ბაგრატა საფლავის მიწას, –
აიღებს –
დახე! – და იფშვნის ხელში.

დღეა მზიანი.
კრიალა ცაში
დასრიალებენ მერცხლები შავი.

1960

* * *

ქვეყნად ყველაფერს გაუდის ყავლი.
საკმაო საგზალს ვერ იტევს აბგა.
ვით ვალტერ სკოტი,
დღეს არა, ხვალე,
საბავშვო მწერლად იქცევა კაფკა.

1965

* * *

კარგი, ვთქვათ გახდი, –
რაც გულით გსურდა,
ვთქვათ, დღეს შენი შურს, –
შენ ვისიც გშურდა.
მერე?

1960

* * *

რომელსაც შენი მონობა ჰმართებს,
ხარ, ქვეშევრდომი როდესაც მისი, –
ალემატება ყოველგვარ სასჯელს,
რაც კი ოდესმე ყოფილა სადმე,
კაცობრიობამ რაც დღემდე იცის.

1961

* * *

რომ არ გეგონო, –
გამწარების გამო საწყალი,
მიზეზი ჩემი გამწარების,
გეტყვი, – რაც არი:
მე ჩემზე შენი ცუდი აზრი
კი არ მამწარებს,
მამწარებს ის რომ, –
შენ გგონია, –
ის მე მამწარებს.

1974

* * *

ვზი.
დღეა ულიმლამო.
წვიმს...
ვლონდები წვიმის გამო.
წვიმს...

1960

* * *

დღეს,
რაკი უკვე აღსრულდა
ის,
რასაც ზღაპარს ვადრიდი:
რა პატარაა! –
რაც მსურდა!
რაც მსურს –
დღესაა რა დიდი!

1961

* * *

დიდი რამე რომ აღმოაჩინო,
და მტრის მახეში რომ არ გაება, –
რაა საჭირო?! –
თავშეკავება!

ლუკმა გახდება ნაღდად ყვავების, –
ნიჭი თუ არ გაქვს თავშეკავების.

1975

* *

კაცი მიდის ბილიკ-ბილიკ,
კაცს უჭირავს სული კბილით.

რაც არ უნდა იყო გმირი, —
სული მაინც არის ტკბილი!

1972

* * *

დამგვანებიან შენი დები მოწყენილ მერცხლებს.
ზეგ პროცესია პლეხანოვზე გაივლის ნელა.
„თბილისის“ (ვაი, შენი ბრალი!)) მეოთხე გვერდზე
(დღეს — პირველად და უკანასკნელად) —
დაბეჭდილია სახელი შენი, —
ბიჭო.

1961

* *

ვინც კი, საერთოდ,
რაიმეს უცდის, —
ტაქსის უცდის თუ
ტრამვაის უცდის! —
უკეთუ უცდის,
რაკილა უცდის, —
ეს იმას ნიშნავს,
რომ სიკვდილს უცდის.

1962

* * *

მე მიყვარს ხოლმე
სიარული ქუჩაში მარტო,
იმ დროს,
როდესაც
დედაქალაქს
დაიპყრობს ძილი...
მიყვარს,
მიყვარს
და...
არ ვიცი რატომ!
(მიზეზის პოვნას
არცთუ ისე ძალიან ვცდილობ).

დავდივარ.
მესმის საკუთარი ფეხის ხმა მხოლოდ...
იღვრება დიდი ფანჯრებიდან
სინათლე ლურჯი.
და...
ვიცი:
ვივლი,
ვივლი,
ვივლი,
ვივლი
და...
ბოლოს
სასაფლაოზე წამიღებენ ამავე ქუჩით.
აუცილებლად,
უსათუოდ
მოხდება ასე!

მაგრამ მე მაინც
გმადლობ, დედა,
დედაო, გმადლობ! –
ვხედავ ქვეყანას –
სინათლით სავსეს...
დავდივარ,
ვღელავ,
მიყვარს,
მაწვიმს,
ვიცინი,
მათოვს.

1955

* * *

პლეხანოვის და რუსთველის შემდეგ,
მკვეთრად შემიცვლის ხოლმე ხასიათს
ერთი ყრუ ქუჩა,
სადაც ტრამვაის გაუქმებული ხაზია.

1960

* * *

აქ, მიწის გამო, ორი კაცი როცა პაექრობს,
ფეხის წვერებზე,
ღელის გაღმა,
იწევს სამრეკლო;
ამაოდ ცდილობს ყურადღების მიპყრობას იგი,–
არ იხედება
არავინ იქით.

1958

ზისქვილის ლამე

გზადაგზა

კმაყოფილი ჭაბუკი ვიღიმები, ვიჩქარი,
იღვიძებენ გზადაგზა სიყმაწვილის დღეები;
წისქვილები,
მინდვრები,
წყაროები,
ტყეები
და...
კაკლების ჩეროში
ჩვენი სახლიც...
შეხედე!

ცოტა დამრჩა მანძილი,
მუხლი მიჭრის ვაჟურად.
გზაში მხვდება სიცილით
იზვარა და ლაშურა.
აი, ჩემი სოფელი,
აი, ჩემი არგვეთი
აქ მე რომ არ მიმილოს, —
ქვაც არ გდია არც ერთი.

ველი გადახნულია,
ჰყვავის აკაციები,
აქაც გაზაფხულია,
ხარობს აქაც იები.

მივდივარ და მომდევენ გვერდით აკაციები.
ვხედავ: იქაც იები,
ვხედავ: აქაც იები.

ცაო, შენი ბრალია, მიწას რომ არ აჩნია
ჩემი პატარაობის მკრთალი ნაფეხურები.
ცად — გაშლილო ჯეჯილო!
ცავ — ჯეჯილად გაშლილო!
ვერა!
მე ვერ გავძლები საქართველოს ყურებით.

ცოტა დამრჩა მანძილი,
მუხლი მიჭრის ვაჟურად.
გამარჯობა, იზვარა!
გამარჯობა, ლაშურა!

1946

ლაშურის პირას

ღვიძავს ლაშურას.
მიდის ლაშურა.
ფიქრობს ლაშურა.
უკვირს ლაშურას: —
მზე რა ხმაურით ამოდის ხოლმე.
მთვარე ამოდის ხოლმე რა ჩუმად.
უკვირს ლაშურას.
მიდის ლაშურა.

1954

წისქვილის ღამე

სიბნელეს ებრძვის პატარა ჭრაქი.
ჭრაქივით ებრძვის ღამეს ყვინჩილა.
აყუდებია ბუხარს ნახაჯი
და იმჭვარტლება ღორის ვიჩინა.

ტკბილად ღუღუნებს წისქვილი ღელის,
ღელეს ტირიფი შრიალით ბანს აძლევს.
გადმოკიდულან ღრუბლები თხელი,
ვითარცა სარეცხი სარეცხის ბაწარზე.

მთვარე ყარაულობს ურემს დერეფანში.
დოლაბს არ გადაურჩა სიმინდი გაკვნეტა.
— წიქარამ ჩალის კონით ამოიძღო ფაშვი, —
რაღა აბღავლებს იმ სამგლეს ნეტა?!

ცაცხვებით გამოჩანს თეთრი საყდარი;
არ ჰგავს საფლავის ქვა წისქვილის ქვას —
არც მოყვანილობით, არც ბრუნვის სისწრაფით;
მაინც, ეს სიმინდს ფქვავს,
ის ადამიანს ფქვავს.

სიბნელეს ებრძვის პატარა ჭრაქი.
ჭრაქივით ებრძვის ღამეს ყვინჩილა.
აყუდებია ბუხარს ნაჯახი
და იმჭვარტლება ღორის ვიჩინა.

1950

დიალოგები წვიმაში

1. * * *

დაიგრუხუნა.
— თუ გაწვიმდა — ხო გავკეთდებით! —
ხმა შემომესმა ორღობიდან
ვიღაც გლეხისა...
წვიმს და...
ბალახზე —
სიბნელეში —
ცვენა წვეთების —
კაცი
რომ
რამეს
ეპარება —
ჰგავს მის ფეხის ხმას.

დაიგრუხუნა.
ცას შეუდგა ჩიტმა ფეხები.
კვლავ ხმა გაისმა
(ახლა სხვისი): — ძლივს არ გვეღირსა
წვიმს და...
ფოთლებზე —
სიბნელეში —
ცვენა წვეთების —
კაცი
რომ
რამეს
ეპარება
ჰგავს მის ფეხის ხმას.

2. დერეფანში სხედან, აბოლებენ, კოკისპირულად წვიმს...

— ჯერ იყო და,
წვიმის მოსვლას
არ დაადგა საშველი, —
ახლა თავი მოგვაბეზრა —
შენ ხარ ჩემი ბატონი!

თუ სახლში ხარ, —
კიდე, — ხო,
თუ გარეთ ხარ, —
რას შვები! —
ძაღლი
პატრონს ველარ ცნობს,
ძაღლს
ველარ ცნობს პატრონი.

— ოღონდ
წვიმამ გადაიღოს,
ოღონდ
ის დღე გათენდეს,
და თუ მე არ შემოვძახო
რიხიანი სიმღერა,
და თუ ქრისტეს არ ავუნთო
მე ჩემსიგრძე სანთელი,
მე სიგანე მომცეს ქრისტემ,
რაც სიგრძე მაქვს,
იმხელა.

3. * * *

— რა საქეიფო ამინდია!..
რას იტყვი?..
— აპა!..
— დალევდა ახლა?..
ხო დალევდი?..
დალევდი?..
— იმე!..
— შენ რავა ფიქრობ, —
ხვალდილამდე გადიღებს, ალბათ?
— რა ვიცი,
ვნახოთ...
ვერ მოგცემ იმედს.

— კი, მარა კაცო,
ნუთუ ხვალაც იქნება წვიმა?..
— კი.
უეჭველად, —
იმნაირად წვიმს.

— ახლა,
ბუხართან,
კაი ღვინო,
წითელი ღვინო, —
ჰა!..
რავარია?..
— იფ, იფ, იფ, იფ, იფ!

1960

* * *

გავიარეთ არგვეთი.
გავიარეთ გორისა.
— ჰაუ, ჰაუს! — ძახილი —
გაბრუნება ქორისა.
გავიარეთ არგვეთი.
გავიარეთ გორისა.

გაფრენილი მწყერივით
მიდიოდა შარაგზა.
მე ვამბობდი გზადაგზა
სულხან-საბას არაკსა.
გაფრენილი მწყერივით
მივდიოდა შარაგზა.

1959

* * *

მაგონდება სიყმაწვილე, —
ტკბილი, როგორც გოლეული.

კორბოული, ბორიული,
კაცი — ღვინომორეული.

ღამეული მატარებლის
დაკივლება შორეული.

ჩვენი დიდი კაკლის ჩერო, —
პაპაჩემი, — ცხონებული...

მაგონდება სიყმაწვილე, —
ტკბილი, როგორც გოლეული...

1972

მამიდა

კაკლის ჩეროში –
მახლობლად ღობის –
ნაფოტები რომ დაყრილა შეშის –
დგას
ქვის მაგიდა.
მაგიდაზეა პატარა გობი.
გობზე
ფრიალა თეფშებით ხელში
(ეს ხდება ხოლმე ივლისის თვეში) –
პარკილობიოს კეპავს მამიდა.

ჩვენს აივანზე
ღამე რომ ქრება –
მზე რომ ამოვა –
დილა რომ დგება –
ტყიდან რომ მოდის მეზობლის გოგო –
მამიდა ვაშლის ჩეროში ჯდება
(არ მახსენდება, ეს როდის ხდება)
და არჩევს ხოლმე სოკოს.

თუ გაწყრა ღმერთი
და ჩვენი ყანა
მოაკალოვა მეზობლის ღორმა
(რაც არა ერთხელ ხდება),
მამიდა ვინმეს დაზოგავს განა?
ფილთაქვასავით იფეთქებს ხოლმე,

„მიწას აყრის“ და
„მარხავს“ მთელ სოფელს
(განსაკუთრებით ახლო მეზობლებს),
მაგრამ არავინ კვდება.

1956

* * *

თუ გული გაქვს –
არ იქნება,
რომ არ გიყოს
გულმა რეჩხი...
არ იქნება
არ გენიშნოს
ჩვენი კუთხის
შნო და ეშხი:
წვიმის შემდეგ,
ხიდან წვიმა, –
ქარის გამო,
ანუ ლეშხი,
ჩონთოელი –
ქათმით ხელში –
მიმავალი
საჩხერეში.

1960

შემოდგომის სურათები

1
მწიფე ყურძნით
ხარობს თვალი,
წელს უხვი ჩანს მოსავალი...
სახლის უკან
ბღავის ბალი:
— ვაი, ჩემი ტყავის ბრალი!
2
წვიმა გახშირდა...
დაჭკნა გვირილა.
ხეზე მტრედივით
შემოჯდა ზვინი.
საწნახელს სისხლი
წასკდა ცხვირიდან, —
ჭურში ორშიმომ
ჩატუნტრა ცხვირი.
3
ცეკვავს წისქვილის დოლაბი,
ტაშისკვრაშია საცერი,
ფუჩეჩში ჩასაფრებულა
ნედლი სიმინდი — შემწვარი;
აღფრთოვანება
ამ მცირე მიწიდან აღმონაცენი,
ვით ცეროდენა კვერცხიდან
ამოფრენილი მერცხალი, —
ლაღად მოივლის ქვეყანას,
შინაურია ყველგანა.

1960

* * *

— გამარჯობა, როგორა ხარ?
— როგორც დაგიბარებია...
— სოფელში რა ამბავია?
— მშვენიერი დარებია.
— სხვას რას მეტყვი?
— სხვა რა გითხრა...
ვანხტანგი ღმერთს ჰყვარებია!
— ვინ ვახტანგი?
— ალარ გახსოვს, —
შენთან დაუმთავრებია...
— მერე?
— ბიჭი შეეძინა —
საცრისტოლა თვალები აქვს...
— ბიჭი?!
მართლა?!
აი, მესმის!..
აბა, მე არ მგვანებია...
— რავა, შენ რა?
— რალა, რავა, —
კაცი ჯავრით ალარა ვარ, —
სამი შვილის მამა ვარ და...
სამივენი ქალებია...

1959

სახლი

თავწაწყვეტილი ქათამივით
ფართხალებს ვერხვი...
ქარი ბრმასავით ეხეთქება
ხან რას
და
ხან რას...
მოულოდნელად
ქვემეხივით გავარდა მეხი
და
ლაშქარივით
გაენართხა მიწაზე ყანა.

შუაეზოში
გაბარჯღული კაკალი ღელავს;
ღობეს
ტოტები
ტალღებივით
ასკდება კაკლის...
თავშესაფარის ძებნაშია
გარშემო ყველა.
ყველაზე უფრო მძაფრად ახლა
იგრძნობა სახლი.

1956

* * *

რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.
რომ მეთოხნა და შემესარა მხოლოდ ვენახი.
დიდი ქალაქი რომ არ მენახა! –

მეყოლებოდა ახლა ხარები.
შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი.
არ ვიქნებოდი აღარც ღარიბი,
აღარც მდიდარი.

ცოლი ყოველდღე თიხის კეცებს გაახურებადა,
ცივ სოხანეზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით.
მეყვარებოდა როგორც მიყვარს მინდვრის ყურება –
აიზლაზნება მინდვრებიდან როდესაც ორთქლი.

პარასკეობით საჩხერეში გავყიდდი სიმინდს,
მეუღლეს ჩემსას ჩითის კაბას ვუყიდდი ამით.

სოფლის სკოლაში ორი ბავშვი — ჩემიც ივლიდა;
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,
გოგოს – ივლიტა, –

რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.

1956

შემოდგომა

მთებზე გადმოდგენ ზამთრის ჯარები —
გადმოათეთრეს მთათა წვერები...
დაფრთხენ ვაზები,
დაფრთხენ ჭალები,
დაფრთხენ ყანები,
დაფრთხენ ველები.

— თავს უშველოთო! — იჭექა ვერხვმა
და...
რაც კი იყო იმჟამად ხილი:
უნაბი,
კომში,
ატამი,
ლელვი, —
ყველამ ბელლისკენ იბრუნა პირი.

კაკლები მაღლიდან ხტებიან კანკალით, —
ჯდებიან გოდრებში... გარბიან ბელლისკენ...
თავპირისმტვრევით ცვივა კაკალი, —
ხელებს იფარებს თავზე ლელვის ხე.

სიმინდის ტეხვა და აჩეხვაც გახურდა, —
ძარებში დიდრონი ტარონი სხდებიან,
კიდობნის ახდას და კიდობნის დახურვას, —
ღმერთმანი, ველარ აუდის ბებია.

ყურძენი ვენახიდან გამორბის კოდებით, –
მარანში საწნახლები ივსება ხელად.
ვაშლებმა სასწრაფოდ დაცალეს ტოტები
და სახლის თავზე მოთავსდა ყველა.

ღრუბლებმა დაფარეს ცის ლურჯი კამარა.
ურმებმა ამოავსეს შარა.
წელზე შემოირტყა სასწრაფოდ ქამარი, –
ყანიდან გაიქცა ჩალა.

და...
დარჩა საქონელს ბურთი და მოედანი.

ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის კვამლი...
წიწილებივით გაფანტვია ძეწნას ფოთლები...
– დამიბრუნდითო! – საცოდავი უმწეოდ კნავის,
ამაოდ უხმობს გაქსუებულთ... შავი ტოტებით.

ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის კვამლი...
კითხულობს გაზეთს დერეფანში შუახნის კაცი.
იქვე ხელამოდ აუთოვებს თეთრეულს ქალი,
თავი ჩაურგავს
შორიახლო
წიგნებში ყმაწვილს...

და...
სოფელს უსიტყვოდ დაჰქათქათებს მთვარე მკაფიო,

დედამიწაზე ისახება ჩრდილები ხეთა.
მდუმარებაა.
და —
ვინ იცის, მთვარე რას ფიქრობს! —
ეს მთვარე ახლა მსოფლიოს ხედავს.

1954

პარასკევი

საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები,
ცხამიდან მოდის ურემი,
ჩონთოდან მოდის ურემი,
იტავაზიდან მოდიან,
ბახიოთიდან მოდიან...
— იმე...
— კი, მარა...
— შე, კაცო...
— ქე, მაინც...
და...
— რა მცოდნია! —
ისმენენ ჩემი ყურები.
მოჭრიალებენ ურმები;
გოჭებით,
ინდაურებით —
მოდიან ჩვენებურები.

1960

* * *

ღრუბლებმა
მზე არ ამოუშვეს ამ დილით ცაზე.
შუაღამისას დაწყებული გრძელდება წვიმა...
სიამოვნებით იშმუშნება ტირიფი ნაზი
და ვაზის ფოთლებს
სიხარულის ცრემლები ცვივა.

ვხედავ —
მეზობლის სახლის თავზე გატეხილ კრამიტს.
ვხედავ —
ფოთლებზე თქარათქური გაუდის წვიმას.
ვხედავ —
შარაზე ქალი გარბის სოველი კაბით.
ვხედავ —
ქათმები აბუზულან ქლიავის ძირას.

წვიმს...
ყველაფერი...
ყველაფერი სველდება თვალწინ.
კრამიტებიდან ვარდებიან წვეთები მწკრივად.
ყანა სველდება.
გზა სველდება,
სველდება ანწლი...
შუაღამისას დაწყებული გრძელდება წვიმა.

ამ ქვეყნად
ერთად ვიმყოფებით მე და შენ ვიდრე! —
მზე თუგინდ სულ არ გამოვიდეს,
თუგინდ — სულ წვიმდეს.

1957

* * *

მივაბიჯებ, მიხარია,
მივიმღერი, მივაბოლებ...
აი, ტყენი, აი, მთები,
აი, მწვანე კარ-მიდამო...
ვინ ვიყავი — რა ვიყავი, —
კოპიტები მიამბობენ: —
მუხრან, ძროხა გადააბი,
დაგენაცვლოს მამიდაო!

მივაბიჯებ, მიხარია,
მივიმღერი, მივაბოლებ...
ვაკვირდები სიყმაწვილეს,
ვით არწივი თავის მართვეს:
აი, წყარო, სადაც ქალწულს
მე პირველად ვეამბორე,
შრიალებენ ტირიფები:
შემოგვხედე, დავიზარდეთ!..

მივაბიჯებ, მიხარია,
მივიმღერი, მივაბოლებ...

1950

სოფლის სურათები

* * *

ფაცხას –
დახურულს ყავრით, –
პაწაწკინტელა ჭინკა, –
ცისკენ ეწევა კვამლით, –
ვით
თოკით
ვედროს
ჭიდან.

1953

* * *

უსაზღვრო სივრცე,
ცა ვრცელი, წმინდა;
გინდა აფრენა –
აბეღურება.
მეუბნებიან:
– წუხელი წვიმდა! –
წყლით სავსე
ძროხის ნაფეხურები.

შეფარებია
სიმინდებს მწყერი,
მწყერი ნაცარა –
მკათათვის წერა.

გალმა ჭაროში
ძოვს თეთრი ცხენი,
ბებერ თელაზე
შემჯდარა ძერა.

1951

პაოლო

მოდის პოეტი შარაგზაზე ტანახოვანი.
— პაოლო! —
პოეტს ეგებება მთელი არგვეთი,
ეგებებიან,
ხალხის გარდა, ხენი აგრეთვე,
განთიადია ასეთივე დაახლოებით.

1954

ღამე

დღე გაქრა, როგორც კინომონტაჟი.
ჭოტი გალაღდა ღამის მოსვლითა.
ღამე გადახტა თაფლოს ბოსტანში.
ერთი ბებერი კიტრი მოსწყვიტა,
თავი მოსხეპა, — შუბლში იტკიცა —
და მთვარიანი გახდა მითი ცა.

1954

დილა

— მზეი! —
იბღავლა მიწამ.
მზემ დაიძახა: — მიწა!
ფეხზე წამოხტა მკვირცხლად,
ვინც
დღესაც გაიღვიძა.

1964

ყაყაჩო

მთები ორთქლოვანი ახალშობილივით.
მზე ამომავალი.
მთვარე ფერწასული.
სადღაც მიჩერჩეტებს ყაყაჩო ბილიკით, —
ბილიკი მიდის და...
ყაყაჩო ვერ წასულა.

1951

* * *

ვხედავ:
სიყმაწვილე დადის ფეხშიშველი,
როგორც გარდაცვლილი პატარა ძმა.
დედა ძროხას წველის.
ბალახია სველი.
გამოკრთის ფოთლებიდან
კრიალა ცა.

1952

Ubzo eo Ubzo



* * *

არა, გეთაყვა,
ახლა ცხოვრება –
შენ რომ გგონია –
ისე როდია!..
მაგალითადრე:
შეყვარებულნი,
თუ ძველად ველად ხელად რბოდიან, –
ახლა კინოთა წინარე დგანან,
მაჯის საათებს დასჩეროდიან,
მიდი-მოდიან,
მოელოდიან...

არა, გეთაყვა,
ახლა ცხოვრება –
ძველად რომ იყო –
ისე როდია!

1959

* * *

ნადირო, ტყე-ტყე წანწალი,
ოი, რა მძიმე ყოფილა;
მე კიდევ არა მიშავ რა,
ასე თუ ისე, – თოფი მაქ;
შენ... შენ კი, –
რა გეშველება, –
დადიხარ დედიშობილა.

1959

* * *

ვინც კაცია,
ორი ყური
აქვს იმიტომ ბოძებული:
ცოტა კარგი,
ბევრი ცუდი, —
უდღეური ხალხის თქმული, —
მეორედან გააბრძანოს, —
შეღწეული ერთი ყურით.

თუ ხარ კაცი,
გმართებს ცოდნა,
თვალის ხუჭვა იცი მიტომ, —
თვალი შენი
ყველაფერზე,
ყველაფერზე,
რომ არ სჭყიტო.

გაქვს ეგ ცხვირიც, —
არა მიტომ,
რათა ზოგჯერ გჭირდეს სურდო! —
გაქვს იმიტომ, —
გაქვს იმიტომ, —
ყველაფერში რომ არ დურთო.

1971

მე ისევ მოვალ

სულ რამდენიმე,
ორი, თუ სამი,
იმედად ჩემდა, არსებობს სახლი,
სადაც მე ძალმიძს,
ყოველ დროს ძალმიძს
მოულოდნელად დავრეკო ზარი.

ერთ-ერთი მათგან
სახლია შენი,
რომელიც მელის,
ყოველ დროს მელის.

და, ერთხელ, როცა,
და, ერთხელ, როცა
ეს სახლი შეწყვეტს ჩემდამი ლოდინს,
მე ისევ მოვალ,
კვლავ შენთან მოვალ, —
მხარზე ჩემივე საფლავის ლოდით.

1973

ხევსურეთი.

* * *

— არაყი?
— ლუდი!
— ერთი?
— ერთი!
— ინებეთ!..
— გმადლობთ! —
ვჯდები კუთხეში...
გარეთ წვიმს...

გნატრობ...

1960

* * *

ქალი?! —
მიყვარს,
მიყვარს ქალი.
ღვინოც,
ოღონდ არა ქარხნის.
პურიც,
ოღონდ არა ფურნის.
პური — თორნის,
ღვინო — ჭურის,
ქალი —
მსგავსი გაზაფხულის.

1958

შემახილი რუსთველის სურათთან

ზოგი — ხუთი,
ზოგი — ათი...
მარტოდმარტო შენ ხარ ერთი.
თუ კაცი ხარ,
ჰქენი მადლი,
თქვი:
ვისთან ხარ ალავერდი.

1952

* * *

შენი სიცოცხლე, შენი ნაბიჯი,
მე შემაყვარა შენმა სარკმელმა.
მე მიხარია, შენ რომ არსებობ!
ვისი ხარ, —
ეს რა ჩემი საქმეა!

შენით თენდება, შენით ღამდება,
შენი ვარ, შენთან მინდა ხელახლა!
შენა ხარ —
რაც მე გამეხარდება,
რაც მეწყინება —
ისიც შენა ხარ!

1951

ვინც იყო, იგი რომ არა...

პატარა ვანოს

დრო არი, ჩემო პატარავ,
იცოდე ერთი ამბავი:
ედემის როა ბადალი —
დღეს საქართველოს მთა-ბარი.

ბელელში როა, ხორბალი,
ღელეზე როა წანწალა,
ბრუნვით წისქვილის ბორბალი
რომ იხვითქება საწყალი.

მზე რომ ამოდის წითელი,
ტყიდან რომ გვიხმობს ძახველი,
რომ ჟღურტულებენ ჩიტები, —
ზამთრობით მოცახცახენი...

და, წყალია თუ დანდური,
და, ხიდია თუ ძახველი,
რაც მთავარია, ქართული
დღესაც რომ ჰქვია სახელი.

კვლავაც რომ იკვრის ფანდური,
კვლავაც რომ ილხენს ქალ-რძალი,
რომ ლაპარაკობ ქართულად —
ქართულ სკოლაში ნასწავლი.

კარგს რომ გვიქადის მომავალს, —
შენი ბეჯითი გარჯანი! —

ვინც იყო! —
იგი, რომ არა! —
არ იქნებოდა, —
რაც არი!

ფარნავაზ მეფე რომ არა,
ვინც ჩვენი სრულყო ანბანი
შოთა რუსთველი რომ არა
ვინც არი ჩვენი ლამპარი.
მოციქულთ სწორი რომ არა, —
ოთხგან ალმართა მან ჯვარი.
მღვდელი თევდორე რომ არა,
(მტერმა აკუწა საწყალი).

ორბელიანი რომ არა, —
საქართველოსთვის დამწვარი.
პატარა კახი რომ არა, —
ყველა მომხდურის თავზარი.

მეფე დიმიტრი რომ არა!
ძმანი, რომ არა! —
ცხრა ძმანი!
მოკლედ: —
სისხლის ღვრა რომ არა! —
არ იქნებოდა, —
რაც არი!

კვლავაც თუ გვინდა, ქართველი
ლაპარაკობდეს ქართულად,
თუ გვინდა, იყოს კვლავ ჩვენი
ეს არემარე ხატული.

თუ გვინდა, მხარეს მშვენიერს
კვლავ ჩვენი ერქვას სახელი,
თუ არ გვსურს, ძენი ჩვენივე
ჩვენი რომ გახდნენ მძრახველნი.

უნდა უკვირდეს მტერს ჩვენიც,
ვით პაპის სიმხნე უკვირდა,
თუ გვინდა, —
გვერქვას ქართველი!
რაც უნდა გვსურდეს! —
თუ გვინდა!

1974

* * *

ჰქუხდა სტრიქონი.
ხმა ქარიშხალს იწვევდა ხმალში,
ეს ლაპარაკი,
ეს ამბავი, —
სად იყო მაშინ!

გამოვიდოდი, —
თენდებოდა ქალაქში ლურჯად.
შემომხაროდა
სათითაოდ
ყოველი ქუჩა.

მაშინდელივით გამატარა ქუჩაში ერთი
და არაფერი არ მინდა მეტი!

1963

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში მოვხვედი: იქ ვნახე ქართველი პიონერები, რომლებმაც სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია ზამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.

ეს ლექსი გახლავთ აუგი —
მე გამოვდივარ ძაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების,

საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად — გაგიხარია!

რუსულის ცოდნა, იცოცხლე,
სახარბიელო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე —
მშობლიურია მთავარი.

ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!

სხვა და სხვა

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.

განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი —
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,

შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

1958

* * *

ეს იყო შარშან –
პარიზი ვნახე,
ერთი თვის შემდეგ
დავბრუნდი უკან...
და მეგულება პარიზში ახლა
მე რამდენიმე
ნაცნობი სახე
და რამდენიმე
ნაცნობი შუკა.

ჩემი იქ ყოფნა,
მართალი გითხრა,
თუ ღირდა რამედ,
ისევ და ისევ,
ყველაზე უმალ
იმ გრძნობად ღირდა, –
დაბრუნებისას
რომელიც
ვიგრძენ.

1961

ენგური

ვნახე ენგური, რომელიც
კლდეს ღრიანცელით ეხლება;
ენგურთან, ჩემო არაგვო,
ხმა აღარ ამოგელება.

1959

ჰოი, დედანო!

სამაგალითო ვისთვისაც რუდუნებაა საბასი!
სამაგალითო ვისთვისაც არაგველია სამასი!
სამაგალითო ვისთვისაც თევდორესია სიკვდილი!
სამაგალითო ვისთვისაც იესოსია გვირგვინი! –
დედანო,
მენა, – ის კაცი, –
ქებისად
იმ ქალს
ვთვლი ღირსად, –
დედაა თეიმურაზის სამაგალითო ვისთვისაც!
ცოლია სოლომონისა სამაგალითო ვისთვისაც!
მტლედ დაედება რომელიც
მიწას, – მაძღარსა სისხლითა!

სიცოცხლეს ხანგრძლივს გისურვებთ!
სიბერეს, – ნაგვიანებსა!
სევდა სიამით ეძლიოს
თქვენს შორის ნაღვლიანებსა!

1986

სულთხდომა

სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი.
უკუნეთია გარშემო სრული.
უბედურთ, – მე და სამშობლოს ჩემსას, –
ორთავეს ერთად ამოგვდის სული.

1996

ის ლექსი

არა!
ის ლექსი ჯერ კიდევ არ ჩანს, –
ჭრით რომ გაფხაულს დაჯაბნის ხანჯალს.

არა!
ის ლექსი ჯერ კიდევ არ ჩანს, –
ჭრით რომ ორნახადს დაჯაბნის ჭაჭას.

არა!
ის ლექსი ჯერ კიდევ არ ჩანს, –
გააგულადებს რომელიც ლაჩარს.

არა!
ის ლექსი ჯერ კიდევ არ ჩანს, –
კაცად მოაქცევს რომელიც ყაჩაღს.

არა!
ის ლექსი ჯერ კიდევ არ ჩანს, –
გონთ გამიელვა რომელმაც შარშან.

1986

სულს მივცემ ჩემსას

სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო! –
ვინც საქართველოს
ესწრაფვის ქართულს! –
არა ცრუქართულს! –
ნამდვილად ქართულს! –
სიტყვითურთ ქართულს! –
საქმითურთ ქართულს! –
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო! –
რომელსაც ვატყობ! –
კოჭებში ვატყობ! –
არის ყველაფრით –
ყოველმხრივ სანდო
და საქართველის
იმნაირს ნატრობს, –
ნატრობს
როგორსაც
ქართველი
მარტო!
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო! –
ვინც უწყის:
ტატომ ღალადყო რატომ:
სახელმწიფოთა შორის ერთობას
(ესეც ღვთის ნება არის, ეტყობა!)
სარწმუნოება

არ ჰყოფნის
მარტო!
სულს მივცემ ჩემსას, –
ერთი სიტყვით, –
მე იმას მარტო:
ვინც იცის:
გაჩნდა
ქართველად
რატომ!

1992

ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა

ქალიშვილმა, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა, –
მე გული მთხოვა ერთ საღამოს იმ ქალიშვილმა.

...და მე დილამდე ქუჩებში ვიარე...
შინ რომ მოვედი – გულაღმა დავწექ, –
ხელები თავქვეშ ამოვილაგე.

ქალიშვილმა, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა,
მე ყველაფერი შემაყვარა იმ ქალიშვილმა.

1952

სურთ

სურთ, –
დაუკარგონ საქართველოს სახე თავისი!
სურთ, –
საქართველო უსახური გახადონ მხარე!
(არის რა ბიჭიც! –
სამწუხაროდ, – ბევრმა არ იცის, –
საქართველოში
ვინც ვითომდა
წესრიგს ამყარებს)!

სურთ, –
იმნაირად საქართველო აქციონ ქვეყნად, –
ქართული სადაც ძლივს ორღობის იქნება ენა, –
თვით ქართველი კი
(ნუ შემასწროს მე ამ დღეს ღმერთმა)! –
კვლავ ხელისბიჭად ეყოლება არაქართველსა!

არ ჩაეყუდა თუ თორნეში კაცი რაჭიდან!..
თუ არ ვიყიდე ზესტაფონის ბაზარში სარცხი!..
მე საქართველო ამისთანა მინდა რა ჭირად?! –
საქართველოში
ამნაირში
სიცოცხლე
არც ღირს!

1993

ფშავში

მთებს, –
პირდაბანილთ, –
შეუმშრალა ქარმა ხელ-პირი.
ზეცას გავხედე.
მოვილხინე მერცხლის დანახვით.
ყალყზე შემდგარი, –
შემომახტა
გულზე
არაგვი.
წყალთით
ლექსები
ამოვყარე
კალმახებივით.

1993

ვენდო?! – ვით ვენდო?!

რამ დამიამოს იარა?! –
ვენდო?! –
ვით ვენდო მომავალს?! –
როდესაც ადამიანი, –
ვითომ ქართველი რომაა, –
არის ქართველი კი არა, –
თამაშობს
ქართველობანას!

1994

მტკვართან ტატო და ტარიელი სხედან ტირილად

ერი მთლიანად გააშავა ლამის მაცილმა.
მტკვართან ტატო და ტარიელი სხედან ტირილად.
არაა სხვა გზა! –
საჭიროა თავის განწირვა! –
არადა რა ვქნა! –
სული ტკბილია!

ღმერთს ვეხვეწები:
მეცი-მეთქი ძალა იმდენი, –
დღე ვაწყევლინო გაჩენისა
ყველა ნაბიჭვარს! –
ჩემი ბედკრული სამშობლოსი
დღე ხვალინდელი, –
დაბოლოებას
ჰგავდეს
მინდა
რადგან
ზღაპრისას.

1996

აწი

რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის აწი:
წვიმაა თუ მზე?!
დღეა თუ ღამე?! –
ერთიც კი როცა არ შემრჩა კაცი, –
რო მივახარო, –
რაც გამახარებს!

1992

* * *

ვინც ილხენს ახლა, —
უფრო ცოდოა, —
ვიდრე ის ბევრი, —
ახლა ვინც ტირის...
ამგვარში, —
დღეს რომ საქართველოა, —
არც სიცოცხლე ღირს
და არც სიკვდილი!

1993

* * *

თოფით მხარზე
შევუდექი აღმართს...
რა თქმა უნდა,
წინ გამისწრო ძაღლმა...
ამიფრინდა,
არ ველოდი,
მწყერი! —
შევიკურთხე,
ჩავიქნიე ხელი...
ავივაკე...
ქვაზე ვზივარ ახლა, —
რა კარგია,
აქ რომ დამასახლა.

1961

ორი სტუდენტი

ოცი წლის წინათ, –
არ მესმოდა როცა სიბერე
(ხეირიანად, კაცმა რომ თქვას,
არც ახლა მესმის,) –
გამოვაქვეყნე
ოდეს სულხან-საბაზე ლექსი:
ორი სტუდენტი, –
ერთი სვანი,
ერთი იმერი, –
ამ ლექსის გამო
თქმა მადლობის
გულით რომ სურდა, –
გამიმასპინძლდა,
მახსოვს,
თითო ნოღრათო ლუდით
(სვანთან რომ ვიდექ, –
მაშინ თოვდა,
იმერთან, – წვიმდა).

რამდენი ტაში მიმიღია
მაშინაც,
მერეც...
რამდენ სუფრაზე
თქმულა ჩემი გულწრფელი ქება,
მაგრამ ვერაფერს:
სტუდენტების იმ გულის ძგერას,

იმ ლუდს,
იმ ღიმილს, —
ვერც ვადრი და, —
არც შეედრება!

1972

* * *

ვისაც,
თუნდ ერთხელ,
მთაწმინდიდან სიამით მზირალს —
დაბლა თავისი უძებნია თვალებით სახლი,
ვისაც,
მჯდარს კენტად,
ღელის პირას,
ანდა ხის ძირას —
აღუდგენია სახეები ნაცნობი ხალხის, —

არა მგონია, არ იპოვნოს ამ ლექსში იმან —
რაღაც ნაცნობი,
რაღაც ტკბილი,
რაღაც თავისი, —
ვითარცა
ნაცნობს წარმოადგენს
ზღვათათვის წვიმა,
ვითარცა სუნთქვა წარმოადგენს
ნაცნობს ქარისთვის.

1955

პარიზი-თბილისი

ჩამოვედი...
ყველაფერი,
ვით დავტოვე, –
ისე დამხვდა...
ტკბილთან ერთად,
მწარეც გატკბა, –
ჩამოსვლამდე, –
რაც გადამხდა.

მზე აცხუნებს...
ცხრაა სრული...
ფურნის პურის
ვიგრძენ სუნი...
ვსვამ
ნატახტარს.

1960

* * *

მე ვაკის პარკში
(დღეა ცივი თუ დღეა თბილი), –
გატანილს სტე-სტე,
ყოველდილით,
ვადგავარ ბილიკს.
კაცი, რომელიც,
ამ ბილიკზე,
მხვდებოდა შარშან, –
არ ჩანს!

1996

* * *

რომ არ გიცნობდე,
ვით არ გიცნობდი, —
და, როგორც მსურდი, —
ისე რომ მსურდე...
აი, მაშინ კი მესმის სიცოცხლე, —
უხანმოკლესი თუნდაც!

ვაი, რომ გიცნობ,
ვაი, რომ ვერვინ
ვერ განმიახლებს იმ უტკბეს წუთებს...
სხვებისას უსმენს დღეს გულის ძგერას,
ჩვენ რომ ვისხედით, —
ბაღის ის კუთხე.

1972

* * *

ღვინოს მიმართეს
(მოიარა სუფრა არაყმა).
კარგი ოჯახი.
პურმარილი, —
შენი ქებული
— ერთად ვსწავლობდით! —
დიდ პოეტზე ამბობს ამაყად
კაცი რიგითი —
რიგითობას შერიგებული.

1960

* * *

ქალები?!
განსაკუთრებით
ქალები ქალაქისანი! —
მე მოვკვდე,
თუ არ მერჩიოს
ტირიფნი არაგვისანი!

ყალბია მათი სიცილი.
ცრემლიც კი მათი ყალბია...
გიღალატებენ ისინი,
არ ენდო წითელკაბიანს.

ტირიფნი?
განსაკუთრებით
ტირიფნი არაგვისანი! —
ესენი შენ არ გეგონოს
ქალები ქალაქისანი!

წრფელია მათი შრიალი.
მათი ქვითინიც წრფელია...
ტირიფზე ნამუსიანი
ამ ქვეყნად არაფერია.

1960

ჭალა არ არის არაგვის!

ჭალა არ არი არაგვის!
ჭალა არ არი ალაზნის! –
ქუჩა სავსეა ხოხბებით...
– ვისია ქალი ლამაზი?
– ვისია ქალი ლამაზი?

აქ არც ავჭალის ბალია,
არც ორთაჭალის ბოსტანი!
ყაყაჩო. ვარდი წითელი.
ვარდი და... იასამანი.
– ეჰეი, ჰაეროვანნო!
თქვენ არა გეტკინოსთ რაი! –
მე, თქვენმა დაწუნებულმა,
ყაენს არ მივცე სალამი.

ჭალა არ არი არაგვის!
ჭალა არ არი ალაზნის! –
ქუჩა სავსეა ხოხბებით...
– ვისია ქალი ლამაზი?
– ვისია ქალი ლამაზი?

1950

გარდა ერთისა

(შეძახილი პეტრე ბაგრატიონის ძეგლის ხილვისას ორთაჭალაში)

— Спаси Господи Россию! —

ასე შებღავლა თურმე უფალს (ფეხი როცა მოჰკვეთეს, მაშინ) პეტრე ბაგრატიონმა, — ვისაც საქართველო ფეხზე ეკიდა, ვინც რუსეთისთვის ჭკუასა კარგავდა და ბოლოს ფეხიც დაკარგა მისთვის.

ვიცი: რა ხდება!
ვიცი: რა გველის!
ტანჯავს ვის რისი,
ვიცი, ნაღველი! —
ყველაფერია ჩემთვის ნათელი!

ყველაფერია ჩემთვის ნათელი, —
გარდა ერთისა:
აქ რატომ არის
ძეგლი პეტრესი, —
ბაგრატოვანის?! —
ვაშა-რუსის და ვაი-ქართველის!

1990

* * *

ციოდა. ცრიდა. ღია კარს მიღმა
იგი უჩქამოდ იდგა, ვით ლანდი
და როცა ვკითხე: — რა გინდა-მეთქი? —
შემომაჩერდა და სახე მისი
იყო სრულიად არაფრისმთქმელი,
ვით გვარ-სახელი რუსთათვის ჩემი.

1990

წარბმაღლობენ ყაყაჩონი

კაცი ვიცი ერთი-ორი,
არაკაცი — ათასობით.
მზეკაბანი მიდი-მოდის.
წარბმაღლობენ ყაყაჩონი.
ეს სოფელიც, სხვათა შორის,
„ბრუნავს ვითა ტანაჯორი“.

1991

* * *

ჭასთან, — თავისით ამოსული, — კოხტაობს იფნი.
იქვე მოხუცნი რაღაცაზე ბჭობენ ტირიფნი.
გალობს ბულბული
(კაკალზეა, მე მგონი, იგი)!
კაკალქვეშ სამნი
პატარათი ვჭუკჭუკებთ ჭიქით...
გალობს ბულბული...
— აი, მესმის! —
რას გალობს!..
იფ! — იფ!

„და საიდღამაც (ილიასი) ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს (მაგონდება) გაგიჟებული“.

1991

ისკუპა შველმა

ფეხებზე ჩემი ჰკიდია შველა, —
თვინიერ შენსა, —
ვინც გინდა, —
ყველას!
ვზი მოწყენილი.
ვჭვრეტ:
ფოთოლთ
ცვენას.
უკუდგა აწმყო
წინაპარი მოენთო მერნით.
ისკუპა შველმა.
მოიქნია ტანი ავაზამ.
გოდებენ შაშვნი.
ყვითლობენ ველნი.
„და თვალნი რბიან
შორად, შორად, —
ცის დასავალსა...“

1992

*

ყველამ გამწირა, —
მეგობრისა ვინც იყო მსგავსი:
მიწაზე ყოფნას
ზოგმა ყოფნა არჩია ცაში.
ზოგი მათგანი
ქვეყნის დამქცევს ჩაუჯდა ნავში:
ტყე აიჩეხა, —
ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი.

1999

* * *

სანახავია რა დიდებული,
მთებო, —
ზეცაში ასროლილებო,
ოდეს ენგური, —
მოდიდებული, —
მოედინება, —
როგორც
„ლილეო“.

1990

* * *

სიგრძე იყო იგი როცა თითის,
ვოცნებობდი:
გამხდარიყო დიდი!

ახლა მივხვდი, —
როცა გახდა დიდი,
შვილს რომ ვზრდიდი, —
თურმე სევდას ვზრდიდი.

1991

* * *

კვალდაკვალ მინდა ვიარო გმირთა.
კვერთხი მოსესი ვიხელთო მინდა.

მსურს, საქართველო შევახსენო
წმინდა მარიამს,
მსურს, მეც იქ ჩავწვე, –
იკორთაში რომ სამარეა.

1991

* * *

ყრუა და ბრმაა
ვინაიდან წუთისოფელი! –
ჩემი რომ ვიყო
(შენ კი არა!)
მე მადლობელი:
ვინ ვიყო?! –
ვიყო, –
ვინც არ ვარ თუ
ვინც ვარ?! –
რომელი?!

1987

* * *

მე ვხადი სმენად, – უახლესი რაც კია წიგნი,
მე ვეკითხები ძველთა ჩვენთა მზიანთა შაირთ:
საიდან სიტყვა? საიდან ხმა? საიდან ფიქრი?
საიდან თვით მე? ჯერ საიდან და მერე – საით?

1990

ნუ გაიკვირვებ!

ულხინს თუ უმძიმს, –
სულ ერთია! –
ყველა რწმუნდება! –
ძალმომრეობის დათვლილია უკვე წუთები! –
და, – ვინც მიგანა, –
ისევ ჩემთან
მოძუნძულდება!

და ისევ:
არვინ ეყოლება
მას ჩემი ფასი!
და ისევ:
შესვამს სადღეგრძელოს
ის ჩემსას თასით!..
კი, მარა! –
ბნელა?! –
მეც კაცი და
ეს კაციც –
კაცი?!

მე ვინც დამწიხლა! –
მე ვინც მირქინა! –
სულზე ქართულზე, –
დღეს ვინც ქირქილებს!..
ნუ გაიკვირვებ! –
ხვალ ჩემთან ძმობა
მოიწადინოს
კაცმა
იგივემ!

1993

რაც სურდა საბას

თუ მსურდეს სხვა რამ, –
ღმერთმა დამლახვროს!
მსურს მხოლოდ იგი, –
რაც საბას სურდა:
კაცმა ქართველმა, –
მსურს, –
ქართულად ილაპარაკოს
და საქართველოს –
საქართველო, –
მსურს, –
ერქვას მუდამ!

ღმერთმა ქართული, –
აწ და მარად, –
აკურთხოს მიწა!
სვის ჩარხმა მისმა
აწი მაინც იბრუნოს წაღმა! –
და ყველას, –
ჰქვია ქართველი ვისაც, –
მსურს, –
სურდეს იგი, –
რაც სურდა საბას!

1993

ჩემი ეპიტაფია, – წასაწერი საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ქვედაზეც, ზედაზეც), – მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც

შენი არ იყოს, – ჩემო ირაკლი! –
ვერ ვიდევგმირე! – ვერ ვიწინაპრე! –
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ! –
მამულმა შენებრ შემიწირა მე

1995

მინდა და მინდა

მინდა და მინდა! –
მინდა და მინდა! –
მინდა და მინდა! –
ვადიდო მინდა
ღმერთი, რომელმაც მე ამომზიდა
უწყლო,
უმზეო,
უძირო
ჭიდან, –
სადაც ურიცხვი ბედკრული დარჩა! –
სადაც უსაზღვროს იტანენ ტანჯვას! –
ძნელია ძალზე გაძლება სადაც!

ძლიერო ყოვლად! –
უშველე მათაც!

2005

ს

ფეხთო ნებიჯით

* * *

ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე.
ქუჩაში დიდი ხეები დგანან.
სივრცე იმხელა გასაქანს მაძლევს!
იმხელა მთვარე დაჰყურებს ქალაქს!

ისე კარგია მაისის ღამე!
ქუჩაც ისეთი კარგია ახლა! –
ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს
და
ნელა-ნელა ავდივარ მაღლა.

1954

* * *

ვით ამოღებული მოვდივარ ხმალი;
ფეხთ მიწა მაცვია,
თავს მხურავს ზეცა...
ღმერთო დიდებულო,
მამყოფე მარად
ისეთ ხასიათზე,
როგორზეც
დღეს ვარ.

1961

* * *

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები იდგნენ.
არაფრის გამო —
ვით გავიხარე,
თუ არ გინახავს —
ვერ წარმოიდგენ.

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები დგანან.
ჭიდან წყალს იღებს ვიღაცა ქალი.
რა ლამაზია ჩემი ქვეყანა!

1959

* * *

სახლიდან გარეთ გამოველ —
გავიარ-გამოვიარე...
ქუჩაში არვინ ჭაჭანებს,
ასფალტი შავად კრიალებს.
ხანდახან
ნაგვიანევი
ტრამვაი გაიგრიალებს...
იარე,
მიდი,
იარე,
რამდენიც გინდა —
იარე!

1959

ქართველსა გულმა როგორ გამიძლოს!

აღელდებაო ყანა ოქროის;
ჩუხჩუხა წყაროს შეიგრძნობს ღარი;
წყლით დანაყრდება სამგორის მიწა;
ღვარი გადათხრის ხვართქლას... ღილილოს...
შენ გეკითხები,
შენ გეკითხები,
შენ გეკითხები! –
ერთი მითხარი:

ქართველსა გულმა როგორ გამიძლოს, –
ოდეს შვენება შენი ვიხილო,
რომ გულიანად არ გავიღიმო...
რომ გულიანად არ მოვილხინო!..

მე ვხედავ ხორბალს...
მე ვხედავ ყურძენს!..
ჩარიგებულა
ლელვ-ატამი აქეთ-იქითო...
მაშინ დავმიწდე, –
დამეკრიფოს ხელები გულზე, –
ხილი ვიხილო
და მებაღე თუ არ ვიკითხო.

1959

ფიქრები ცამეტზე

* * *

გითხრა!
რა გითხრა,
ვით გითხრა!
არ გითხრა! —
რა ქართულია!..
გადაჭარბების გარეშე —
ისეთი გაზაფხულია...
ისეთი გაზაფხულია...
ისეთი გაზაფხულია! —
გინდ მერწმუნე
და
გინდ არა! —
გამოვიცვალე სრულიად.

სხვა რომ არ იყოს —
ჯერ მარტო
ის რად ღირს, —
ოდეს ინათლებს...
ო... რომ იცოდე —
რამდენჯერ
გინატრე,
გულით გინატრე.

გითხრა! —
რა გითხრა,
ვით გითხრა!
არ გითხრა! —
რა ქართულია!..

გადაჭარბების გარეშე –
იცი,
რა გაზაფხულია?!..
ვერ წარმოიდგენ –
ისეთი...
ისეთი გაზაფხულია.

1960

* * *

მე შემიძლია ვიმყოფინო
საბანი ფოთლის,
ზღვად შემიძლია მივიჩნიო
პატარა წვეთი...
უმტკივნეულოდ
მკერდიდან გულს ამოვიპოტნი –
შენთვის.

წყალმა წაიღოს ლექსნი ჩემნი,
როგორც ნაფოტნი,
წყალმა,
რომელიც
უზარმაზარ მდინარეს ერთვის...
ულაპარაკოდ
მკერდიდან გულს ამოვიპოტნი –
შენთვის.

1959

ზურიო ნაყიხიდ

* * *

გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის,
მაიაკოვსკის
ლექსივით
დამტვრეულ
ღელესთან...
დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის —
ნაცნობი საღამო ვნახე.

საღამომ,
რა თქმა უნდა,
ვერ მიცნო
(სოფლად არ მცმია კოსტუმი).

ვერ მიცნო...
ვერც მიცნობს ათასი ვუმტკიცო —
მე
ახლა
ამ
საღამოს —
ლაშურისპირელს, —

რომ მე ვარ ის ბიჭი —
ლაშურის ქვებქვეშ რომ
პერანგის ამარა
ეძებდა ღორჯოს.

რომ მე ვარ ის ბიჭი —
გადახურჯინებულ
ტომრით რომ საფქავი
გაჰქონდა ხიდზე.

რომ მე ვარ ის ბიჭი –
ღელის წისქვილიდან
მჯიღს რომ უღერებდა ჭინკა.

გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის,
მაიაკოვსკის
ლექსივით
დამტვრეულ
ღელესთან...
დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის –
ნაცნობი საღამო ვნახე.

1951

უნდა იცოდე!

შენ რომ ქუჩაში ვაჟი გხვდება –
ყოველდღე თითქმის;
ხან მოწყენილი,
ხან მხიარული...
ვაჟი –
სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი, –
მძიმე ნაბიჯით მოსიარულე, –
ის როცა ფიქრობს, –
შენ ხარ ხოლმე იმისი ფიქრი.

ღიმილი შენი
არ გეგონოს შენ მარტო შენი

ცრემლსაც ნუ ჩასთვლი
ნურასოდეს
შენ მარტო შენად.
ღმერთმა ნუ ჰქნას და...
შენ რომ იყო გადასარჩენი, —
თავს არ დაზოგავს
ის ვაჟი შენს გადასარჩენად.

შენ რომ ქუჩაში ვაჟი გხვდება —
ყოველდღე თითქმის;
ხან მოწყენილი,
ხან მხიარული...
ვაჟი —
სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი, —
მძიმე ნაბიჯით მოსიარულე, —
შენი ერთგული კაცია იგი!

1951

* * *

ვხვდები გაზაფხულს;
ვით ერთი წლის უნახავ ნაცნობს;
ვეხვევი,
ვკოცნი,
ვეხუმრები,
ვაგონებ: —
გახსოვს?

შენ,
შეიძლება აღარც გახსოვს, –
რომ
შარშან ამ დროს,
სწორედ ასევე მშვენიერი ბრწყინავდა დილა,
სწორედ ასევე შილიფად მეცვა.
უეცრად დასცხო ძლიერი წვიმა.
გაშავდა ზეცა.

იმ დღეს
მე ერთი ქალიშვილი გამაცნო წვიმამ.
შემდეგ მე წვიმა შემაყვარა იმ ქალიშვილმა.
მთელი სხეულით შევიყვარე
ის დღე,
ის წვიმა...
იმ დროს
ჯერ კიდევ
ბავშვმა,
ყმაწვილმა.

დღეს,
გაზაფხულო!
კვალავ როდესაც გამოჩნდი ქვეყნად, –
მწვანე ბალახით,
ყვავილებით,
თბილი ჰაერით...
ვხედავ
ცვრიანი განთიადით სავსე თვალებით:
ის ქალიშვილი შენ ხარ!

1956

ირგვლივ

ვწევარ გულაღმა, –
უაღრესი სიამით სავსე.
ბებერი კაკლის დახეთქილ ტანს
სქლად აძევს ხავსი.

დაკიდებია
დაღრღნილ ფოთოლს
ნაცარა ჩიტი,
მზე ფოთლებიდან
წამდაუწუმ იძახის:
ჭიტა!

ოდნავ... სულ ოდნავ...
თბილი... თბილი სიო უბერავს...
ეს იმას ნიშნავს, –
უეჭველად მოიღრუბლება.

ირგვლივ არავინ,
ყანისა და ხეხილის გარდა...

ვწევარ გულაღმა;
მზე ეშვება მთებში –
წყალგაღმა...
ირგვლივ არავინ,
ყანისა და ხეხილის გარდა...

მაგონდებიან ნაცნობები
(თითქოს ხელს ვკიდებ)...

ისინი ახლა, –
ზოგი სად... და...
ზოგი სად კიდევ...
საქმიანობენ,
ისვენებენ, კარგად არიან!
ალაგ ზღვა ღელავს,
ალაგ ორწოხს ჩასცქერს ქარაფი...
ზოგიერთ მათგანს სახით ვიცნობ, –
მეტით არაფრით;
ზოგი კი
ჩემი გულითადი მეგობარია!

და...
რა კარგია..
რა კარგია ლოდები ყორის;
და...
რა კარგია...
რა კარგია შავი ბელტები...
ვივსები
რაღაც უდიდესი ძალით და ღონით,
ვდიდები,
დიდი სიხარულით ვგანიერდები...

და...
ალარ ვიცი,
ალარ ვიცი, რა ვქნა და... ხარბად
ვსუნთქავ და ვსუნთქავ...
ყველაფერი კარგია, კარგი!..

ასეთ სიხარულს,
ასეთ სიტკბოს
განიცდის ალბათ,
ოდეს ნაპირებს
გადმოლახავს მდინარე ზათქით
და...
დედამიწას თავისუფლად განეფინება.

1952

ქარი, ნაძვნი და ფოთოლი ლეღვის

დაიგრუხუნა, —
დაუშვა თქეში...
არ ვიცი, წყნეთით,
არ ვიცი, კოჯრით, —
მოვარდა ქარი, —
შევარდა ტყეში
და დაითრია
ნაძვები ქოჩრით.
ალვამ უეცრად
ცას თავი რეხვა,
პირი დააღო
აქა-იქ თალმა...
წაიღო ქარმა
ფოთოლი ლეღვის —
ფრიალ-ფრიალით —
აღმა და დაღმა.

1967

ვირბინოთ, ვირბინოთ!

ნიავო,
რა დროს ხეებთან კამათია!
გახედე!
გახედე
რა კარგი ველია...
რამდენი დღე და...
რამდენი საათია —
მე და შენ
ერთად აღარ გვირბენია...

ვირბინოთ!
ვირბინოთ! —
ბალახი სველია.
ღელეო, გახსოვარ?!
მიცანი, ცაო?!
შენ რაო, ნიავო?! —
ველარ მცნობ?! ჰერიჰა! —
მუხრანი არ გახსოვს,
შე კაი ქალო?!

ვირბინოთ!
ვირბინოთ!
ბალახი სველია...
რამდენი დღე და...
რამდენი საათია —
მე და შენ
ერთად აღარ გვირბენია.

1952

ის სინანულით შევიდა სახლში

გამომემშვიდობა...
შევნიშნე სინანული;
მოვდივარ! —
გინახავთ თვალით სიხარული?!
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, მიწაო.
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, ცაო.

მგონია:
ჩემი სუნთქვით სულდგმულობს
ყოველივე,
წვიმას გადულია, მიწა სოველია.
მწყურია:
შევისუნთქო ტყემლები, წყარო.

ვერ ვამჩნევ ვერაფერს, —
თუნდ ოდნავ საძაგელს.
ყველა ლამაზია.
ყველა კარგია.
მწყურია:
გადავკოცნო ხეები ცალ-ცალკე.
გაზაფხულია
და მეტი რა გინდა!

გამომეშვიდობა...
შევნიშნე სინანული;
მოვდივარ! —
გინახავთ თვალით სიხარული?!
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, მიწაო.
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, ცაო.

1952

* * *

აღფრთოვანებას აღემატება —
მარტო არა ხარ —
იგრძნო!..
არიან კაცნი...
რამდენი გიცნობს...
არიან —
რამდენს იცნობ.

აღფრთოვანებას აღემატება —
მარტო არა ხარ —
იგრძნო!..

1951

ხელს ვართმევ გაზაფხულს

ყურადღება!
გაზაფხულდა! –
ვგრძნობ ყველაფრის ამღერებას;
ეს სიმღერა გულწრფელია!
ეს სიმღერა მართალია!
რა იციან ამ ველებმა,
რა იციან ამ ჭალებმა,
რა იციან ამ ქედებმა,
რა იციან ამ ხეებმა, –
თუ...
რამხელა ნეტარებას
ანიჭებენ ადამიანს!

გაზაფხული
ფართო ქუჩა.
მოვაბიჯებ მხიარული;
გაუმარჯოს!
გაუმარჯოს! –
ვინც კაცია –
ყველას;
დაე, იქცეს ჯეჯილებად
ყამირების ღია გული, –
გაიზნიქოს ხოდაბუნი,
როგორც ცისარტყელა.

ვენაცვალე დედამიწას!
ვენაცვალე სივრცეს! –

კაცის,
ქალის,
ბავშვის
ტკბილი,
ლაღი სუნთქვით სავსეს;

ვენაცვალე ხალხს,
რომელიც
გულს სინათლით მივსებს,
ვინც ამაყად მიაბიჯებს
საქართველოს გზაზე.

ყურადღება!
გაზაფხულდა!
შრიალებენ ხენი.
კეთილ იყოს,
გაზაფხულო!
მობრძანება შენი!

1951

ზამთრისპირული

არა!
ზამთარი
ახლა არცთუ ისე შორია;
ირგვლივ მთებს უკვე წამოუსხამთ
თეთრი ნაბადი.
ხეებს ქუჩისას
დაეძგერა ქარი ღონივრად:

ცვივა
ყვითელი
ფოთოლი
ფარფატით.

საოცარია! –
მე ამ ფოთლის მახსოვს გაჩენა...
დღე გაზაფხულის
მახსოვს,
მახსოვს ძალიან ნათლად,
იყო აპრილი.
გაიხარეს იმ დღეს ბავშვებმა.
მე ისიც მახსოვს,
ერთმა ჩიტმა
იმ დილით რა თქვა.

მახსოვს,
იმ დილით
ნაკადული როგორ მღეროდა.
აქა-იქ როგორ ჯიუტობდა
ზამთარი ურჩი.
როგორ გაბურღა შავი ბელტი
მწვანე ღერომა, –
ვით განეფინა ხოდაბუნზე
ჯეჯილი ლურჯი.

დღეს კი, –
როს თოვლი
უკვე არცთუ ისე შორია,

დღეს, როს
საცაა ბარშიაც მოთოვს...
დღეს,
როცა ირგვლივ
მთებზე უკვე თეთრი თოვლია! –
ვხედავ იმ აპრილს,
იმ ნაკადულს,
იმ მწვანე ფოთოლს!

1955

ცოცხალი თუ ხარ

აი, ეს ქუჩა,
აი, ეს მზე,
აი, ეს კიბე,
აი, ეს ლურჯი შუშაბანდი,
აი, ეს ბავშვი, –
ახლა, რომელსაც მზესუმზირით სავსე აქვს ჯიბე,
ახლა, რომელიც თავის მტრედებს დაეძებს ცაში,

არ შეიძლება არ გიყვარდეს,
ცოცხალი თუ ხარ,
არ შეიძლება –
სიხარული არ იგრძნო დიდი...
ფართო ქუჩაში შუქი მზისა იღვრება უხვად
და სიხარული სიცოცხლეზე მძლავრია თითქმის.

1952

ფერდობებზე ნახირი ძოვს

ფერდობებზე ნახირი ძოვს,
ვაზი ჭიგოს ეკონება,
ყორე-ყორე მაყვლებია,
მაგრამ რაღა მეყორება!
ტირიფებში წყარო მღერის –
იადონი გეგონება;
ისეთია, მე შენ გეტყვი,
მუშტარი არ ეყოლება...
სიტყვას ვიტყვი – გაიგონეთ
მეგობრისა მეგობრებმა:
– დაუკარით სალამური, –
წყალი თაფლი მეგონება!
– დაუკარით სალამური, –
ანწლი მარწყვი მეგონება!
– დაუკარით, – კოწახური
კახამბალი მეგონება!
დაუკარით სალამური, –
ოღონდაც კი დაუკარით...
სამყურა რომ სამყურაა –
ყურნი სცქვიტა სამივენი...
დაუკარით სალამური, –
ოღონდაც კი დაუკარით, –
ყველაფერი ტკბილია და...
ყველაფერი სანუკვარი.
დაუკარით ავთანდილის,
ფრიდონის და ტარიელის;
სამია და... დაუკარით, –

მომილხინეთ სამივენი;
მათი სადღეგრძელო იყოს,
მათი მრავალჟამიერი!

1951

* * *

ტყუილ-უბრალოდ გაზაფხული კოხტაობს ახლა,
ტყუილ-უბრალოდ ვენახებში ტირიან ვაზნი;
სიხარულს ჩემსას —
უეჭველად გულწრფელს და მართალს —
აქვს გაზაფხულზე
უფრო მეტი ეშხი და აზრი.

და ველარ ანთებს ძველებურად ახლა ჩემს თვალებს —
სკდომა კვირტების,
აფეთქება პატარა ჩირგვის.
ანდა —
რას ვეძებ!
რას ვიპოვნი!
რა დამრჩა გარეთ! —
გაზაფხულია უფრო დიდი როდესაც შიგნი.

1955

ციხისა ლაბირინთი

* * *

ხმობს ქათამი...
ჩალიჩობენ ჩიტები, —
ყველას უნდა
განთიადი გახაროს...
მზე ამოდის...
მზე
თანდათან დიდდება...
და ტოლები
ეტოლება ბახმაროს.

...სულერთია,
გინდ გინდოდეს,
გინდ არა, —
წამდაუწუმ აჟღერებენ გიტარს.

მზე ამოდის, —
თვალწინ გაზაფხულია;
მოდიდებულ
ღელეს მოაქვს ლოდები...
ახალგაზრდა
ფოთლებს წყალი სწყურიათ.
თხმელამ
წვიმას შეუშვირა ტოტები...

სიმღერების ქვეყანაა გურია!
გაზაფხულის ქვეყანაა გურია!
ერთი სიტყვით:
აღტაცება თუ გინდა, —
უნდა ნახო გურია!

1954

* * *

მეალერსება თბილი წვიმა:
შიგნიდან ვიწვი...
წვიმამ გადიღო...
დათბა, დატკბა,
დასკდნენ კვირტები...
მე შევისუნთქე
ორთქლი, — ცვარში განბანილ მიწის,
თეთრ ღრუბლებიდან
ალმოცენდა მთვარე ყვითელი.

ავიდ-დავიდა
განთიადის დამტევი მკერდი...
მწვანე ბალახმა
ცხოველური მადა აღმიძრა...
გავგანთიადდი,
გავდიადდი, გავგანიერდი, —
ხელისგულივით
დავაჩერდი დიდ დედამიწას.

1952

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲔᲕᲘ

იმ დროს

ლექსს როცა დავწერ
და სახლიდან გამოვალ გარეთ
და იმ დროს თბილი საღამოა
და ოდნავ ბნელა...
სალამი, ცაო!
გამარჯობა, ნათელო მთვარევ!
ყველაში მე ვარ
და ჩემშია იმ დროს სუყველა.

ჰაერი — აი, საოცარი გამოგონება.
სუნთქვა —
ყოველგვარ აღმოჩენას აღემატება.
ეს ჰაერია,
ეს სუნთქვაა ჩემი ქონება.
და ეს ქონება
თქვენ ხუმრობა
ნუ გეგონებათ.

ლექსს როცა დავწერ
და სახლიდან გამოვალ გარეთ
და იმ დროს თბილი საღამოა
და ოდნავ ბნელა...

1951

* * *

დღეს ჩემს გულში,
შეიძლება არ იცოდე შენ,
მთელი თავის სიდიადით
მოიკეცა მზემ.
არის წელი 26,
რაც ვარსებობ მე –
და ამხელა სიხარული
არ მიგრძვნია ჯერ.

მჯერა:
დღეის ამას იქით,
ვინც რა უნდა თქვას,
საუკუნოდ იარსებებს
ეს ლამაზი დღე;
რაც არ უნდა ცუდი დარი
დაიჭიროს ხვალ,
ტყუილია! – ვერაფერი
ველარ შემცვლის მე.

1955

* * *

მე გამოვდივარ,
დღის ბოლოა, —
სრულდება 6.
ფართო ქუჩაში
ჩვეულებრივ მოძრაობს ხალხი...
გულუხვად ბარდნის,
ბელურა კვნესის...
მე მოვაბიჯებ
გაშლილი სახით.

დაგინახავ და...
გაზაფხული მყარდება ირგვლივ;
შუაზამთარში
მეყურება
შრიალი ხეთა...
რაც მართალია, — მართალია, —
გულწრფელად მიკვირს, —
ყველა
ჩემსავით რომ არ ღელავს, —
შენ როცა გხედავს.

1955

მზემდე

თავზე მამხვია
ვებერთელა ზღვისფერი სივრცე.
ირგვლივ
ხეობებს დუმილი ავსებს...
და ხტიან თვალნი
ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე ისე,
ვითარცა წყალში გამავალი
ხტის ქვიდან ქვაზე...

ხვალ გათენდება, —
მზე ამოვა
ვარსკვლავთა მქრობი.
ახმაურდება ყოველივე,
რაიც სდუმს ახლა...
მოსუფთავდება
ეს ლურჯი გობი, —
მხოლოდ და მხოლოდ
მზე იქნება
ხვალ დილით მაღლა.

1954

ფიქრები ნაბიჯით

ფეოთლო ალვა



სოფია. ღამე. საათის 3

ხმა მესმის ხოლმე ქუჩიდან ღამით;
ხმა არა ფეხის,
ფიქრის.

ხმა მესმის ფიქრის...
ხმა მესმის ფიქრის...
ხმა ჰქვია დღისით რომელსაც ფეხის.

ხმა მესმის ხოლმე ქუჩიდან ღამით;
თანდათან დუმილს რომელიც ერთვის.

1965

* * *

გიგონებ.
სიშორე გაწარსულებს.
ხეებს ვაკვირდები გაძარცვულებს,
უფოთლოდ ვიცანი ჭადარი...
და აქ რა იციან:
ფოთლები ამისი
მანდ არი.

1966

აქ

არავის შენ არ აგონდები
ჩემს დანახვაზე.
არავის მე არ ვაგონდები
ჩემს დანახვაზე.
არავის ის არ აგონდება
ჩემს დანახვაზე —
რაც მანდ ზოგს მაინც აგონდება
ჩემს დანახვაზე.

რა შემზარავი სცოდნია ფიქრი, —
ხალხს ვინც ჰგონიხარ, —
როს არ ხარ იგი.

1965

* * *

ძალიან მოკლე აცვია კაბა.
მესაუბრება.
ხალხია ირგვლივ.
ვუსმენ.
ვუღიმი.
გამექცა ფიქრი
საუბრის იქით
ფიქრი როა —
იმ ფიქრის
იქით.

დგას მაგიდაზე შავი ლუდი —
მაღალი ჭიქით.

1965

უფოთლო ალვა

ყოველი ტოტი და ტოტისტოტი
და ტოტისტოტისტოტი ყოველი
უკლებლივ ცაში აურბის ალვას –
დგას
რაკოვსკიზე ხე ახოვანი.

1965

ბურგასი

ცახცახებს ძილი –
ბურგასიდან გადახვეწილი.
ბარში ძუბახი
იწმაწნება თმაგაწეწილი.

ჰხურს და ჩახჩახებს
მზესავით ჯაზი.
ტოროლასავით
დამისკუპდა
დილა
მაჯაზე.

და ვილიმები,
ვიგინები,
და ვიმუქრები.
ძუძუებივით ანათებენ
თეთრი მუხლები.

1965

* * *

ხეები ზეცას აჩნია შავად.
მდუმარებაა თეთრი და შავი.
და
თითქოს კელნერს დაექცა ყავა —
თოვლზე
დაფრინდა
ცაცხვიდან
ყვავი.

მდუმარებაა თეთრი და შავი.
საქართველოდან მოველი წერილს.
გაცივებულა ფინჯანში ყავა
და გუნდაობენ ყვავებით ხენი.

1966

* * *

წარმომადგენლები თეთრი სხეულების —
მოკლე კაბებიდან გამოქცეულები —
უხმოდ
მიყურებენ
მუხლები
სკამებიდან.

კატა — ხალიჩაზე მოკალათებული —
ავტომობილივით თვალებს აბრიალებს...

ერთ-ერთი სხეული — წითელკაბიანი —
ლიტერატურაზე მელაპარაკება.

1965

* * *

მოხდეს რაიმე უჩვეულო, –
არც ვიმედოვნებ.
სახლის თავებზე
იჟანგება საწყალი თოვლი.
ღამეა შავი –
ასლის შავი ქაღალდის მსგავსი,
და დღე მეორე –
არის ზუსტად
წინა დღის ასლი.

1965

ძაღლიანი კაცი

კაფეში ჩია შემოდის კაცი.
უბეში უზის პატარა ძაღლი.
და ძაღლი პატრონს ისე ჰგავს სახით –
თითქოს პატრონი კენგურუ არის –
საკუთარს ჰყიდის რომელიც პირმშოს,
თან მუშტარს ეძებს,
თან, ვაჭრევ, შიშობს:
ვაითუ, მართლა გამოჩნდეს ვინმე
და შეაძლიოს –
რამდენსაც ითხოვს.

1965

* * *

და ისევ ღამეს ხვრეპენ ფინჯნებით
მეზღვაურები,
მეძავები
და ნაბიჭვრები

წამოხტებიან.
იწყებენ რხევას.
ფეხებს უშენენ საკუთარ ჩრდილებს
და ისევ ღამეს ხვრეპენ ფინჯნებით
და ფინჯნის ფსკერზე
ეძებენ დილას.

და ღამე მაინც ვერ ამოხაპეს, —
ისევ ღამეა,
უძირო ღამე,
და ისევ ღამეს ხვრეპენ ფინჯნებით
მეზღვაურები,
მეძავები
და ნაბიჭვრები.

1965

ირგვლივ ბევრია სხეული უცხო

მე ველარ მხედავთ, –
რადგან ჩემში ხართ ყველა ახლა.
იქ აღარაა, –
სადაც იყო თბილისი წინათ.
აქაურების სახეებზე,
ოთახის ჭერზე,
ლუდის ბოთლებზე
სახეები ჰხატია თქვენი.
და მე ვარ მარტო,
რადგან ველარ ვეხები ხელით –
ველარც შენ მკლავებს,
ველარც შენს ტანს,
ველარც შენს ნიკაპს, –
ისინი ჩემში
სხვათათანა არიან რადგან.
ირგვლივ ბევრია სხეული უცხო.
ზეთისხილივით
ულაპლაპებთ თვალები ქალებს.

1965

ცოცხლიდან „1832"

ფიქრნი ელიზბარ ერისთავისა, – გზად – შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ეტლით

აღარც საბაა,
აღარც ბესიკი,
აღარც ვახტანგი,
აღარც არჩილი, –
არადა ისევ დგას დღის წესრიგში
ბედი ქართლისა
და ქართლის ჭირი.

1970

გასწი!

გამახსენდება როცა იასე,
ვინც არა ერთხელ შემომელანძღა;
გულგატეხილი ადამიანზე, –
ვებღაუჭები ტატოს მერანსღა.

მამულის მიწას, – ყველაფრის მომთმენს,
ამაოდ უჭირს შელევა ჩემი...
გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი.

1970

სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში, ტივზე

საქართველოში მრავალჯერ თუმცა
სიკვდილის მოდგა ელჩი;
გუგულის კვერცხი
ესოდენ უხვად
ჯერ არ ყოფილა ჩვენში!

დოლაბი ბევრი ბრუნავდა თუმცა
ქართველი ხალხის თხემზე;
გუგლის ბარტყი
ესოდენ ურცხვად
არ მოქცეულა დღემდე!

მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს
დედის ათოვდა თმანი;
სიტყვა ქართული
ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია დმანისს!

საცაა, გუგულს, ვიცი და ვიცი, —
ბუდე დარჩება მერცხლის...
სირცხვილით იწვის,
სირცხვილით იწვის
კრწანისის ველზე ცეცხლი!

1970

სიტყვა თქმული ბიძინა ამილასტორის მიერ მაშავრის პირას – ჯერმიჯალაში

ახალი მთვარე –
მოხუცის წარბი,
ერთი შეხედვით:
ღიმილი ყალბი,
წარბი საბასი,
თუ ფარნავაზის,
დაღონებული
ზის გალავანზე:

ვახტანგის ადგილს
იჭერს ხეჩუა! –
გვეცლება ქართლი
თვალდახელშუა!

1970

ფიქრნი ქოსა მუსტაფასი იბრეიმ ყარა მაჰმად-ოღლის ძმის ქორწილში

წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, –
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!

წესი და რიგი, –
დღეს როა ირგვლივ, –
მყის დაიმხვრევა, –
გამოჩნდება როგორც კი იგი!

1970

ეპიტაფია „1832“

სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ ძმათა თვისთა თანა შუამთაში

ამას,
იმას რომ,
თვალი მტერზე უნდა გეჭიროს,
ჩვენ კი,
მტრისა წილ,
ღრეობაზე გვიჭირავს თვალი:
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, —
ერთი მითხარი!

ამას,
იმას რომ:
ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
ხმლისა წილ,
ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი:
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, —
ერთი მითხარი!

იბასიანოს,
დროა,

დროა,
ქართულმა სუფრამ! –
მოდის მერმისი –
ცოცხით ხელში –
მკაცრი და სუფთა.

1970

ფიქრნი იასესი, – ამილახვრიანთ აივანზე, – ბადრი მთვარის ჯვრეტის ჟამს

ყოველთვის, როცა მოვახტი მერანს,
ოდეს ღიმილი მომძაგდა ზეპირ,
შემომანათა სიკვდილის ცელმა,
სიმხდალემ ჩემმა მომიჭრა გზები.

აშკარად ვხედავ:
უძველეს კერას
აკლია შეშა,
შრეტს ლაჩრის ცრემლი;
და მტანჯავს მზერა, –
გამჭოლი მზერა –
წინაპრის ჩემის
და შვილის ჩემის.

1970

იაკობიდან „1832"

ალსარება თქმული ს. დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში, ალდგომის ფინა დღეს

ვარ დამნაშავე, –
რამეთუ ვცხოვრობ.
ვხედავ:
სულს ვღაფავ თევზივით უხმოდ.
თუ ვქმნი რაიმეს, –
იმიტომ მხოლოდ, –
სასჯელი მინდა შევიმსუბუქო.

ვარ დამნაშავე, –
რამეთუ ვითმენ, –
რაც მესმის იმას
და რასაც ვხედავ.
დამნაშავეა სხვაც ბევრი, ვით მე,
თვითონ არ იცის თუმცაღა ბევრმა.

ვარ დამნაშავე, –
რამეთუ მიჭირს, –
ძალიან მიჭირს დათმობა სოფლის!
არადა მიწას,
მამულის მიწას, –
სწყურია სისხლი!
არ ჰყოფნის ოფლი!

1970

სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში, სოლომონ რაზმაძის მიერ

როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ქვეყანას ღვიძავს! —
ღღეს სძინავს ვისღა)?!..
ჩვენი მზის სხივს და
ჩვენი ზვრის ყურძენს
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!

როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი
რამ ჩაჰკლა რისკი)?! —
და დუმილისკენ,
ღრმა დუმილისკენ
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!

1970

ეცალდაგ „1832“

ვეხვეული



პოემა

...თქვენ, მკვიდრნო ქართლისანო,
მოიხსენენით კეთილნი ჩემნი...
და სახლსა ჩვენსა ნუ შეურაცხჰყოფთ...

ვახტანგის ანდერძი

ვახტანგმა წყალი ისურვა

მოგეხსენებათ, რა ძნელია პოემის წერა;
არა ერთი და ორი გახდა ამ საქმის წერა.

ეს, არცთუ ისე იოლი საქმე, —
როგორ დავიწყო,
სით მივუდგე,
მირჩიეთ —
რა ვქნა!

დავიწყო ისე,
როგორც სხვები იწყებენ ხოლმე, —
რატომღაც გული არ მაძლევს ნებას.
არადა,
უშნოდ რომ მოვედვა ღობეს და ყორეს —
ეს შეიძლება?! —
რა თქმა უნდა —
არ შეიძლება!

რაც არის — არის —
გავარდეს ჯანი.
თუ გინდა, ლაფი დამასხან თავზე —
ესე პოემა იწყება ასე:

ვახტანგმა გადინადირა
ქედი მაღალი — ტყიანი;
ვერ მოჰკლა ფური,
ვერც ხარი:
— ვაზირნი რას იტყვიანო!

ხელმოცარულმან მეფემან
შორით შენიშნა ჭალა.
ჩამოხტნენ.
ბრძანა — დაჯდომა.
ცხენთ დაუყარეს ჩალა.
აღმოხდა მწუხრის ვარსკვლავი —
მკვდარი მზის მაჩანჩალა.
ულაყთა —
ლაგამწაყრილთა —
შეახრამუნეს ჩალა.

ვახტანგმა წყალი ისურვა,
გაიქცნენ: —
მოვიტანთო!
ვაზირს ეწადა რამ ეთქვა —
იჩქითად,
სწორედ ამ დროს,
მოიჭრა წყალზე წასული —

გადასდიოდა ხვითქი.
— რა დაგემართა,
თქვი ჩქარა!
თქვა: —
მადროვეთო,
ვიტყვი!...

— ვითარცა მოგეხსენებათ,
წარვედ მოტანად წყლისად;
ვეძებე,
მივდექ-მოვდექი, —
წყარო ვერ ვპოვე ღარისა.

შევხედე,
ღელე დიოდა, —
თვალნი გამიხდნენ ფართონი.
ვიფიქრე: —
ღელეს წავიღებ, —
რას მიმიხვდება პატრონი!

გავბრიყვდი,
ვიგულმავიწყე
ყოვლისმხედველი უფალი.
მყისვე ღრანტეში ჩავხოხდი —
გავწირე კაბა-ჯუბანი.

ღელეს მივადექ...
და როცა
ჩქერალს შევუდგი ტაგანი, —
წყალი გაცხელდა,

ადულდა...
შევკრთი, —
დამეცა თავზარი.

მუხლზე დავეცი —
ავტირდი,
ვახშირე პირჯვრის წერანი;
არ შემეწია
არც ღმერთი,
არც მზე,
არც წერამწერელი.

დამსაჯეთ!
ჩემზედ ახია
გზანი ულაღნი ჯანაბის.
ახია ჩემზე გაშავდეს
ჩემი
სახლი და ჯალაბი.

აბრძანდა მეფე.
მუნთქვესვე
ფეხზე წამოხტა ყველაყა;
წყალი —
ადულდა რომელიც —
უნდოდა ყველას ენახა.

მივიდნენ —
შეცბნენ...
მარტოდენ
მეფე გალაღდა ნამეტურ;

წყლის ღვთაებრივი ნიშატი —
იგრძნო,
შენიშნა რამეთუ.

ხმას არ იღებდა ხელმწიფე.
ვაზირთა შეჰქმნეს ყაყანი;
ზოგმა
ცას ეჭვით გახედა,
ზოგმა
გასინჯა ტაგანი...

მეფემ აღაღო ბაგენი
და შეწყდა მყის ლაპარაკი.
წარმოსთქვა:
— იყავნ ქალაქი!
და...
აღმოცენდა ქალაქი.

სიტყვა მეფის,
საქმე შენი —
შოშიტა და შიოშ...
— რაღა გვინდა
აწი წყნეთში,
ანდა მცხეთაშიო!..

მცხეთით,
წყნეთით,
თუხარისით;
ჩორთით,
ოთხით,

თოხარიკით —
უხალისოდ,
თუ ხალისით
მოაშურა ხალხმა თბილისს...

ქვამ ქვა იგრძნო,
ძელმა — ძელი.
ჩაიყარა საძირკველი.
დაიბადა თბილისელი.
სტუმარს დახვდა მასპინძელი.
და...
მზეᲲ როდესაც მოადგა
აღმოსავლეთით თბილისს, —
მცხეთას დაეცა თბილისის
ვეებერთელა ჩრდილი.

სპილოები

კარიბჭე მოღლიავდა გალავანის,
მცხეთაში შემოვიდა ქარავანი.

ყველაყა —
მცირემდე დიდიდან —
იდგა და
სპილოებს ითვლიდა.

— ერთი...
ორი...
სამი...
ოთხი, —
ხელებს შლიდნენ:
— ვაა!..
ხუთი...
ექვსი...
შვიდი...
— ბიჭოს!..
— აი მესმის!
— რვა...
თერთმეტ...
თორმეტ...
ცამეტ...
თოთხმეტ, —
გრძელდებოდა თვლა.

ითვლიდნენ გულში,
ითვლიდნენ თითით,

ითვლიდა ქალი,
ითვლიდა ვაჟი...
და...

მიდიოდა ხალხის თვალწინ
ქარავანი თვლა და თვლაში,

ქართულ თვლაში,
სომხურ თვლაში,
სპარსულ თვლაში
ბერძნულ თვლაში...
და...
მზით ძლეული მთვარის ცრემლი
ციმციმებდა მცხეთის თვალში.

რა გამოსცილდნენ მცხეთას —
თქვა
დიდვაჭარმა ერთმა: —
იცოცხლე! —
ღდინზე ვიბანო
ჭრელ აბანოში ნურითო!
მეორემ: —
გაგიხარია! —
გამოვთვრე ატენურითო!
მესამემ: —
ოქროდ გავყიდი —
ნაყიდსა
ასპანურითო!

თავმომწონე მხედარი და სხვა

ჯდა ცხენზე კაცი ვილაცა;
— რა ბიჭიაო!
რა ბიჭი!..
ქუჩასაც,
ცხენსაც,
მხედარსაც —
დინჯი შვენოდა ნაბიჯი.

თვალს ახარებდა,
ალხენდა —
მწვანე ხავერდი ხეთანი...
— მე ვარ და ჩემი ცხენიო! —
უხმოდ იძახდა მხედარი.

ქალი შენიშნა —
ჩამოხტა —
ხოხობს წარუდგა არწივი —
განზე გადგა და გაჩერდა
ცხენი —
ზედმეტი კაცივით.

დაიფრუტუნა ქურანმა —
ურმის გაისმა ჭრიალი —
ხარებს ტუქსავდა —
წყრებოდა
მეურმე
მხარბეჭიანი.

ეპიტაფიები

იმ კაცს –
ქუჩაში რომელმაც
ძლივს გაატარა აქლემი –
წვერები ჰქონდა,
მე მოკკვდე,
თხისაზე არანაკლები.

ფეხის ხმა ისმის
ქუჩიდან ცხენთა.
ყავახანაში
ვაჭრები სხედან:

– ტფილისისკენ სპილოებით
მოდიანო ინდონი!
– ჩვენებურო საქონელო,
ხაბარდა და... მშვიდობით!

– ხატაელთა ქარავანიც
უნახავთო გზაში!
– ინდოელებს კარგი დახლი
დაუდგებათ მაშინ:

– სომხის ვაჭრებს
თუხარელი დასცემია ლექსო!
– ვახტანგ მეფე კარგად იყოს, –
დედას უტირებსო!

რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი?

ჩამოართვეს ცხენი;
– აქეთ! –
უთხრეს ხელით.

უცხოს,
ვერ გეტყვი – რატომ და –
თავი ამაყად ეჭირა.
– რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი?
– დესპანიაო! –
ეჯიბმა.

მეფის წინ მიწას აკოცა ელჩმა,
მერე საკმაოდ ცბიერი სახით,
მეფეს უსტარი გადასცა შაჰის.

ვახტანგმა წიგნი გადაშალა, –
ჩაიკითხა და –
წახვია: –
ახია ჩემზე,
ახია!

გაელიმა მწარედ.
გაუშტერა თვალი წერტილს.
შეამჩნია ელჩმა, –
ვახტანგს კბილი აკლდა ერთი.

ანაზდად სახე იცვალა —
ფერი დაედო მგლისა —

წიგნი მიაგდო,
წამოდგა...
— არა! —
გამოსცრა მქისედ.

ელჩი დარჩა სახტად.

ცხენის წინა ფეხები

შეხლა-შემოხლა...
და ცხენი
ორ ფეხზე
დადგა შემთხვევით,
თუ
ცათა მიმართ
ვედრებით
ალაპყრო
წინა ფეხები?!

თავს
დაწვდა
თითქოს
საკუთარს
ცხენით
უთავო თათარი;
ვერ მოახერხა ალება
და
ძირს
მოიღო ზღართანი.

ვახტანგ

ორბის ფრთა ეტყვის ცერასა

ნაომარ ველზე განფენილა მთვარისა შუქი.
ყველაფერს თითქოს საკუთარი დუმილი უკვირს.
ფრთისა და ისრის
ერთგან ისმის ბაასი ჩუმი –
ერთიც,
მეორეც,
ფრთაც,
ისარიც –
ემდურის
ჩუბინს.

– საშველი არა ყოფილა! –
ორბის ფრთა ეტყვის ცერასა, –
ვერ დავეღწიე ვერსაით
მე ჩემსა
ბედისწერასა.

ვიფიქრე: –
ახლა მეშველა! –
ორბი რომ მოჰკლა ქიტესამ;
დღე უარესი დამადგა –
მე შენსა გადამკიდესა.

ორბის ფრთას –
მოგეხსენება –
სისხლი არ გაუკვირდების, –
პატრონი ჩემი,

შენც იცი,
თავზარი იყო ჩიტების;

მაგრამ ღირს კია სათქმელად
დღეს სისხლი კაკბის,
ხოხობის?!
დღეს,
როცა კაცის –
მე და შენ –
სისხლი დავღვარეთ კოკობით!

ოდესღაც მწვანე, – ქორაფი, –
ორბის ფრთას ეტყვის პასუხად:
– წვეთიც კი სისხლის არ სცხია
ჩემს –
აწ დაკარგულ – წარსულსა.

ჭალას ვიდექი –
ვიყავი –
არა შენსავით ყიალა, –
მე ვარ და
ჩემი ფოთოლი! –
ვიძახდი ომახიანად.

ვიდრე ხე ვიყავ –
ჩემს ცოდვას –
არსი იტყოდა რომელი?! –
ქვეყნის ბალახის ამოსვლის –
ვიყავი მახარობელი.

კრულ იყოს –
ვინც მე გამთალა.
აწ და მარადის კრულ იყოს! –
სიცოცხლის მაცნეს
სიკვდილის
დამერქვა მოციქულიო!

უჯარმით კაცი აფრინეს

ხელმწიფეს წყლულზე რაღაცა
დაადვეს ჰაიჰარად.
უჯარმით კაცი აფრინეს: —
დოსტაქარიო,
ჩქარა!

დაღამდა,
ვიდრე მივიდა
შიკრიკი ბოსტან-ქალაქს.
ნაშუალამევს მოაგდო
ქურანი დოსტაქარმა.

სხვა დოსტაქარი
მუნთქვენვე
მოაქლოშინეს კასპითა,
კიდევ სხვა —
ოძრხით მოიჯრა,
მაგრამ სამთავე გაწბილდა.

უძრავი იწვა ვახტანგი.
დავხედე —
ველარ ვიცანი.
კითხვაზე: —
არის იმედი?
პასუხი: —
არავითარი!

ჯერ ერთმა,
მერე მეორემ,
მერე მესამე –
აქიმთა –

ჩამოიშალეს
მკლავები –
შეწუხებული სახითა.

შემოეჯარა
ფიქრები
საქართველოზე...
მტერზე...
და
თავი
გარდმოგარდიღო
გახევებულმა ნერსემ.

ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას სციოდა, —
და
დრო
გადიოდა.

ვითარცა ღვინო —
ქვევრიდან
ხაპში —
ხაპიდან
დოქში —
დოქიდან
ჯამში —
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან
კაცში.

გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა —
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი.

გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,
ულმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ.
და...

მიუხედავად ამისა,
მაინც —

გამოიარა
რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული...

და დღეს –
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
სულხანის ნაქონი სისხლით –

თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და...

იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

1959

ვახტანგი

შინაარსი

ხე იწვევს ცისკენ

მარტო იმიტომ 7
* * * ვერ გაგიწირავს საკუთარი უკეთუ თავი 7
მადლი იმ ზართა 8
ისევ სიბა 9
* * * ვით არ შეგატოკებს ქართველს, თუ კაცი ხარ! 10
ერთი 10
საწუთრო 11
უბედურება რა გინდა მეტი?! 11
იყვნენ... 12
ბატონო დავით! 13
* * * ერთი კაცია 14
* * * გვინთია ცეცხლი 14
* * * ბედი ქართლისა 15
პეტრე I 15
იქნება ასე 16
ჩამოძახილი 16
ფრიად დაგვიანებული, მაგრამ ფრიადრე აქტუალური რეპლიკა სრულიად
საქართველოისა და მეფისა არჩილისა მიმართ 17
* * * თუ არ წაგიღო ოცნებამ გზებზე 19
* * * ყოველად უქრისტო 19
არა, გიორგი 20
რაკილა იცი 20
შეხვედრა გურიაში 21
დედაკაცი 22
* * * ესმის განაღა იდუმალი ყველას ძახილი?! 22
სწორედ ამიტომ... 23
ზოგჯერ 23
ღილიხორისანი მესმის გალობანი 24
* * * ეაგლახ 24
სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ ისევ ძმათა თვისთა თანა ისევ
შუამთაში 25
გატეხილი ხიდის ახლოს 26
დიდ სალაშს უძღვნის ახლა მუხრანი 27
გზისპირ ბოლთას სცემდა ყვავი 28
* * * სახელგანთქმული 29
* * * დადგა შემოდგომა 29
* * * გუშინ ნატრობდა ვინც დაფნის გვირგვინს 30
* * * ვის გაუმარჯოს? 30
ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში 31
* * * ბრალი მიამიტის 31
ქართველთ ზნეობანი 32
* * * აქვს თავის ჭკვით ყველას რაღაცა 32

კახეთის ღამე 33
* * * ქედისა კაცმა რატომ უნდა იკისრო მოხრა?! 33
იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ 34
ეს ისე 36
ფარნავაზი 36
ალაეერდობა 37
ორთაბრძოლა 37
გაბაასება ბარათაშვილისა გურამიშვილთან 38
* * * ის რა კაცია 38
მაზანდარანსა, ხვარასანსა და ფერიასა 39
* * * სახეს შე ამას მოწიწებით ვეამბორები 39
არ მომხდარა, არც მოხდება 40
ისევ და ისევ 40
ოღონდ ამჯერად ვერხვისა ტოტო 41
* * * ბედნიერება მიმდგარი კარზე 41
ქართველი ბრძოლაში ვინ ბრძანა აზიში 42
* * * გამანდო ცეცხლმა 44
* * * გაოცება ენას არათმევს კრწანისს 44
დიდი ბედნიერება 45
* * * სხვისი კარგისა 45
მოაჯირს აკლდა, მახსოვს, რიკული 46
კვლავაც ნატვრაში გავა საწუთრო?! 46
* * * — ვინ არი სწორი?! 47
* * * ახლობელია როცა მკვნესარი 47
* * * ვაი, რა უქმად იბობოქრა თურმე შაშხანამ! 48
ენა ქართული 49
ვაჟას 49
რაიცა იყო, რაცაა და, იქნება რაიც 50
გაუმარჯოს ყველას ღმერთმა 51

ორი ცრემლიდან

სამა 53
* * * საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე 55
* * * შენ 56
* * * შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი 57
მიდის... მიდის... 58
* * * იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა 59
ვახტანგ მეფის ნანადირევი 60
ძველთა ჩვენთა წესი 61
* * * ტა, ტა, ტა, ტა! 62
* * * შენ ვინ გიწოდა ვაჟკაცი?! 63
ქართლის ცხოვრება 64
არაგვთან ნათქვამი 66
* * * ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი 67
მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქალები 68

ძელი ულპოლელი 70
გასამდა?! 71
* * * ციეი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა 72
* * * ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახერალმა 73
* * * ანდუაფარო 74
* * * იყოს კურთხეულ აწ და მარადის 75
ლხინი ალაზნის ჭალაში 76
თქვა ოპიზარმა 77
ეაი, ჩვენს პატრიონს! 78
* * * საქართველომ დღემდე 78
* * * იქ დაბრუნდები ციდანა 79
საქართველო 80
* * * მე არა ერთხელ გამიგონია 81
ღმერთკაცი 82
ანი და პოე 83
დავითი 84
ერწანისი 85
პასუხი 86
* * * მეცხადებიან თაობანი გადაცელილი 87
* * * იცის რაც ცოტამ 87
დილმის წვიმა 88
ვარიაციები თემაზე „მცხეთა“ 90
შუღლი 91
ეიპოვით?! 92
დავითი და კონსტანტინე 94
საქართველო და... უსვეტიცხოველო?! 96
დუმილი რეკავს 98
ამერ-იმერი 99
ახალ საქართველოს 100
ამას არ უნდა დასტური სხვისი 101
ქართველი ამას იკადრებს?! – არა! 102
სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი 104
აკაკი 105
კვლავაც მრავალჯერ გეთქვას! 106
* * * ხავილად მიჩანს ენგურის ზათქი 107
ყოველი ტოტი და ტოტისტოტი 107
მრავალჭირვარამგადანახადი 108
გურამიშვილის არ იყოს 109
* * * მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს 110
ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ 110
* * * ორი ცრემლიდან საქართველოს გაპყურებს საბა 111
რაშია საქმე?! 112
იმდენი სიცოცხლე 113
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ 114
რისთვისლა 115
* * * ქუხდენ მუხები 116

თუ სიკვდილია... 117

ვეძებ და ვეძებ

თქვი ... 119
* * * უფრო სიხარულობს ... 120
სულაც არ მიკვირს... ... 121
* * * გაიელის დრო და... ... 122
* * * ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გაიმეტებს ... 123
* * * ხორცის სიმძიმე მაიძულებს ... 124
ბიჭები ... 125
ფიქრი ... 126
პოეტი ... 128
* * * კაცისა, ძმაო, გასაჭირი არ იცის კაცმა ... 130
* * * არარაობა ყველაფერი მგონია ოღეს ... 131
* * * უდღეისდღეომ და უწარსულომ ... 132
* * * ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის... ... 132
კაცია და გუნება ... 133
* * * თავს ვინც იტყუებს ... 133
ზღვა ... 134
პესიმისტის რეპლიკა ... 135
* * * კაცი ... 136
* * * წუთისოფელი საუსეა მწვანით ... 137
* * * თუ ენდე ვინმეს ... 138
* * * მიწას ... 139
მგზავრები ... 140
* * * სხვისიც ყოფილა ... 140
* * * დაიგრუხუნა ... 141
* * * დიდი ხანია თქმა იმისა უზურში მქონდა ... 141
* * * კაცი ხარ მაშინ ... 142
* * * უნდა გასცვითო ... 143
* * * ვეძებ და ვეძებ ... 144
* * * ბედი ტრიალებს ... 145
ძახილ-წუხილი ... 146
* * * თოვს... ... 147
უხმო ძახილი ... 148
* * * ეს ღრმა ხეობა ... 150
* * * სულაც არ მიკვირს ... 150
* * * გამისკდეს მიწა ... 151
* * * თვეზივით უხმოდ ამომდის სული ... 151
* * * დღით დღეკანდელით არავინ ცხოვრობს ... 152
* * * არ იქნები რადგან ხვალ ... 152
* * * არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“ 153
* * * შენ — შენზე ჩემი ხარ ფიქრისფიქრი ... 153
* * * ვინ დაიჭირავს სიკვდილსა?! ... 154
* * * აღსდგა მკვდრეთით ... 154
* * * როგორ ფიქრობენ ... 155
* * * საკუთრ თავზე უფრო საოცარს ... 155
* * * ვიყავი მარტო ... 156

* * * დღეს 156
* * * დროს ვინც ემდური 157
* * * ხორცი 157
* * * ქალია დილა 158
ქართლის გზაზე 158
* * * მზე არი თვალწინ 159
მინაწერი წიგნზე 159
* * * ყველა 160
* * * სხვას რომ არ ესმის შენი ლექსი 160
* * * ისე როდია მართლა საქმენი 160
* * * გზა თავისი, ხმა თავისი 161
* * * აზროვნებს თუკი, — ვინ არის რომ — არ არის მარტო? 161
* * * ბინდი ახლოვდება 161
* * * ღრუბლის ხარებზე 162
* * * დილა გათენდება, — ვინ იცის, რამდენი! 162
* * * ბავშვობას რომ იყო 162
უხალხო ქუჩა 163
* * * ზეცაა როდესაც ლურჯი 163
* * * კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა 164
* * * თენდება ნელა 164
* * * სამი დღეა 165
ეს ორი დღეა 165
* * * ფიქრი რატომღა ნეტა ამდენი?! 166
* * * გიმზერ 166
როდემდე?! 166
* * * ხმას ამოიღებ 167
* * * დღეს ვინც არი და ვინც აღარ არი 167
* * * ეით, ეით არ უნდა 167
* * * ღრმერთმა ქნას, კარგი გამოდგეს კაცი! 168
* * * გულაღმა მიწეეს ოთახში მამა 168
* * * ქვეყნად ყველაფერს გაუდის ყავლი 168
* * * კარგი, ვთქვათ გახდი 169
* * * რომელსაც შენი მონობა ჰმართებს 169
* * * რომ არ გეგონო 169
* * * ვზი 170
* * * დღეს 170
* * * დიდი რამე რომ აღმოაჩინო 170
* * * კაცი მიდის ბილიკ-ბილიკ 171
* * * დამგვანებიან შენი დები მოწყენილ მერცხლებს 171
* * * ვინც კი, საერთოდ 171
* * * მე მიყვარს ხოლმე 172
* * * პლეხანოვის და რუსთაველის შემდეგ 173
* * * აქ, მიწის გამო, ორი კაცი როცა პაექრობს 173

წისქვილის ღამე

გზადაგზა 175
ლაშურის პირას 176
წისქვილის ღამე 177

დიალოგები წვიმაში 178
* * * გაეიარეთ არგვეთი 181
* * * მაგონდება სიეშაწვილე 181
მამიდა 182
* * * თუ გული გაქვს 183
შემოდგომის სურათები 184
* * * — გამარჯობა, როგორა ხარ? 185
სახლი 186
* * * რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა 187
შემოდგომა 188
პარასკევი 190
* * * ლრუბლებმა 191
* * * მიეაბიჯებ, მიხარია 192
სოფლის სურათები 193
* * * ფაცხას — დახურულს ყავრით 193
* * * უსაზღვრო სივრცე 193
პოლო 194
ღამე 194
დილა 195
ყაყაჩო 195
* * * ვხედავ 195

სხვა და სხვა

* * * არა, გეთაყვა 197
* * * ნადირო, ტყე-ტყე წანწალი 197
* * * ვინც კაცია 198
მე ისევ მოვალ 199
* * * — არაყი? 200
* * * ქალი?! 200
შეძახილი რუსთველის სურათთან 201
* * * შენი სიცოცხლე, შენი ნაბიჯი 201
ვინც იყო, იგი რომ არა... 202
* * * ჰქუხდა სტრიქონი 204
მე ისეთ ქართველს რა ეუთხრა! 205
* * * ეს იყო შარშან 207
ესგური 207
ჰოი, დედანო! 208
სულთხლომა 208
ის ლექსი 209
სულს მიეცემ ჩემსას 210
ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა 211
სურთ 212
ფშაველი 213
ვენდო?! — ეით ვენდო?! 213
მტკვართან ტატო და ტარიელი სხვდან ტირილად 214
აწი 214
* * * ვინც ილხენს ახლა 215
* * * თოფით მხარზე 215

ორი სტუდენტი 216
* * * ვისაც 217
პარიზ-თბილისი 218
* * * მე ვაკის პარკში 218
* * * რომ არ გიცნობდე 219
* * * ღვინოს მიმართეს 219
* * * ქალები?! 220
ჭალა არ არის არაგვის! 221
გარდა ერთისა 222
* * * ციოდა. ცრიდა. ღია კარს მილმა 222
წარბმაღლობენ ყაყაჩონი 223
* * * ჭასთან, — თავისით ამოსული, — კოხტაობს იფნი 223
ისკუპა შელმა 224
* * * ყველამ გამწირა 224
* * * სანახავია რა დიდებული 225
* * * სიგრძე იყო იგი როცა თითის 225
* * * კვალდაკვალ მინდა ვიარო გმირთა 226
* * * ყრუა და ბრმაა 226
* * * მე ეხადი სმენად, — უახლესი რაც კია წიგნი 226
ნუ გაიკვირვებ! 227
რაც სურდა სობას 228
ჩემი ეპიტაფია, — წასაწერი საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ქვედაზეც, ზედაზეც), —
მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც 229
მინდა და მინდა 229

ფართო ნაბიჯით

* * * ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე 231
* * * ვით ამოღებული მოვდივარ ხმალი 231
* * * მატარებლიდან მოკარი თვალი 232
* * * სახლიდან გარეთ გამოველ 232
ქართველსა გულმა როგორ გამიძლოს! 233
* * * გითხრა! 234
* * * მე შემიძლია ვიმყოფინო 235
* * * გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის 236
უნდა იცოდე! 237
* * * ეხედები გაზაფხულს 238
ირგვლივ 240
ქარი, ნაძვნი და ფოთოლი ლელვის 242
ვირბინოთ, ვირბინოთ! 243
ის სინანულით შეეიდა სახლში 244
* * * აღფრთოვანებას აღემატება 245
ხელს ვართმევ გაზაფხულს 246
ზამთრისპირული 247
ცოცხალი თუ ხარ 249
ფერდობებზე ნახირი ძოვს 250
* * * ტყვილ-უბრალოდ გაზაფხული კოხტაობს ახლა 251
* * * ხმობს ქათამი... 252

* * * მეალერსება თბილი წვიმა 253
იმ დროს 254
* * * დღეს ჩემს გულში 255
* * * მე გამოვდიეარ 256
მზემდე 257

უფიოთლო ალეა

სოფია. ღამე. საათის 3 259
* * * გიგონებ 259
აქ 260
* * * ძალიან მოკლე აცვია კაბა 260
უფოთლო ალეა 261
ბურგასი 261
* * * ხეები ზეცას აჩნია შავად 262
* * * წარმომადგენლები თეთრი სხეულების 262
* * * მოხდეს რაიმე უჩვეულო 263
ძაღლიანი კაცი 263
* * * და ისევ ღამეს ხვრეპენ ფინჯნებით 264
ირგვლივ ბევრია სხეული უცხო 265

ციკლიდან „1832"

ფიქრნი ელიზბარ ერისთავისა, — გზად — შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ეტლით 267
გასწი! 267
სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში, ტივზე 268
სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშველის პირას — ჭერმიჭალაში 269
ფიქრნი ქოსა მუსტაფასი იბრეიმ ყარა მა.მად-ოღლის ძმის ქორწილში 269
სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ ძმათა თვისთა თანა შუამთაში 270
ფიქრნი იასესი, — ამილახვრიანთ აივანზე, — ბადრი მთვარის ჭვრეტის ჟამს 271
აღსარება თქმული ს. დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში, აღდგომის წინა დღეს 272
სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში, სოლომონ რაზმაძის მიერ 273

ვახტანგი

პოემა

ვახტანგმა წყალი ისურვა 275
სპილოები 281
თაემომწონე მხედარი და სხვა 283
რაო, — ვახტანგმა, — ვინ არი? 285
ცხენის წინა ფეხები 287
ორბის ფრთა ეტყვის ცერასა 288
უჯარმით კაცი აფრინეს 291
ეითარცა მტკვარი 293

გამომცემლობა
„პალიტრა L“ 2006
www.book@kvirispalitra.com

რედაქტორი: თამარ მამაცაშვილი

რედაქტორ-შემდგენელი: მანანა ჯანელიძე

კორექტორი: მარინა ინანიშვილი

მხატვარ-დიზაინერი: ნანა გიგოლაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მაკა სიმონიშვილი
ნიკა ასლანიშვილი

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტში“
2006